წლიური ანგარიში
2020

ემბისი

სარჩევი

მმართველობითი ანგარიში

მიმოხილვა

მოკლე მიმოხილვა 3

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 5

გენერალური დირექტორის მიმართვა 7

სტრატეგია და საქმიანობა

მაკროეკონომიკა და ბაზრის მიმოხილვა 9

ბიზნეს მოდელი და სტრატეგია 14

ძირითადი შედეგების მიმოხილვა 16

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 17

კორპორაციული პასუხისმგებლობა 21

ჩვენი გუნდი 25

ინოვაციების მართვა 28

ინფორმაციული ტექნოლოგიები 30

მართვა

კორპორაციული მართვა 31

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები 32

დირექტორატის წევრები 34

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 37

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 39

სრული შემოსავლის ანგარიშგება 40

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 41

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 42

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 43

მმართველობითი ანგარიში

2020

ჩვენ შესახებ

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალი" (ემბისი) თანამედროვე, ინოვაციური და საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე მოქმედი ორგანიზაციაა, რომლის მიზანია მიკრო და მცირე მეწარმეებისა და ფერმერებისთვის მათზე მორგებული და ხელმისაწვდომი ფინანსური სერვისების შეთავაზება, ფინანსური სახსრების და სასესხო პროდუქტების ხელმისაწვდომობის გაზრდა, გრძელვადიანი და გამჭვირვალე ურთიერთობა მომხმარებლებთან.

ემბისი, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ფინანსური ინსტიტუტი, ორიენტირებულია საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში.



მისია

ემბისის მისიაა შექმნას მცირე მეწარმეების და ფერმერების განვითარების შესაძლებლობა, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების გზით ხელი შეუწყოს მიკრო ბიზნესის ფინანსურ სტაბილურობას.

მიზანი

კომპანიის მიზანია მცირე მეწარმეებისთვის და ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური სერვისების და პროდუქტების შეთავაზება, მომხმარებლებთან გრძელვადიანი და გამჭვირვალე ურთიერთობის ჩამოყალიბება.

ღირებულებები

- გამჭვირვალობა;
- პასუხისმგებლობა;
- პარტნიორობა;
- ეთიკური კორპორაციული მართვა;
- ინოვაცია.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

₾ 78.2 მლნ
+12%
მთლიანი აქტივები

₾ 68.6 მლნ
+16%
მთლიანი სესხები

₾ 17.6 მლნ
+5%
მთლიანი კაპიტალი

₾ 1.5 მლნ
-41%
წმინდა მოგება

ფილიალების
რაოდენობა **14 (+1)**

თანამშრომლების
რაოდენობა **182 (+1)**

მომხმარებლების
რაოდენობა **17,562 (+3,217)**

2020 წლის დასაწყისში, აღიარებულმა გერმანულმა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Scope Ratings-მა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ემბისის საკრედიტო რეიტინგი - B+ სტაბილური მიანიჭა. დღეისთვის, Scope-ის რეიტინგი - B+ სტაბილური მიკროსაფინანსო ბაზარზე ყველაზე მაღალია. მიუხედავად პანდემიით გამოწვეული სირთულეებისა 2020 წელს ემბისიმ რეიტინგი უცვლელად შეინარჩუნა.

SCOPE **B+ Stable**

MBC ემბისი



mbc.com.ge
info@mbc.com.ge
facebook/mbc.com.ge

გენერალური დირექტორის მიმართვა



2020 წელი გამორჩეულად რთული და მნიშვნელოვანი გამოწვევების წელი იყო მიკროსაფინანსო ბაზრისთვის. მიუხედავად ამისა, მისო „მიკრო ბიზნეს კაპიტალმა“ (ემბისი) მოახერხა ადეკვატური ადაპტაცია ახალ გამოწვევებთან და 2020 წელი წარმატებით დაასრულა. სწორედ ინოვაციური მიდგომებით, გამართული ბიზნესმოდელით, ცვალებად გარემოში სწრაფი რეაგირებით და ჩვენი გუნდის ერთობლივი ძალისხმევით მივაღწიეთ ძლიერ ფინანსურ, საოპერაციო და სოციალურ შედეგებს, გავუმკლავდით COVID 19-ის გამოწვევებს და ვაგრძელებთ კომპანიის მდგრად განვითარებას.

ყველა სირთულისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, ემბისიმ აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში კვლავ შეძლო აქტივების გაზრდა. სასესხო პორტფელმა წლის ბოლოს 68.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 16%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მთლიანი აქტივები 12%-ით გაიზარდა და 78.2 მლნ ლარი შეადგინა, მთლიანი კაპიტალი 5%-ით და 17.6 მლნ ლარი შეადგინა. პანდემიის მიუხედავად 2020 წელი მოგებით დავასრულეთ, წმინდა მოგებამ 1.5 მლნ. ლარს მიაღწია. უნდა აღინიშნოს, რომ რისკების პარამეტრების მიხედვით, კომპანია ერთ-ერთი საუკეთესო აღმოჩნდა მიკროსაფინანსო სექტორში. მთლიანი სესხების გაუფასურების კოეფიციენტი 2.5% იყო, რაც მხოლოდ 1.2%-ით აღემატება 2019 წლის ანალოგიურ მონაცემს.

2020 წელს მოვახერხეთ როგორც არსებული, ასევე ახალი საერთაშორისო საფინანსო ინსტუტებისგან გრძელვადიანი, არაუზრუნველყოფილი 7.9 მილიონი ლარის სესხების მოზიდვა, რაც საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან ნდობის მკაფიო გამოხატულებაზე მიუთითებს. 2020 წელს საერთაშორისო ორგანიზაცია **“Scope Ratings”**-მა საკრედიტო რეტინგი **B+ (სტაბილური)** მოგვანიჭა, რაც ჩვენთვის დიდი წარმატებაა. პანდემიის მიუხედავად ჩვენი კომპანია რეიტინგში წამყვან პოზიციას და მიკროსაფინანსო ბაზარზე ყველაზე მაღალ საკრედიტო რეიტინგს ინარჩუნებს.

ჩვენ უწყვეტად განვაგრძობთ წინსვლას ინოვაციური, ციფრული გადაწყვეტების შემუშავების, კლიენტებისთვის საუკეთესო მომსახურების გაწევის და ფინანსური განათლების მიწოდების გზით. ამავე დროს გვახსოვს, რომ კომპანიის წარმატების საფუძველს წარმოადგენს ჩვენი თანამშრომლების გუნდი, რომელიც ყოველდღიურ საქმიანობაში საერთაშორისოდ აღიარებული კორპორაციული მართვის პრინციპებითა და ეთიკის ნორმებით ხელმძღვანელობს.

2020 წელს მისო “ მიკრო ბიზნეს კაპიტალმა” გაიმარჯვა საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის „Meliora 2020“-ის კატეგორიაში “თანამშრომელთა მხარდაჭერა COVID პანდემიის პერიოდში”, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საამაყოა.

2020 წელს დაინერგა ახალი, მიკროსაფინანსო სექტორისთვის ინოვაციური პროდუქტები, გაუმჯობესდა კონტროლის მექანიზმები და ამაღლდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხი. ემბისის გუნდმა მოახერხა განვითარების მაღალი მაჩვენებლების შენარჩუნება და შეძლო დასახული მიზნების მიღწევა. სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის ერთობლივი ძალისხმევით კიდევ უფრო დაიხვეწა ორგანიზაციული სტრუქტურა, გაფართოვდა და განვითარდა სერვის-ცენტრების რეგიონალური ქსელი. წლის ბოლოს ემბისი 14 სერვის-ცენტრით იყო წარმოდგენილი საქართველოს მასშტაბით, ხოლო მისი გუნდი 182

პროფესიონალისგან შედგებოდა.
2020 წელს ემბისის გუნდმა წარმატებით გადაჭრა არსებული ამოცანები და ახალი გეგმები დაისახა, რაც შეუძლებელი იქნებოდა გუნდის მაღალი კომპეტენციის, კორპორატიული კულტურისა და სწორი ფასეულობების გარეშე. ჩვენ შევქმენით თანასწორი, სამართლიანი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემო, უზრუნველვყავით გენდერული ბალანსის დაცვა და პრიორიტეტულ მიმართულებად ქალების მხარდაჭერა და გაძლიერება განვსაზღვრეთ. კომპანიის გუნდის დიდი პოტენციალი მომავალშიც მიმართული იქნება მუდმივი განვითარებისაკენ, მომხმარებლისთვის მეტი სიახლის შეთავაზებისკენ და ფინანსურ ბაზარზე პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებისკენ.

პერსპექტივები და მომავლის ხედვა

2020 წელს ჩვენ გავუმკლავდით რთულ გამოწვევებს, მივაღწიეთ ძლიერ ფინანსურ შედეგებს, გვაქვს პროგრესი ყველა სტრატეგიული მიმართულებით, გავაძლიერეთ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, შევქმენით კიდევ უფრო მეტი სამუშაო ადგილი თბილისსა და რეგიონებში და რა თქმა უნდა, 2021 წლისთვის ამბიციური გეგმები დავსახეთ.
მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ემბისის მთლიან გუნდს გაწეული შრომისთვის, თავდადებისთვის და აქციონერებთან ერთად მივულოცო ჩვენი შედეგები და მიღწევები. ჩვენ ყველამ ერთად შევძელით და მოვახერხეთ პანდემიით გამოწვეულ ახალ რეალობასთან ადაპტაცია, ერთად გავაგრძელეთ კომპანიის და პირადი განვითარება.
დარწმუნებული ვარ, რომ თანამედროვე მიდგომებით, ჩვენი თანამშრომლების, დირექტორატის და აქციონერების ძლიერი სულისკვეთებით გავაგრძელებთ მდგრად განვითარებას, ჩვენი მომხმარებლებისთვის ფინანსურ რესურსებზე წვდომის გაზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას, სოციალური პროექტების განხორციელებას და COVID 19-ით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების მიუხედავად შევძლებთ დასახული მიზნების მიღწევას.

ემბისის პასუხი COVID 19-ზე

კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით ემბისიმ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა როგორც მომხმარებელთა და საზოგადოების მხარდაჭერის, ასევე თანამშრომელთა გაძლიერებისა და დაცვის თვალსაზრისით.
პანდემიის დაწყებისთანავე კომპანიამ უმოკლეს ვადებში დაიწყო სამოქმედო გეგმისა და საქმიანობის გაგრძელების სცენარების შემუშავება, განისაზღვრა პასუხისმგებელი განყოფილებები, შესრულების ვადები, პროექტები და მათი განხორციელების გზები. პარალელურ რეჟიმში დაიწყო მუშაობა ემბისის გუნდთან, მომხმარებლებთან და პარტნიორებთან.
2020 წლის მარტის დასაწყისში დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადავიდნენ თანამშრომლები, რომლებიც მაღალი რისკის ჯგუფებს მიეკუთვნებოდნენ. მალე მათ შეუერთდნენ ის თანამშრომლები, რომელთა სამუშაო სპეციფიკაც არ მოითხოვდა ადგილზე ყოფნას. უმოკლეს ვადებში გარდაიქმნა პროგრამული უზრუნველყოფა, რათა დისტანციურად მომუშავე თანამშრომლებს სრულყოფილად მუშაობა შეძლებოდათ. აპრილიდან მორიგეობით (2 კვირიანი შუალედით) დაიწყეს მუშაობა ფრონტ ოფისის თანამშრომლებმა. საგანგებო რეჟიმის დროს მათ ტრანსპორტირებას სრულად უზრუნველყოფდა კომპანია. დისტანციური მუშაობის რეჟიმი 2021 წელსაც არ შეცვლილა.
მარტის დასაწყისიდან დაიწყო თანამშრომლებისა და მომხმარებლების უსაფრთხოებაზე ზრუნვა და ოფისებში სადეზინფექციო სამუშაოების სისტემატიურად ჩატარება. ყველა ოფისი აღიჭურვა საჭირო ინვენტარით - დეზობარიერები, საინფორმაციო პოსტერები, შუშის ბარიერები. თანამშრომლები უზრუნველყოფილი იყვნენ და არიან ანტისპეტიკური საშუალებებით, ხელთათმანებით, პირბადეებით და სახის სპეციალური ფარებით. ყველა ოფისში გამოიყო მომხმარებლის კუთხე, სადაც განთავსდა უსაფრთხოების საშუალებები, პირბადეებს და ხელთათმანებს საჩუქრად გადავცემდით, მომსახურებისთვის ერთჯერად კალმებს ვიყენებდით.
საწყის ეტაპზე კორონავირუსზე საკმარისი ინფორმაცია არ გვქონდა, შესაბამისად, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ვირუსთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება იყო. ყველა საკომუნიკაციო არხი კორონავირუსთან დაკავშირებული მასალების გასავრცელებლად გამოვიყენეთ - როგორც თანამშრომლების, ისე მომხმარებლების ინფორმირებისთვის.

ემბისი იყო ერთ-ერთი პირველი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელმაც მომხმარებლებს საშეღავათო პერიოდით სარგებლობა შესთავაზა. პანდემიის განმავლობაში მომხმარებლების მუდმივი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ჩვენი მომხმარებლების უმეტესობა მცირე მეწარმეები და ფერმერები არიან, მათი საქმიანობისთვის განსაკუთრებით გადამწყვეტი იყო საშეღავათო პერიოდით სარგებლობის შესაძლებლობა.
საშეღავათო პერიოდით სარგებლობისთვის ჩვენი მომხმარებლების დაახლოებით 70%-მა მოგვმართა. ყველა განაცხადი დაკმაყოფილდა.
კომპანიამ საშეღავათო პერიოდის შემდგომ გადავადებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 1%-ით შეამცირა, რათა მომხმარებლებს გაადვილებოდათ ფინანსური ვალდებულებების მომსახურება.
საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე ემბისიმ ყველა სესხზე შეაჩერა ვადაგადაცილების საკომისიოს დარიცხვა ივლისის თვემდე. გარდა ამისა, მომხმარებლებს, რომლებმაც სესხის ძველ გრაფიკზე დაბრუნების სურვილი გამოთქვეს, მოთხოვნა ყოველგვარი საკომისიოს გარეშე დაუკმაყოფილდათ.
გადავადების ეტაპზე ემბისი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ეროვნულ ბანკთან და რეკომენდაციებს იღებდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინვესტორებისგან.
ჩვენი მომხმარებლების ნაწილისთვის ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება არსებობისთვის გადამწყვეტი ფაქტორი იყო. მაშინ, როცა ფინანსური ინსტიტუტების ნაწილმა სესხების გაცემა შეაჩერა, პანდემიის მიუხედავად შევძელით საქართველოს მასშტაბით ყველა ფილიალში გაგვეგრძელებინა მუშაობა და დამატებითი ფინანსური რესურსები შეგვეთავაზებინა მცირე ბიზნესისთვის.
2021 წელს, საკრედიტო პორტფელის ზრდასთან ერთად, ჩვენი მთავარი პრიორიტეტი იქნება ეფექტური რისკების მართვით აქტივების ხარისხის კონტროლი და სამიზნე მაჩვენებელზე ფოკუსირება. ამასთან, პანდემიიიდან გამომდინარე შექმნილმა კრიზისმა ჩვენი ციფრული სტრატეგია კიდევ უფრო განამტკიცა, გამოავლინა ახალი საინტერესო შესაძლებლობები და დააჩქარა ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების დანერგვის პროცესი.

გია პეტრიაშვილი
გენერალური დირექტორი

მაკროეკონომიკა და ბაზრის მიმოხილვა

2019 წლის ბოლოს ჩინეთში ახალი კორონავირუსი (COVID-19) გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე, მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს შეაფასა, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება ამ დრომდე არ მომხდარა. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობამ, კოვიდ-19 (COVID-19) ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით საგანგებო ვითარება გამოაცხადა, 2020 წლის 31 მარტიდან კი საყოველთაო კარანტინი ამოქმედდა, რის გამოც საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება მნიშვნელოვნად შეიზღუდა და სხვადასხვა სექტორის ეკონომიკურ საქმიანობაზე მთელი რიგი შეზღუდვები დაწესდა.

ვირუსის გავრცელებამ ეკონომიკას და ბიზნესს მნიშვნელოვანი გამოწვევები შეუქმნა მსოფლიო მასშტაბით. საქართველოს მთავრობამ COVID-19-ის კრიზისის შედეგების შესამსუბუქებლად რიგი ეკონომიკური ღონისძიებები დროულად განახორციელა, მათ შორის:

- ტურიზმთან დაკავშირებულ კომპანიებს გადაუვადდათ 4 თვის ქონების და საშემოსავლო გადასახადები;
- სასტუმროებმა მიიღეს საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსება;
- ისეთ პროდუქტებზე, როგორიცაა ბრინჯი, ფქვილი, მაკარონი, ხორბალი, ზეთი და ა.შ. მოხდა ფასების სუბსიდირება;
- მოწყვლად მოსახლეობას დაურიგდა სოციალური შემწეობა და დაუფინანსდა კომუნალური გადასახადები;
- ეროვნულმა ბანკმა შეარბილა საბანკო რეგულაციები და აამოქმედა ახალი ინსტრუმენტები ლიკვიდობის მიწოდების გამარტივების მიმართულებით;
- საბანკო სექტორმა 3 თვით გადაავადა სესხების მომსახურება (ამ ინიციატივას ემბისიც შეუერთდა).

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად პანდემიამ მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, მნიშვნელოვნად დაზარალდა ეკონომიკა, გაიზარდა უმუშევრობა, შემცირდა ტურიზმი, გაუფასურდა ეროვნული ვალუტა.

მშპ-ს რეალური ზრდა

2020 წელს Covid-19-ით გამოწვეულმა გლობალურმა პანდემიამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას, რაც აისახა როგორც მთლიანი ეკონომიკის ზრდაზე, ასევე ცალკეულ სექტორებზე.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს წინასწარი მონაცემებით 2020 წელს საქართველოს მშპ მიმდინარე ფასებში მხოლოდ 0,1 მილიარდი ლარით გაიზარდა, ხოლო რეალური მშპ-ს ზრდამ - 6,2% შეადგინა, მაშინ როცა გასულ წლებში ქვეყნის ეკონომიკის რეალური ზრდა დაახლოებით 5%-ს შეადგენდა.

აღნიშნული ვარდნა საგრძნობლად აღემატება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების 2020 წლის დასაწყისის ეკონომიკურ პროგნოზებს, კერძოდ, მსოფლიო ბანკის მოლოდინით 2020 წელს ეკონომიკური ვარდნა 2,8-4,4%-იან დიაპაზონში უნდა ყოფილიყო[1], ხოლო აზიის განვითარების ბანკი 0%-იან ზრდას პროგნოზირებდა[2].

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი (14,5%) საბითუმო და საცალო ვაჭრობას უკავია, შემდეგ მოდის უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა - 11,7%, დამმუშავებელი მრეწველობა - 10,8%, მშენებლობა - 8,9%.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო

მშპ-ს რეალური ზრდა, პროცენტი



წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო

დარგობრივ სტრუქტურაში წინა წელთან შედარებით ყველაზე მნიშვნელოვანი კლება განიცადეს შემდეგმა დარგებმა:

- განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები შემცირებულია 40,6%-ით;
- ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები შემცირებულია 34,4 %-ით;
- პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები შემცირებულია 14,58 %-ით;
- ხელოვნება, გართობა და დასვენება შემცირებულია 14,14 %-ით.

[1] წყარო: https://www.worldbank.org/en/news/press-release/2020/04/08/in-georgia-real-gdp-growth-projected-to-slow-due-to-impacts-of-covid19
[2] წყარო: https://www.adb.org/news/georgias-economy-recover-covid-19-impact-2021-45-growth-adb

მიმდინარე ანგარიში

2020 წელს საქართველოს საგადასახადო ბალანსის მიმდინარე ანგარიშმა -1 961 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, წინა წელთან შედარებით აღნიშნული დეფიციტი 1 004 მილიონი ლარით გაიზარდა. მშპ-სთან მიმართებით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წინა წლის 5,5%-დან 12,3%-მდე გაიზარდა.

ექსპორტ-იმპორტი

2020 წლის წინასწარი მონაცემებით ექსპორტი წინა წელთან შედარებით 465 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა და 3 342 მილიონ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 1 485 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა და 8 031 მილიონ აშშ დოლარი შეადგინა.
ექსპორტში მნიშვნელოვანი წილი უკავიათ: დსთ-ს ქვეყნებს - მთლიანი ექსპორტის 45%, ევროკავშირის ქვეყნებს - 21%, ჩინეთს - 16,6%.
იმპორტში მნიშვნელოვანი წილი უკავიათ: დსთ-ს ქვეყნებს - მთლიანი ექსპორტის 30%, ევროკავშირის ქვეყნებს - 23%, თურქეთს - 17,5%.

ფულადი გზავნილები

2020 წელს ფულადი გზავნილების ჯამურმა ჩარიცხვებმა 1 886 მილიონი აშშ დოლარი (წლიური ზრდა 8,8%) შეადგინა, ხოლო გადარიცხვებმა 247 მილიონი აშშ დოლარი (წლიური ზრდა 4%).
ჩარიცხვების განაწილება უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით შემდეგია: რუსეთის ფედერაცია - მთლიანი ჩარიცხვების 17,4%, იტალია - 14,3%, საბერძნეთი - 10,6%, აშშ - 10.5%.
გადარიცხვების განაწილება უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით, რუსეთის ფედერაცია - მთლიანი ჩარიცხვების 29%, თურქეთი - 17,4%, უკრაინა 9%, აზერბაიჯანი 5,9%.

წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი

ტურიზმი


პანდემიით გამოწვეული გადაადგილების შეზღუდვების გამო 2020 წელს საქართველოში ვიზიტორების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა და ჯამურად 91,8 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემის მხოლოდ 18%-ია. ვიზიტორები იყვნენ ძირითადად მოსაზღვრე ქვეყნებიდან: აზერბაიჯანიდან - 19,3%, თურქეთიდან - 18%, რუსეთის ფედერაციიდან - 15%, სომხეთიდან - 14.8 %.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2020 წლის წინასწარი მონაცემებით მნიშვნელოვანი კლება განიცადა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა, ჯამურად 2020 წელს სულ 616,9 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც წინა წლის მონაცემის – 1 310,8 მილიონი აშშ დოლარის მხოლოდ 47%-ია.
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით : საქართველოში ყველაზე დიდი პირდაპირი ინვესტორია გაერთიანებული სამეფო – ჯამური ინვესტიციების თითქმის 50%-ით, შემდეგ ნიდერლანდები 28%-ით, თურქეთი 17,5%-ით და აშშ 15%-ით.

წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო


უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები 2020 წლის წინასწარი მონაცემებით (მილიონი აშშ დოლარი)



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით: ყველაზე მეტ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას საქართველოში საფინანსო სექტორი იზიდავს – მთლიანი პირდაპირი ინვესტიციების 65%-ს, შემდეგ მოდის სამთომომპოვებელი მრეწველობა - 16,5%-ით, უძრავი ქონების სექტორი 11,6%-ით და დამმუშავებელი მრეწველობა 11%-ით.

წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით (მილიონი აშშ დოლარი)



დასაქმება, ხელფასები


პანდემიამ უმუშევრობის მაჩვენებელზეც იქონია გავლენა. 2020 წელს უმუშევართა რაოდენობამ 282 ათასი შეადგინა, რაც 5000-ით აღემატება წინა წლის მონაცემს, ხოლო უმუშევრობის დონე 2019 წლის 17,6%-დან 2020 წელს 18,5%-მდე გაიზარდა.
რაც შეეხება საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასს, 2020 წელს იგი გაიზარდა და 1227,3 ლარი შეადგინა, მაშინ როცა წინა წელს საშუალო ხელფასი 1129,5 ლარი იყო.

გაცვლითი კურსი და საერთაშორისო რეზერვები

2020 წლის ბოლოს წინა წლის ბოლოსთან შედარებით ლარი აშშ დოლართან 14,3%-ით, ხოლო ევროსთან მიმართებაში 25,4% ით გაუფასურდა. გამყარების ტენდენცია ჰქონდა ეროვნულ ვალუტას თურქულ ლირასთან და რუსულ რუბლთან მიმართებაში, შესაბამისად 7,5%-ით და 5,15%-ით.
მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების მიმართ ლარის გაუფასურებამ გავლენა იქონია რალურ ეფექტურ გაცვლით კურსზე (REER), რომელიც 7,4%-ით გაუფასურდა წინა წელთან შედარებით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი (NEER) 5,6%-ით გაუფასურდა.
საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2020 წელს სავალუტო აუქციონებზე ჯამში 873.222 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა, ხოლო აუქციონის მეშვეობით ვალუტის შესყიდვა არ განუხორციელებია, მაშინ როცა 2019 წელს ეროვნული ბანკის ინტერვენციებმა 92,8 მილიონი აშშ დოლარის გაყიდვა და 165 მილიონი აშშ დოლარის ყიდვა შეადგინა. მიუხედავად ამისა, ეროვნული ბანკის ოფიციალური სარეზერვო აქტივები 2020 წლის ბოლოს 3,9 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, მაშინ როცა წინა წლის ბოლოს მდგომარეობით 3,5 მილიარდი აშშ დოლარი იყო.

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

2020 წელს წლიურმა ინფლაციამ 2,4% შეადგინა, რაც მიზნობრივ 3%-იან მაჩვენებელზე ნაკლებია, შესაბამისად ეროვნულმა ბანკმა შეარბილა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და ამ განაკვეთმა 2020 წლის ბოლოს 8% შეადგინა, რაც წინა წლის ბოლოს მაჩვენებელზე 1%-ით ნაკლებია.



წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი

სახელმწიფო ბიუჯეტი

2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი კიდევ უფრო გაიზარდა და 4,3 მილიარდი ლარი შეადგინა, მაშინ როცა წინა წლის დეფიციტი 1,5 მილიარდი ლარი იყო. დეფიციტის ასეთი ზრდა ძირითადად ხარჯების ზრდით იყო განპირობებული. ნომინალურ მშპ-სთან მიმართებაში დეფიციტმა 8,6% შეადგინა და დადგენილ 3%-იან ზღვარს გადააჭარბა, რაც 5,6 პპ-ით მეტია წინა წლის 3% -იან მაჩვენებელზე.
წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


სახელმწიფო ვალი

2020 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ვალის ოდენობა, ხოლო მთავრობის ვალის მოცულობამ მშპ-სთან მიმართებით გადააჭარბა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ კანონით დადგენილ 60%-იან ზღვარს და 60.7% შეადგინა, აქედან 48% საგარეო ვალს, ხოლო 12,7 % საშინაო ვალს უკავია.

საქართველოს მთავრობის საგარეო ვალმა 2020 წლის ბოლოს მდგომარეობით 24,8 მილიარდი ლარი შეადგინა, მაშინ როცა წინა წლის ბოლოს მდგომარეობით მთლიანი საგარეო ვალი 16,5 მილიარდი ლარი იყო. საშინაო ვალმა, 2020 წლის ბოლოს 6,2 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2 მილიარდი ლარით აღემატება წინა წლის ბოლოს მონაცემს.

წყარო : საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მთავრობის ვალი ნომინალურ მშპ-სთან



საერთაშორისო რეიტინგი

მიუხედავად იმისა, რომ გასული 2020 წელი მთელი მსოფლიოსთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, გამოწვევებით იყო სავსე, უდიდეს სარეიტინგო სააგენტობს საქართველოსთვის მინიჭებული სუვერენული საკრედიტო რეიტინგები არ შეუცვლიათ, Moody's -Ba2 სტაბილური პერსპექტივით, S&P- BB რეიტინგი, სტაბილური პერსპექტივით, Fitch- BB რეიტინგი, პერსპექტივა სტაბილურიდან შეიცვალა ნეგატიურით.

ბიზნესის კეთების რეიტინგი

მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში 2020 წელს საქართველომ (190 ქვეყანას შორის) მე-7 ადგილი დაიკავა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჯამური ქულა 2020 წელს რეიტინგში წინა წელთან მიმართებაში 83,5-დან 83,7-მდე გაიზარდა, ქვეყნის პოზიციამ რეიტინგში 1 ადგილით მე-6 პოზიციიდან მე-7-მდე გადმოინაცვლა. საქართველოზე წინ რეიტინგში არიან ისეთი ქვეყნები როგორიცაა, ახალი ზელანდია, სინგაპური, ჰონგ-კონგი, დანია, სამხრეთ კორეა, აშშ.

2021 წლის ეკონომიკური პროგნოზი

COVID-19-ის პანდემიამ საქართველოს ეკონომიკას მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა. მობილობის შეზღუდვამ, საერთაშორისო ტურიზმის მოულოდნელმა შეჩერებამ, წამყვანი ეკონომიკური სექტორების დაპაუზებამ და სუსტმა საგარეო მოთხოვნამ 2020 წელს 6.2 პროცენტიანი ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია. უმუშევრობის ზრდამ და შემოსავლის დაკარგვამ სიღარიბის მაჩვენებელი დაახლოებით 5.4 პროცენტული ერთეულით გაზარდა. ფისკალურმა დეფიციტმა და სახელმწიფო ვალმა დადგენილ ზღვარს გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების პროგნოზის მიხედვით, 2021 წელს 3,5%-4% პროცენტით, ხოლო 2022 წელს 5 პროცენტით გაიზრდება.
საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2021 წელს ეკონომიკური ზრდა 3,5%, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელი 3,8% იქნება[3].

მსოფლიო ბანკი 2021 წელს 4%-იან, ხოლო 2022 წელს 5%-იან ზრდას პროგნოზირებს და აცხადებს: „2021 წელს ეკონომიკის გაუმჯობესების მიუხედავად, მთლიანი გამოშვება COVID-19-მდე არსებულ დონემდე 2022 წლის ბოლომდე ვერ აღდგება, რასაც დიდწილად განაპირობებს საერთაშორისო ტურიზმის პერსპექტივებზე არადამაიმედებელი პროგნოზები. ეკონომიკის აღდგენა მნიშვნელოვნად დამოკიდებული იქნება რისკებზე, მათ შორისაა - გაჭიანურებული ვაქცინაცია, დამატებითი შეზღუდვები, გლობალური ფინანსური პირობების გამკაცრება და გახანგრძლივებული პოლიტიკური დაძაბულობა.“
„საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპი 2021 წლის შემდგომ პერიოდში დამოკიდებული იქნება ვაქცინაციის პროგრამის განხორციელებაზე და ასევე, საერთაშორისო ვაჭრობასა და ინვესტიციების შემოდინებაზე. მდგრადი და მტკიცე განვითარებისთვის საქართველოს დასჭირდება უწყვეტი ფოკუსირება COVID-19-ის ინფექციის გავრცელების შენელებაზე, ფართომასშტაბიან ვაქცინაციაზე და ასევე, გრძელვადიანი გამოწვევების დაძლევაზე, მათ შორის, ორიენტირება ადამიანური კაპიტალის განვითარების, ინსტიტუციების გაძლიერების, ციფრული და მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობაზე,“ - განაცხადა სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სებასტიან მოლინეუსმა[4].

[3] წყარო: https://www.imf.org/en/Countries/GEO

[4] წყარო: https://thedocs.worldbank.org/en/doc/2e5409c131739aead82fb401a6b1ca03-0080012021/original/Press-Release-WB-ECA-Economic-Update-Georgia-March-2021-GEO.pdf

მიკროსაფინანსო ბაზარი


პანდემიისა და ეკონომიკური ვარდნის მიუხედავად, მიკროსაფინანსო სექტორმა შეძლო და 2020 წელს როგორც აქტივების, ისე სასესხო პორტფელის ზრდა დააფიქსირა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა და აქტიური სესხების რაოდენობა

2020 წელს გაგრძელდა მიკროსაფინანსო სექტორში რეგისტრირებულ მონაწილეთა კლების ტენდენცია, რასაც, თავის მხრივ, დამატებით შეუწყო ხელი პანდემიამ. 2020 წლის ბოლოს რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობამ 40 შეადგინა, მაშინ როცა წინა წლის ბოლოს რეგისტრირებული იყო 48 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. პანდემიის პირობებში სექტორი 8 მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ დატოვა.

2020 წელს მიკროსაფინანსო სექტორში აქტიური სესხების რაოდენობა 662 ათასს შეადგენდა, რაც წინა წელთან შედარებით 6,5%-ით არის შემცირებული.

წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი




მიკროსაფინანსო სექტორის აქტივები და პორტფელი

2020 წელს მიკროსაფინანსო სექტორის ჯამურმა აქტივებმა 1,5 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 7.1%-ით აღემატება წინა წლის მონაცემს. სექტორში აქტიური სესხების კლების მიუხედავად, მიკროსაფინანსო სექტორის მთლიანი პორტფელი 2020 წლის ბოლოს 1,2 მილიარდ ლარს შეადგენდა, ხოლო წლიური ზრდის ტემპი 4,9% იყო.

სექტორის რისკები


პანდემიის შედეგად სექტორის რისკები გაიზარდა, რაც შესაძლო დანაკარგების რეზერვის ზრდაში აისახა. 2020 წლის ბოლოს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი მთლიან სესხებთან მიმართებაში 8,1% იყო, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 1,1%-ით აღემატება.

წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი



სექტორის წილობრივი გადანაწილება

პორტფელის სიდიდის მიხედვით სექტორის წარმომადგენლების წილობრივი გადანაწილება შემდეგია: კრისტალი - 27,7%, რიკო კრედიტი - 25,7%, სვის კაპიტალი - 8,9%, ემბისი - 5,8%, ლაზიკა კაპიტალი - 4,5%, ხოლო დანარჩენ 39 მიკროსაფინანსოს ბაზრის პორტფელის 27.4% უკავია.



მისიის შესაბამისად, კომპანიის სტრატეგია ორიენტირებულია შექმნას შესაძლებლობები მცირე მეწარმეებისა და ფერმერების განვითარებისთვის და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების გზით ხელი შეუწყოს მიკრო ბიზნესის სტაბილურობას. ემბისის კონკურენტული უპირატესობა მომხმარებელზე ფოკუსირებული ბიზნეს მოდელია, რომელიც მიზნად ისახავს მიკროსაფინანსო სექტორში საუკეთესო მომსახურების შეთავაზებას.
კომპანია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მართვის სტანდარტებითა და მოწინავე პრაქტიკით, მუდმივ რეჟიმში ავითარებს პროდუქტებს და აუმჯობესებს მომსახურებას, ხელს უწყობს ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის ზრდას. სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილად რჩება თანამშრომლების განვითარება, მათ ცოდნაში ინვესტირება და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.

სტრატეგიული პრიორიტეტებია:
- ფინანსური პროდუქტების განვითარება და ეფექტიანი გამოყენება;
- ინოვაციური მიდგომების ინიცირება და დანერგვა მიკროსაფინანსო სექტორში;
- მომსახურების გაუმჯობესება და სრულყოფა;
- თანამშრომლების განვითარება;
- ფინანსური განათლების ხელშეწყობა.

ფინანსური პროდუქტების განვითარება და ეფექტიანი გამოყენება

კომპანია წარმოდგენილია 14 სერვის ცენტრით საქართველოს 7 რეგიონში. სტრატეგიის შესაბამისად, მომავალში აქტიურად იგეგმება რეგიონალური ქსელის განვითარება.
ემბისის მომხმარებლები მომსახურებას იღებენ როგორც სერვის ცენტრებში, ასევე ციფრული არხების საშუალებით. მომსახურება მოიცავს საკრედიტო და საოპერაციო პროდუქტების ფართო სპექტრს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის. ორივე მიმართულებით იგეგმება როგორც არსებული პროდუქტების სრულყოფა, ასევე ახალი პროდუქტებისა და სერვისების დამატება.
ემბისი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თავისი პროდუქტებისა და მომსახურების, შიდა სისტემების, პროცედურებისა და სხვადასხვა პოლიტიკის შემუშავებას, განახლებას, გამართულ ინტეგრაციას და უწყვეტ მონიტორინგს.
2020 წლის მდგომარეობით ემბისი მიკრისოსაფინანსო ორგანიზაციებს შორის მოწინავე ადგილზეა და საკრედიტო პორტფელის სიდიდის მიხედვით მე-4 პოზიციას იკავებს. კომპანიის მიზანია, შეინარჩუნოს ლიდერობა და ამავე დროს უზრუნველყოს დაწინაურება. მომავალ წელს ასევე განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრობა ფინანსურ და სოციალურ რეიტინგებს.
მნიშვნელოვანია, რომ 2020 წელს ემბისისთვის მაღალი საკრედიტო რეიტინგის „B+ სტაბილური“ მინიჭება განაპირობა ადეკვატურმა ფინანსურმა პორტფელმა, მოგებამ, მართვის მეთოდმა და კონკურენტულ ბაზარზე პოზიციონირებამ. ამასთან, მაღალი პოზიციის მიღწევის ერთ-ერთი ფაქტორი კომპანიის სტაბილური განვითარებაც გახდა.
საპროცენტო შემოსავალი რჩება შემოსავლის გენერირების ძირითად მიმართულებად. კომპანიაში, სტრატეგიის შესაბამისად, შემუშავებულია ძირითადი მაჩვენებლები (KPIs), რომელთა მეშვეობითაც იზომება ფინანსური და საოპერაციო საქმიანობით მიღწეული შედეგები. აღნიშნული მაჩვენებლები შეესაბამება ემბისის სტრატეგიას და დასახული მიზნების მიღწევასა და მდგრად ზრდას უზრუნველყოფს.

ინოვაციური მიდგომების ინიცირება და დანერგვა

თანამედროვე გარემოში ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება ფინანსური პროდუქტების ხელმისაწვდომობის, მოხერხებულობისა და ეფექტიანობის მხრივ მნიშვნელოვან ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ემბისისთვის მნიშვნელოვანია ინოვაციების წახალისება და საინტერესო იდეების მდგრად ფინანსურ მოდელად გარდაქმნის ხელშეწყობა, ისეთი ახალი პროდუქტების შეთავაზება, რომლებიც სწრაფი განვითარების შესაძლებლობას იძლევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ინოვაციური პროდუქტების სწრაფად და ეფექტიანად დანერგვა და მომხმარებლებისთვის შეთავაზება.
ემბისი მუდმივად მუშაობს ციფრული შესაძლებლობების, დისტანციური პროდუქტებისა და მომსახურების გაუმჯობესებაზე, ინოვაციური გადაწყვეტილებების განვითარებაზე როგორც მომხმარებლების, ასევე თანამშრომლების და მიზნობრივი ჯგუფების ხელშეწყობისთვის.

მომსახურების გაუმჯობესება და სრულყოფა

კომპანიის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს მომხმარებლებზე მუდმივი ზრუნვა და მომსახურების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება. განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება იმას, რომ საუკეთესო მომსახურების პროვაიდერი ვიყოთ მიკროსაფინანსო ბაზარზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად და წარმატებით განსახორციელებლად კომპანია მუდმივად სწავლობს მომხმარებელთა საჭიროებებს, ატარებს შესაბამის გამოკითხვებსა და კვლევებს, აქვს სისტემატური პირდაპირი კომუნიკაცია მომხმარებლებთან და ეფექტიანად იყენებს უკუკავშირის არხებს. ინფორმაცია მუშავდება და ანალიზდება, რაც შემდგომ გვეხმარება მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად გარდავქმნათ პროდუქტები და მომსახურება და მოვარგოთ ისინი მათ ინტერესებს. მსგავსი მიდგომა საშუალებას გვაძლევს, დავაკმაყოფილოთ მომხმარებლებთა მოლოდინი, გავითვალისწინოთ მათი მოთხოვნები და შევინარჩუნოთ მომსახურების მაღალი სტანდარტი.

თანამშრომელთა განვითარება

კომპანიის წარმატების საფუძველი და ყველაზე ღირებული აქტივი სწორედ თანამშრომელთა გუნდია. ამიტომაც მენეჯმენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მათთვის უსაფრთხო პირობების, განვითარების ხელშემწყობი, წამახალისებელი, კომფორტული და მეგობრული სამუშაო გარემოს შექმნას. პერსონალის მართვის სტრატეგია მთლიანად ორიენტირებულია მაღალი მოტივაციის სისტემაზე და ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობაზე.
ემბისი უზრუნველყოფს თანამშრომლების განვითარებაზე ზრუნვას, ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას, ქმნის პირობებს მათი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისათვის. კომპანია ფინანსურად უჭერს მხარს კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს.
თანამშრომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენტურობა მნიშველოვანი ფაქტორია კომპანიის განვითარებისთვის. ემბისის გუნდი პროფესიონალიზმით, ცოდნით, გამოცდილებითა და მაღალი მოტივაციით გამოირჩევა.

ფინანსური განათლების ხელშეწყობა

საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების, ფინანსური განათლების ამაღლება ემბისის ერთ-ერთი პრიორიტეტული და სტრატეგიაში ასახული ამოცანაა, რამდენადაც სწორედ ფინანსური განათლებაა ის საბაზისო უნარი, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა ფინანსური კეთილდღეობა და სტაბილურობა.
ემბისიში შეიქმნა მდგრადი პროექტი “ფინანსური მრჩეველი”, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობას, მეწარმეებს, ფერმერებს აქვთ საშუალება მიიღონ რჩევები და გაეცნონ შესაბამის კონტენტს, ასევე პროექტის ფარგლებში დაესწრონ ტრენინგებსა და ვორქშოპებს. პროექტის ფარგლებში იგეგმება გასვლითი ღონისძიებები სკოლებში, უნივერსიტეტებში. პანდემიის პერიოდში შესაბამისი მომსახურება მიიღეს დაზარალებული სექტორების წარმომადგენლებმა ტურიზმის სფეროში, სოციალურმა საწარმოებმა და რეგიონებში მომუშავე სათემო ორგანიზაციებმა.
"ფინანსური მრჩეველი“ მიზნად ისახავს გუნდის გამოცდილება და ცოდნა გაუზიაროს ადამიანებს, ვისაც ეს სჭირდება.

ემბისისთვის მნიშვნელოვანია პროგრესი, წარმატება და მდგრადი განვითარება, შესაბამისად, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს სტრატეგიის განხორციელებაზე დაკვირვება, კომპანიის მიერ შემუშავებული მიზნების და ძირითადი მაჩვენებლების შესაბამისობის კონტროლი.
ჩვენ მიზნად დავისახეთ მომხმარებლებს გავუწიოთ მათ საჭიროებებზე მორგებული, გამჭვირვალე და მაღალი ხარისხის მომსახურება, რათა ხელი შევუწყოთ სოციალური სარგებლის მაქსიმიზაციას.

ძირითადი შედეგების მიმოხილვა

მსოფლიო პანდემიის გამო 2020 წელს არსებულმა სირთულეებმა შესაბამისი გავლენა იქონია ემბისის ფინანსურ შედეგებზეც, მიუხედავად ამისა, მიღწეული იქნა დაგეგმილი ზრდის მაჩვენებლები. მთლიანი აქტივები **12%**-ით გაიზარდა და 2020 წლის ბოლოს **78.2 მილიონი ლარი** შეადგინა. მთლიანი აქტივების ზრდის ძირითადი მიზეზი მთლიანი სესხების **16%**-იანი ზრდა იყო, რომელმაც წლის ბოლოს **68.6 მილიონი ლარი** შეადგინა. 2020 წელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბაზარზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება და აქტიური სამუშაო პროცესის შენარჩუნება, რათა მსესხებლებისთვის ფინანსური მხარდაჭერა გამოგვეცხადებინა. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის მესამე კვარტალში კომპანიას მცირე ლიკვიდური სახსრები ჰქონდა, მაინც არ შეუჩერებია აქტიური საქმიანობა და ცდილობდა არ შეეზღუდა ფინანსურ რესურსებზე წვდომა მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. ემბისი ორიენტირებული იყო საქართველოს რეგიონებში ბიზნეს და აგრო სესხებში ფინანსირების ზრდაზე. ამის საპასუხოდ, 2020 წელს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 3 ახალი სერვის-ცენტრი გაიხსნა და ახალ ლოკაციებზე დაიწყო კლიენტების მომსახურება. ზრდის პარალელურად, მნიშვნელოვანი იყო საკრედიტო რისკების დაბალ ნიშნულზე შენარჩუნება, რის საპასუხოდაც გამკაცრდა შიდა კონტროლის მექანიზმები და დაწესდა გარკვეული შეზღუდვები ახალი კლიენტების მომსახურების დროს. ემბისის მკაცრი რისკების პოლიტიკის შედეგად, 2020 წლის ბოლოს მთლიანი სესხების გაუფასურების კოეფიციენტმა **2.5%** შეადგინა, რაც 2019 წლის მონაცემს მხოლოდ 1.2%-ით აღემატებოდა. ასევე დაბალ ნიშნულზე შენარჩუნდა გაუფასურების ხარჯის კოეფიციენტი საშუალო პორტფელთან მიმართებაში, რომელმაც 2020 წელს **1.2%**, ხოლო 2019 წელს 1% შეადგინა.

საკრედიტო რისკების მართვასთან ერთად, 2020 წელს ლიკვიდური სახსრების მართვაც უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა. მესამე კვარტალში არსებული დანაკლისი სრულად აღმოიფხვრა მეოთხე კვარტალში და წლის ბოლოს ეროვნული ბანკის დადგენილი საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი **22.5%**-ს შეადგენდა. ლიკვიდური სახსრების მართვაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ადგილობრივი და საერთაშორისო ფინანსური ინტიტუტებისგან მოზიდულმა სახსრებმა. პანდემიის გამო ბაზარზე შემცირებული ფინანსური ინვესტიციების მიუხედავად, კომპანიამ შეძლო როგორც არსებული, ისე ახალი საერთაშორისო საფინანსო ინსტუტებისგან წინა ინვესტიციებთან შედარებით დაბალ განაკვეთში, გრძელვადიანი, არაუზრუნველყოფილი **7.9 მილიონი ლარის** ეკვივალენტი დოლარის სესხების მოზიდვა. 2020 წლის ბოლოს ფინანსური ინსტიტუტებისგან მოზიდული სახსრები მთლიანი მოზიდული სახსრების **75%**-ს შეადგენდა.

2020 წელს მთლიანი კაპიტალი **5%**-ით გაიზარდა და **17.6 მილიონი ლარი** შეადგინა. საწესდებო კაპიტალში მნიშვნელოვანი ინვესტიციები არ განხორციელებულა. 2020 წელს განაწილდა 2019 წლის პრივილეგირებული აქციების დივიდენდის ნაწილი, რომელმაც 0.7 მილიონი ლარი შეადგინა. გაუნაწილებელი მოგება კი 1.5 მილიონი ლარით გაიზარდა. ისევე, როგორც 2019 წელს, კომპანია წარმატებით ასრულებდა ეროვნული ბანკის დადგენილი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნას, რომლის მინიმალური ზღვარიც 18%-ია, ემბისის მაჩვენებელი კი 2020 წლის ბოლოს **30%** იყო.

2020 წლის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა ღია პოზიციების მართვა და ჰეჯირების ხარჯების მინიმიზაცია იყო. 2020 წელს ლარის აშშ დოლართან მიმართებაში 14%-იანმა გაუფასურებამ და ჰეჯირების საბაზრო ფასის ზრდამ უარყოფითად იმოქმედა კომპანიის შედეგებზე. წმინდა ზარალი გადაფასებიდან და უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან 1.8 მილიონი ლარი იყო, რაც 2019 წლის მონაცემზე 1.4 მილიონი ლარით მეტს შეადგენდა. კომპანიის მომგებიანობაზე უარყოფითი გავლენა ძირითადად სწორედ სავალუტო პოზიციების მართვიდან მიღებულმა ზარალმა მოახდინა. პანდემიის პერიოდში კომპანიამ შეძლო საოპერაციო ხარჯების ეფექტიანად მართვა, რის შედეგადაც პერსონალისა და სხვა საოპერაციო ხარჯები 2020 წელს 2019 წელთან შედარებით შემცირდა და საშუალო პორტფელთან მიმართებაში 9% (-1.9 pp) შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის წმინდა მოგება 2019 წლის შედეგზე ნაკლები იყო, კომპანიამ შეძლო ბაზართან მიმართებაში მაღალი მომგებიანობის კოეფიციენტების შენარჩუნება და 2020 წლის ბოლოს უკუგება საშუალო აქტივებზე **2.0%**-ს (-2.1 pp), ხოლო უკუგება საშუალო კაპიტალზე **8.7%**-ს (-7.4 pp) შეადგენდა.

რისკების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და ძირითადი პრინციპები

რისკების მართვა კომპანიის საქმიანობის კრიტიკულად მნიშვნელოვან მიმართულებას და ფუნდამენტურ პრიორიტეტს წარმოადგენს. კომპანიაში არსებული რისკების მართვის სისტემა ემყარება საერთაშორისო სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკას და სრულად ითვალისწინებს მარეგულირებელ მოთხოვნებს. კომპანიის რისკების მართვა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- რისკების გამჭვირვალედ მართვა სანდოობის მოსაპოვებლად;
- რისკების გონივრული მართვა კომპანიის სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის;
- რისკების მართვა კომპანიის სტრატეგიის და მიზნების განხორციელების ხელშეწყობისთვის;
- რისკების მართვა კომპანიის კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად.

რისკების მართვის პროცესში ჩართულია კომპანიის ყველა თანამშრომელი, რომელთა პასუხისმგებლობა რისკების მართვის პროცესში ნათლად არის განსაზღვრული და გაწერილი კომპანიის რისკების დებულებასა და შიდა ნორმატიულ დოკუმენტებში.

სამეთვალყურეო საბჭო

კომპანიაში რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბებას და მონიტორინგს სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს. რისკების მართვის სისტემა მოიცავს ძლიერი რისკების კულტურის ჩამოყალიბებას/დამკვიდრებას, ჯანსაღი და კომპანიისთვის მისაღები რისკ-აპეტიტის განსაზღვრას და მის ჩარჩოში ოპერირებას, ნათლად განსაზღვრულ და გაწერილ პასუხისმგებლობებს, რისკების მართვისა და კონტროლის ფუნქციების კუთხით. კომპანიიის რისკ-აპეტიტი და რისკების მართვის მიდგომები განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული „რისკების მართვის პოლიტიკით“, რომლის მიხედვითაც ხდება კომპანიის რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი, მართვა, შესაბამისი ლიმიტების დაწესება, მათი მუდმივი მონიტორინგი და კონტროლი. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ პოლიტიკის გადახედვა ხდება რეგულარულად, ბაზარზე არსებული პირობების გათვალისწინებით.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა ნათლად განსაზღვრავს რისკების მართვის ორგანიზაციულ პასუხისმგებლობებს და დამყარებულია „დაცვის სამი ხაზის“ პრინციპებზე, რაც მოიცავს:

1) ბიზნესის ხაზი - რისკების ამღებთა ხაზი, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის პროდუქტების, საქმიანობების, პროცესების, სისტემების რისკების პირველად იდენტიფიკაციაზე, შეფასებაზე, მართვაზე, მონიტორინგსა და ანგარიშგებაზე. დაცვის პირველი ხაზი მოქმედებს კომპანიის რისკ-აპეტიტის, პოლიტიკების, პროცედურებისა და ინსტრუქციების შესაბამისად. ბიზნესის ხაზს რეგულარულად უტარდება ტრენინგები კომპანიის რისკის კულტურის და რისკების მართვის პრინციპების ცნობიერების ასამაღლებლად;

2) რისკების დეპარტამენტი - კომპანიაში რისკების მართვის ფუნქციის ეფექტიან განხორციელებას უზრუნველყოფს რისკების დეპარტამენტი, რომელსაც რისკების დირექტორი ხელმძღვანელობს. დეპარტამენტის ფუნქცია-ამოცანები მოიცავს რისკების მართვის სისტემების, პოლიტიკების, პროცესების, რაოდენობრივი მოდელების, ანგარიშგების და რისკების მართვის მიმართულებით თანამშომელთა ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვას. ყოველივე აღნიშნული ჯანსაღი და ეფექტური რისკების მართვის სისტემის საფუძველს წარმოადგენს და კომპანიის სტრატეგიული მიზნებისა და რისკების საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას ემსახურება. რისკების დეპარტამენტი უზრუნველყოფს რისკის შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას და განსაზღვრული რისკ-აპეტიტის პარამეტრებში კომპანიის ოპერირების მონიტორინგს. გარე და შიდა რისკის ფაქტორების იდენტიფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე რისკების შემცირების მიზნით დეპარტამენტი უზრუნველყოფს პროცედურების და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებას. რისკების დეპარტამენტი დამოუკიდებელია დაცვის პირველი ხაზისგან და მონიტორინგს უწევს კომპანიის მიერ რისკების აღების პროცესებს, აფასებს რისკებსა და ამასთან დაკავშირებულ საკითხებს ბიზნეს ხაზისგან დამოუკიდებლად. რისკების დეპარტამენტის ფუნქციაში ასევე შედის კომპანიის რისკების სრულყოფილი იდენტიფიცირება, შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი, კანონმდებლობასთან, კორპორაციული მართვის წესებთან და შიდა პოლიტიკასთან პროცესების შესაბამისობის მონიტორინგი და სამეთვალყურეო საბჭოსადმი და დირექტორატისადმი პირდაპირი რეგულარული ანგარიშგება;

3) შიდა აუდიტი - შიდა აუდიტი დამოუკიდებელია პირველი და მეორე ხაზისგან. შიდა აუდიტის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის, დაცვის პირველი და მეორე ხაზების და რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოს თანამიმდევრულობის და ეფექტიანობის შეფასება. შეფასებაზე დაყრდნობით შიდა აუდიტი გასცემს რეკომენდაციებს რისკების მართვის სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით.

COVID-19 კრიზისის საპასუხოდ განხორციელებული ქმედებანი

- **თანამშრომელთა და მომხმარებელთა უსაფრთხოება** - ემბისის, როგორც სოციალურად მაღალი პასუხისმგებლობის მქონე კომპანიის სერვის ცენტრებში, COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, ზედმიწევნითაა დაცული დაავადებათა კონტროლისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციების რეკომენდაციები. კომპანიამ უმოკლეს ვადაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადადგა როგორც თანამშრომელთა, ასევე მომხმარებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ემბისის თითოეული თანამშრომელი აღჭურვილია სპეციალური პირბადეებით,

ფარებით, ხელთათმანებითა და სადეზინფექციო საშუალებებით. აღნიშნული ინვენტარი, რა თქმა უნდა, ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვისაც. სერვის ცენტრებში დამონტაჟდა მომხმარებელსა და თანამშრომლებს შორის ორგანული მინის სპეციალური გამყოფები, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს პირდაპირი კონტაქტი. სერვის ცენტრში ხელმისაწვდომია ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების გზების შესახებ ზოგადი რეკომენდაციები, პირადი ჰიგიენისა და დისტანციის დაცვის თხოვნის შემცველი სპეციალური პოსტერები, ასევე, მომსახურების მიღებისას მომხმარებლებისთვის გასათვალისწინებელი ყველა აუცილებელი უსაფრთხოების წესი. კომპანიის სათავო ოფისსა და სერვის ცენტრებში რეგულარულად ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები. თანამშრომელთა ნაწილი გადაყვანილია დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, გადაადგილების შეზღუდვების პერიოდში განხორციელდა თანამშრომელთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადავიდნენ თანამშრომლები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მაღალ რისკს მიეკუთვნებიან, აგრეთვე ის თანამშრომლები, რომელთა საქმიანობის სპეციფიკა ამის საშუალებას იძლევა. ემბისის მთავარ აქტივს და ღირებულებას წარმოადგენენ მომხმარებლები და თანამშრომლები. აქედან გამომდინარე, კომპანიის ხელმძღვანელობა უწყვეტ რეჟიმში აანალიზებს რისკებს, საქართველოში შექმნილ ვითარებას და ქვეყნის ჯანდაცვის სამსახურების რეკომენდაციებზე დაყრდნობით დროულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

- **ბიზნესის უწყვეტობის გეგმა** - პანდემიის გამოცხადებისთანავე კომპანიამ უმოკლეს ვადაში შეიმუშავა და დაამტკიცა ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, რომელშიც ნათლად გაიწერა კომპანიის მხრიდან გასატარებელი კონკრეტული ქმედებანი ქვეყანაში პანდემიური ვირუსის გავრცელებით მოვლენების განვითარების სხვადასხვა შესაძლო სცენარის პირობებში გამოწვეული რისკების პრევენციის მიზნით. გეგმა მიზნად ისახავდა განვითარების სხვადასხვა სცენარის პირობებში კომპანიის ბიზნესის უწყეტობის ხელშეწყობას და რისკების ოპტიმიზაციას. კორონავირუსის პრევენციისა და შესაბამისი რისკების მიტიგაციის მიზნით შეიქმნა საჭიროების შემთხვევაში რეორგანიზაციის განხორციელების გეგმა;
- **სესხების გადავადების პროექტი** - მიმდინარე მოვლენების პასუხად და თავის მომხმარებელზე ზრუნვის მოტივით ემბისი საკუთარი სურვილით შეუერთდა კომერციული ბანკების დაანონსებულ ინიციატივას სესხებზე საშეღავათო პერიოდის დაწესების თაობაზე, რომლის ფარგლებშიც მომხმარებელს სესხის გადახდის 3-თვიანი საშეღავათო პერიოდი შესთავაზა. ამით მომხმარებელს პანდემიით გამოწვეული შოკის შესარბილებლად დამატებითი დრო მიეცა.
- **ემბისის „სოლიდარობის ფონდი“** - შეიქმნა და დამტკიცდა ფონდის დებულება, რომლის მიზანია ფონდში არსებული სახსრებით თანამშრომლებისთვის მატერიალური დახმარების გაწევა კორონავირუსით (COVID 19) მათი ინფიცირების შემთხვევაში;
- **სესხების პატიების პროექტი** - ემბისიმ პანდემიით მძიმედ დაზარალებულ მომხმარებლებს საკუთარი ინიციატივით აპატია სესხები.

საკრედიტო რისკების მართვა

საკრედიტო რისკი წარმოადგენს მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკს. ვინაიდან კომპანიის აქტივების 90%-ზე მეტს საკრედიტო პორტფელი წარმოადგენს, საკრედიტო რისკი კომპანიისთვის ყველაზე მატერიალური რისკია. აქედან გამომდინარე საკრედიტო რისკების გონივრული მართვა კომპანიისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ჯანსაღი და სტაბილური პორტფელის შექმნის მთავარ წინაპირობას წარმოადგენს გაწონასწორებული საკრედიტო პოლიტიკა, ძლიერი შიდა კონტროლის მექანიზმები, რისკების დივერსიფიკაცია და გუნდის სწორი მოტივაცია.

- **პორტფელის რისკის ანალიზი** - რისკების დეპარტამენტი მუდმივად ახორციელებს პორტფელის რისკების ანალიზს, რომლის მიზანია პორტფელში რისკების კონცენტრაციის გამოვლენა და მისი შემცირების მიზნით მიტიგაციის ზომების განსაზღვრა და გატარება. პორტფელის რისკების შედეგებზე ანგარიშგება დირექტორატს ყოველთვიურად წარედგინება;
- **პორტფელის დივერსიფიკაცია** - საკრედიტო რისკების მართვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი პორტფელის დივერსიფიკაციაა. ემბისიში დივერსიფიკაცია ხორციელდება მომხმარებლის ტიპის, გეოგრაფიული არეალის, საქმიანობის და სექტორის კონცენტრაციის მიხედვით;
- **სესხების მახასიათებლები** - კომპანიის სესხები შედარებით მოკლევადიანია. სესხები დენომინირებულია ეროვნულ ვალუტაში, რაც ამცირებს მსესხებლის სავალუტო რისკებს. სესხები უზრუნველყოფილია, რაც საკრედიტო რისკების მიტიგაციის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს;
- **სესხების დანაკარგების რეზერვი** - ადეკვატური რეზერვის შექმნა საკრედიტო რისკების მართვის ფუნდამენტს წარმოადგენს. ემბისი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მისოებისთვის რეზერვირების წესით განსაზღვრულ პრინციპებთან მიმართებით უფრო კონსერვატიულ მიდგომას იყენებს, რაც გამოიხატება იმით, რომ სესხის უზრუნველყოფის ხარისხის (მყარი/არამყარი) მიუხედავად ემბისი სესხებს უფრო კონსერვატიული არამყარი სქემით არეზერვებს.
- **სესხების კომიტეტი** - სესხებზე გადაწყვეტილებას იღებს საკრედიტო კომიტეტი, რომელიც დამოუკიდებელი ორგანოა. კომპანიაში მკაფიოდაა გამიჯნული საკრედიტო ანალიზისა და კრედიტის დამტკიცების პროცესში მონაწილე მხარეთა მოვალეობანი. კომიტეტის წევრების უფლებები განსაზღვრულია საკრედიტო კომიტეტის ლიმიტების დოკუმენტით. დოკუმენტში ლიმიტების დიფერენციაცია ხდება პროდუქტის, სესხის მოცულობის, უზრუნველყოფის ტიპის, გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით. საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილებანი ეფუძნება პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებს, რაც გულისხმობს, რომ მსესხებელს შეუძლია სესხის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდა ფინანსური სირთულეების გარეშე განახორციელოს. კომიტეტის დამტკიცებული სესხი უნდა ემსახურებოდეს მსესხებლის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

საოპერაციო რისკების მართვა:

• **საოპერაციო რისკების ჩარჩო** - ემბისიში დანერგილია საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც მუდმივ რეჟიმში ხორციელდება საოპერციო რისკების იდენტიფიკაცია და იდენტიფიცირებულ რისკებთან მიმართებით რისკის მინიმიზაციის და კონტროლის მექანიზმების შემუშავება, დანერგვა და რისკის მონიტორინგი;

• **ინციდენტების მართვა** - ემბისი ახორციელებს საოპერაციო ინციდენტების გამოვლენას, შეგროვებას, აღრიცხვას და კლასიფიკაციას, რაც ეფუძნება ბაზელის კომიტეტის მეთოდოლოგიას და შეესაბამება კომერციული ბანკების მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებს;

• **შესაბამისობა** - საკანონმდებლო მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად კომპანიას შექმნილი აქვს შესაბამისი მართვის სისტემები და პროცესები, რომლებიც ოპერაციების ყველა დონეზეა გათვალისწინებული;

• **თანამშრომელთა სწავლება** - ემბისის თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგები მათ სამუშაო პროცესში არსებული რისკების შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით;

• **ანგარიშგება** - ემბისის დირექტორატს პერიოდულად წარედგენება ანგარიში, როგორც კომპანიის მასშტაბით სხვადასხვა პროცესებში დანერგილი რისკის მინიმიზაციის და კონტროლის მექანიზმების მიმართულებით შესრულებული სამუშაოს, ისე მომავალში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

AML/CFT რისკების მართვა:

• **პოლიტიკა/პროცედურები** - ემბისიში მოქმედებს AML/CFT პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შემუშავებული სახელმძღვანელოებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ითვალისწინებს FATF-ის რეკომენდაციებით დადგენილ კრიტერიუმებს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;

• **თანამშრომელთა სწავლება** - AML განყოფილება ემბისის ყველა შესაბამის თანამშრომელს უტარებს ტრენინგს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ამგვარ ტრენინგებს თანამშრომლებს უტარებენ სამსახურის დაწყებისთანავე და შემდგომი სწავლების მიზნით საქართველოს კანონმდებლობის ან შიდა ინსტრუქციის ცვლილებების შემთხვევებში;

• **ანგარიშგება** - ემბისის მენეჯმენტის ML/TF რისკებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით ემბისის დირექტორატს პერიოდულად წარედგენება ანგარიში კომპანიაში განხორციელებული AML/CFT კონტროლის შედეგების, გასატარებელი ღონისძიებებისა და შესრულებული სამუშაოს შესახებ;

• **პროგრამული უზრუნველყოფა** - ემბისი მუდმივად აახლებს პროგრამულ უზრუნველყოფას იმ მიზნით, რათა უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა და პროცესების ავტომატიზირება, რისკების შემცირება და ეფექტიანობის ზრდა. ემბისის პროგრამულ უზრუნველყოფაში ინტეგრირებულია Thomson Reuters-ის შავი სიების მოდული, რომელიც საერთაშორისო სიებისგან შედგება და 600-ზე მეტ კრიმინალურ, სანქცირებულ, ტერორისტთა და ტერორიზმში ეჭვმიტანილ და პოლიტიკურად აქტიურ პირთა სიას მოიცავს.

2020 წლის ძირითადი მიღწევები:

• კომპანიის მყარ და სტაბილურ რისკის პროფილს ნათლად მოწმობს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Scope-სგან მინიჭებული, მიკროსაფინანსო ბაზარზე უმაღლესი, საკრედიტო B+ რეიტინგი, რომელიც კომპანიამ პანდემიის პირობებშიც უცვლელად შეინარჩუნა;

• კომპანიამ პანდემიის პირობებშიც კი შეძლო და დამატებით ორი ახალი საფინანსო ინსტიტუტისგან (როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური) მოიპოვა დაფინანსება, რაც კომპანიის მყარი და სტაბილური რისკის პროფილის დამსახურება და შედეგია;

• ახალი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად განახლდა AML/CFT პოლიტიკა. ასევე ცვლილებები განხორციელდა პროგრამულ უზრუნველყოფაში, გაუმჯობესდა AML/CFT კონტროლის მექანიზმები და რიგი პროცესების ავტომატიზაცია;

• დამტკიცდა „ML/TF ორგანიზაციული რისკის შეფასების პოლიტიკა“, რომელიც კომპანიას საშუალებას აძლევს ML/TF რისკების მართვისათვის საჭირო ძირითადი მიმართულებების შესახებ მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები, გაარკვიოს, თუ რამდენად მგრძნობიარეა მისი ორგანიზაცია ML/TF საფრთხეების მიმართ და იდენტიფიცირებული რისკ-ფაქტორების სათანადო ანალიზზე დაყრდნობით შეიმუშავოს ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემა;

• ემბისის მასშტაბით ჩატარდა AML/CFT ტრენინგები და ტესტირება იმ თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, რომელთა საქმიანობაც, მათთვის დაკისრებულ უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე, პირდაპირ დაკავშირებულია AML/CFT საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვასთან;

• ემბისის მომხმარებელთან დისტანციური, უკონტაქტო საქმიანი ურთიერთობის დამყარების მიზნით დაინერგა დისტანციური იდენტიფიკაციის პროცედურა, რომლის შეთანხმებაც მოხდა საქართველოს ეროვნულ ბანკთან. აღნიშნული სერვისი მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, დაზოგონ დრო, ხარჯები და ემბისიში მიუსვლელად მიიღონ მომსახურება;

• შემუშავდა ბოლო on-site შემოწმების შედეგად დადგენილი რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა და იგი წარედგინა საქართველოს ეროვნული ბანკს. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულება კომპანიამ წარმატებით, დადგენილი ვადების შესაბამისად განახორციელა;

• დამტკიცდა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ISO / IEC 17799 საერთაშორისო სტანდარტის პრინციპებს;

• დაინერგა საოპერაციო ინციდენტების მართვის პროცესი და შემუშავდა ინციდენტების გამოვლენის, შეგროვების, აღრიცხვის და კლასიფიკაციის პროცედურა- მეთოდოლოგიები;

• დაინერგა ელექტრონული არქივი და შემუშავდა შესაბამისი ინსტრუქცია.

კომპანიის რისკების მართვის სწორი მიდგომები დასტურდება სტაბილურად დაბალი და მდგრადი რისკების მაჩვენებლებით, როგორც უშუალო კონკურენტებთან, ასევე ბაზართან მიმართებით, რასაც კომპანია ინარჩუნებს როგორც სტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოში, ასევე პანდემიით გამოწვეულ შოკურ მდგომარეობაში. ეკონომიკური გარემოს მნიშვნელოვანი ცვალებადობის მიუხედავად, კომპანია ინარჩუნებს სწრაფი ზრდის ტემპს პორტფელის მაღალი ხარისხის პირობებში. რისკების პარამეტრების თვალსაზრისით ემბისი ერთ-ერთი საუკეთესოა თავის სექტორში.



კორპორაციული პასუხისმგებლობა

ემბისისთვის პასუხისმგებლობიანი ბიზნესი არის მუდმივი საქმიანობა, რომელიც მოიცავს კომპანიის წილ პასუხისმგებლობას თანამშრომლებზე, მომხმარებლებზე, ფართო საზოგადოებაზე და იმ გარემოზე, რომელშიც უწევს ოპერირება.

დაარსების დღიდანვე კომპანიამ მიზნად დაისახა მიკროსაფინანსო ბაზარზე სანდო და გამჭვირვალე რეპუტაციის დამკვიდრება. იგი მთავარ წარმატებად მიიჩნევს ორგანიზაციულ კულტურას, კორპორაციული მართვის სტილს, დასაქმების თანაბარ პირობებსა და ჯანსაღ კონკურენციას, გამოცდილ გუნდს და მყარ ფინანსურ პარტნიორებს.

კორპორაციული პასუხისმგებლობა და შესაბამისი ღირებულებითი ჩარჩოები აბსოლუტურ თანხვედრაშია კომპანიის ბიზნეს-ფილოსოფიასთან.

ემბისის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: გარემოს დაცვა, ქალთა სოციალური და ეკონომიკური გაძლიერება, ფინანსური განათლების მხარდაჭერა, შრომითი უფლებები, ახალგაზრდების მხარდაჭერა.

ემბისი არის ისეთი ადგილობრივი და საერთაშორისო ქსელების წევრი, რომლებიც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას უწყობენ ხელს. ესენია: Global Compact, CSR Club, Georgian Pro Bono Network , UN Women, MFC, Smart Campaign. ასევე, ისეთი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მხარდამჭერია, რომლებიც საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების მხარადასაჭერად მუშაობენ.

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა

გარემოს დაცვა კომპანიის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია და ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. კომპანიის მიზანია მაქსიმალურად შეამციროს საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, უზრუნველყოს ნარჩენების გადამუშავება და დასუფთავება – გადამუშავების აქციებში აქტიური ჩართულობა. ემბისის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პოლიტიკის კოორდინაციასა და კონტროლს, სისტემატიურად უწევს ზედამხედველობას და ასევე ახალისებს კომპანიაში ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ემბისი გამოყოფს ადამიანურ და ფინანსურ რესურებს გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად. კომპანია აწარმოებს მომხმარებლების, ინვესტორებისა და ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირებას დაგეგმილი გარემოსდაცვითი აქტივობებისა და ინიციატივების შესახებ. კომპანიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მდგრადი გარემოსდაცვითი აქტივობების დაგეგმვა და ამ აქტივობებში თანამშრომლების ჩართვა, მათი ინიციატივების განხილვა და განხორციელება.

ფინანსური განათლების მხარდაჭერა

ფინანსური განათლება ემბისის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიული მიმართულებაა, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება პარტნიორებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ფინანსურმა განათლებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 2020 წლის გამოწვევებთან ბრძოლაში.

პანდემიის მიუხედავად, კომპანიამ გააგრძელა პროექტის "ფინანსური მრჩეველი" განხორციელება, რომლის ფარგლებშიც უფასო კონსულტაციები შევთავაზეთ მეწარმეებს, დაინტერესებულ მოქალაქეებს და იმ სექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც განსაკუთრებულად დაზარალდნენ პანდემიის გამო. „ფინანსური მრჩევლის“ გუნდმა ტურიზმის სექტორში დასაქმებული მოქალაქეებისთვის და სასტუმროების/გესთჰაუზების ხელმძღვანელებისთვის



ჩაატარა ტრენინგების ციკლი ფინანსური განათლების , მარკეტინგის და სოციალური მედიის მიმართულებით.

ემბისი ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით განაგრძობს https://finedu.gov.ge-ზე განთავსებული კონტენტის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას. FinEdu არის პირველი ქართული საგანმანათლებლო ვებ-პორტალი, რომელიც მთლიანად ფინანსურ განათლებას ეძღვნება და თავს უყრის ისეთ საგანმანათლებლო რესურსებს, როგორიცაა პუბლიკაციები და ბლოგები, ბროშურები, სახელმძღვანელოები და სხვა მსგავსი ბეჭდვითი და დამხმარე მასალა, ვიდეო და აუდიო კონტენტი. აღნიშნული კონტენტი ვრცელდება ემბისის საკომუნიკაციო არხებით, იქმნება საინტერესო და ადვილად აღქმადი ვიზუალური მასალა მომხმარებლებისთვის .

ემბისი გახლავთ მიკროსაფინანსო ცენტრის „MFC“-ის წევრი. MFC აერთიანებს ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების 110 ორგანიზაციას, მათ შორისაა 77 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელთა მიზანია პასუხისმგებლიანი დაკრედიტების გზით მცირე მეწარმეებისათვის ფინანსურ რესურსზე წვდომის უზრუნველყოფა.

MFC-ის წევრობა ემბისისთვის ფინანსური განათლების

მიმართულებით უფრო მეტ შესაძლებლობას აჩენს. 2020 წელს კომპანია ჩაერთო საერთაშორისო ფინანსურ-საგანმანათლებლო კამპანიაში „ისესხე გონივრულად", რომელიც მიზნად ისახავს მომხმარებელთა ფინანსური განათლების ამაღლებას და ამ გზით, მათი უფლებების დაცვის გაძლიერებას. ემბისიმ კამპანიის ფარგლებში სრულად გააქართულა და ხელმისაწვდომი გახადა მომხმარებლებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გასაზიარებლად შექმნილი ვიზუალური თუ ტექსტური მასალა, შეიქმნა საინფორმაციო ვიდეო რგოლები, რჩევების პოსტერები და რეკომენდაციების კონტენტი.

ქალთა გაძლიერება

ძალადობის გახშირებული ფაქტები და მონაცემები ადასტურებს, რომ გენდერული თანასწორობისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების წარმატებით მიღწევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისთან ერთად, მდგრადი ცვლილების უზრუნველყოფისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის მიზნით, ემბისიში შემუშავებულია სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმატებით ხორციელდება.
პანდემიამ გაზარდა ის საფრთხეები, რომლებიც ინფექციის რისკის ფარგლებს სცდება. თანმხლები სტრესების გამო გაიზარდა ოჯახში ძალადობის, ამასთანავე გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევები.
ემბისისთვის ძალადობის მსხვერპლი და ძალადობაგამოვლილი ქალების დახმარება განსაკუთრებით აქტუალურია და სწორედ აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა პროექტები 2020 წელს, კერძოდ:

- გადაიხედა შესყიდვების პოლიტიკა და პრიორიტეტი მიენიჭა იმ ქალ მეწარმეებს, რომლებსაც განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდებოდათ პანდემიის დროს;
- კომპანიამ პირბადეები შეიძინა მრავალშვილიანი ქალი მეწარმისგან;
- ემბისი თანამშრომლებთან ერთად დაეხმარა ძალადობის მსხვერპლ ქალს, ასევე სტუდენტს, რომელზეც მამა ძალადობდა.

კომპანია 2020 წელსაც შეუერთდა და სოლიდარობა გამოუცხადა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ გლობალურ კამპანიას, რომელიც 25 ნოემბერს, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს იწყება და 16 დღე გრძელდება.
როგორც ქალთა გაძლიერების პრინციპებზე ხელმომწერი კომპანია, ვცდილობთ, გარკვეული ნაბიჯები გადავდგათ, რათა ხელი შევუწყოთ ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნას როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე მის გარეთ, ავამაღლოთ ცნობიერება ამ პრობლემის შესახებ, პოპულარიზაცია გავუწიოთ სერვისებს, რომლებიც ძალადობის წინააღმდეგ არსებობს და მხარი დავუჭიროთ გენდერული ძალადობის მსხვერპლ ქალებს.

ახალგაზრდების მხარდაჭერა

ემბისი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს განათლების ხელშეწყობასა და ახალგაზრდების მხარდაჭერას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება და მათი პოტენციალის რეალიზებაში დახმარების გაწევა. ეს სტრატეგიული მიმართულება ესადაგება გაეროს მდგრადი განვითარების მე-4, მე-5, მე-8, მე-9 და მე-10 მიზნებს.
მოთხოვნილ და მიწოდებულ უნარებს შორის შეუსაბამობა უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ამ კუთხით აუცილებელია სამუშაო ადგილების პროგნოზირებისა და კარიერული კონსულტირების სისტემის დახვეწა, რაშიც აქტიურად არის ჩართული ემბისის ადამიანური რესურსების განყოფილება, რომელიც უფასო კონსულტაციებს უწევს ახალგაზრდებს და სოციალურ საწარმოებს პროექტ "ფინანსური მრჩეველის" ფარგლებში.
ემბისის მუდმივად აქვს ტრენინგების სერია სტაჟიორებისთვის და დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის.

ჩვენი თანამშრომლები

კომპანიის წარმატების საფუძველს თანამშრომლების გუნდი წარმოადგენს, რომელიც ყოველდღიურ საქმიანობაში საერთაშორისოდ აღიარებული კორპორაციული მართვის პრინციპებითა და ეთიკის ნორმებით ხელმძღვანელობს.
ემბისი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამშრომლებისათვის შრომის უსაფრთხო პირობების შექმნას და დაცვას, მათი განვითარების ხელშემწყობი და წამახალისებელი გარემოს უზრუნველყოფას.
პანდემიით შექმნილი კრიზისის პირობებში გუნდის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა მნიშვნელოვანი გამოწვევას წარმოადგენდა. მენეჯმენტმა ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ კომპანიის არც ერთი თანამშრომელი არ დაზარალებულიყო. ერთობლივი ძალისხმევის შედეგად მოვახერხეთ სამუშაო ადგილების და ანაზღაურების 100%-ით შენარჩუნება, თანამშრომელთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა და მათი განვითარების უწყვეტობა.
2020 წელს, პანდემიის პირობებში, განხორციელდა მასშტაბური "შიდა ონლაინ ტრენინგების სერია", რომელიც საკრედიტო დეპარტამენტის ინიციატივით დაიგეგმა და კომპანიის ყველა თანამშრომელი მოიცვა. პროექტის მიზანი პანდემიის შედეგად გამოწვეულ კრიზისულ ვითარებასთან გამკლავება, ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა და ამ შესაძლებლობათა უპირატესობად გარდაქმნა გახლდათ. ტრენინგები, თემატიკის მიხედვით, რამდენიმე აქტუალურ მიმართულებას მოიცავდა: საკრედიტო პროდუქტების პროცესინგი, სკრიპტები გაყიდვების მიმართულებით, ეფექტიანი კომუნიკაცია, მოტივაცია - მიზნის დასახვისა და მიღწევის იარაღი, ასევე პროექტი "Talk", რომლის მიზანი თანამშრომლებისთვის მიმდინარე პროცესების შესახებ განახლებული ინფორმაციის მიწოდება, სტრესის მართვა და გუნდურობის გაძლიერება იყო.



2020 წელს კომპანიის მენეჯმენტის და თანამშრომელთა ინიციატივით შეიქმნა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტი “სიკეთე გადამდებია”. პანდემიასთან გამკლავების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომლების აქტიურობა, მათი ჩართულობა როგორც კომპანიის წინაშე მდგარ გამოწვევებში, ასევე კორპორაციული პასუხისმგებლობის პროექტებში. ეს ჩართულობა ქმნის გუნდურობას, რომელიც ესოდენ საჭიროა გამოწვევებით აღსავსე პერიოდში. სწორედ თანამშრომლებმა მიიღეს გადაწყვეტილება და პანდემიის პერიოდში საზოგადოებისადმი მხარდაჭერის მიზნით საკუთარი ხელფასიდან გაიღეს და შეაგროვეს თანხა. ფონდში იგივე მოცულობის თანხა, თავის მხრივ, კომპანიამ დაამატა. შეგროვილი რესურსით კი განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- მოხდა იმ ათი მოზარდის დაფინანსება და ინტერნეტით უზრუნველყოფა, რომლებისთვისაც აღნიშნული დახმარება მნიშვნელოვანი იყო განათლების გაგრძელების კუთხით. მანამდე მათ ინტერნეტთან წვდომა არ ჰქონდათ. ბუნებრივია, ინტერნეტი ამ მოსწავლეების ოჯახის წევრებმაც გამოიყენეს;
- 40-მდე ხანდაზმულს აღმოვუჩინეთ დახმარება და შევუძინეთ საჭირო მედიკამენტები და უსაფრთხოების საშუალებანი;
- დახმარება გავუწიეთ ძალადობის მსხვერპლ ქალს -გადავუხადეთ, ბინის ქირის საფასური და შევუძინეთ პირველადი/აუცილებელი ნივთები.

ემბისი გახლავთ სათნოების სახლის „კათარზისის“ მუდმივი პარტნიორი. პანდემიის დროს ორგანიზაცია დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა და 430 ბენეფიციარისთვის უზრუნველყოფდა მზა სადილების, მშრალი პროდუქტებისა და პირადი მოხმარების ნივთების მიტანას. მათ 4 დღისთვის საკმარისი დაფინანსება მივაწოდეთ.

წინასაახალწლოდ ემბისიმ ასევე განახორციელა საზოგადოების მხარდამჭერი კიდევ ერთი საქველმოქმედო ინიციატივა: შეარჩია 5 ორგანიზაცია (მოხუცთა თავშესაფრები, შშმ პირებთან მომუშავე ორგანიზაციები), რომელთაც, მათივე საჭიროებებიდან გამომდინარე, საოჯახო ტექნიკა და საკვები პროდუქტები გადასცა.

პასუხისმგებლობა საბაზრო სივრცეში

კომპანიისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მომხმარებელთა უფლებების დაცვა, რაც გულისხმობს გამჭვირვალე, გონივრულ და ღირსებულ ფინანსურ მომსახურებას. ემბისის მომხმარებელი ყოველთვის დროულად და სრულად არის ინფორმირებული პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ. ორგანიზაციის თანამშრომლების მხრიდან კლიენტებისადმი დამოკიდებულება პროფესიული ეთიკის მაღალ სტანდარტებსა და მორალურ ღირებულებებს ეფუძნება. კომპანიაში ცალკეა გამოყოფილი მომსახურების ხარისხის მიმართულება, რომელიც თვალყურს ადევნებს თანამშრომელთა ქცევის წესებს და უზრუნველყოფს კლიენტისთვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნას. ემბისის დანერგილი აქვს საჩივრების მიღებისა და განხილვის სისტემა. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და თანამშრომლობის განვითარების მიზნით მუდმივად მიმდინარეობს კომუნიკაცია მომხმარებლებთან.










ჩვენი გუნდი

თანამშრომლები ემბისის ყველაზე ღირებული აქტივია. შესაბამისად, მათთვის ჯანსაღი, უსაფრთხო, გამჭვირვალე, წამახალისებელი და მეგობრული სამუშაო გარემოს შექმნა კომპანიისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზანია. მენეჯმენტი ზრუნავს ისეთი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებაზე, სადაც თანამშრომლები შეძლებენ თავიანთი პოტენციალის გამოვლენას, პიროვნული და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას. თითოეულ ემბისელს საკუთარი წვლილი შეაქვს კომპანიის წარმატებასა და მდგრად განვითარებაში.


ემბისი ყველა თანამშრომლისა და დასაქმების მსურველისთვის დასაქმების თანაბარ პირობებს უზრუნველყოფს და გამორიცხვას დისკრიმინაციას რასის, ფერის, სქესის, ასაკის, რელიგიის, წარმოშობის, ოჯახური მდგომარეობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.

თანამშრომელთა რაოდენობა 182
დასაქმებულთა საშუალო ასაკი 30 წელი

ასაკობრივი სტატისტიკა



გენდერული სტატისტიკა



პანდემია და თანამშრომლებისადმი მხარდაჭერა

პანდემიის დაწყებისთანავე, კომპანიის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს, რა თქმა უნდა, თანამშრომლები წარმოადგენდნენ. ბიზნესუწყვეტობის შენარჩუნებასთან ერთად, ემბისის გუნდის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა მნიშვნელოვანი ამოცანა იყო.

- პირველ პრიორიტეტად გამოიკვეთა თანამშრომელთა უსაფრთხოება და მათთვის შესაბამისი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა. შეიცვალა თანამშრომელთა სამუშაო გრაფიკი და ადგილი. პირველ რიგში, დისტანციურ სამუშაო გრაფიკზე გადავიდნენ ის თანამშრომლები, რომლებიც რისკჯგუფებს მიეკუთვნებოდნენ, ხოლო შემდეგ ეტაპზე ის თანამშრომლები, რომელთა სამუშაო სპეციფიკა არ მოითხოვდა ადგილზე ყოფნას. ორკვირიანი შუალედით მორიგეობაზე გადავიდნენ ფრონტოფისის თანამშრომლები. ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, დისტანციური მუშაობის რეჟიმი მომდევნო წელსაც შენარჩუნდა.
- კომპანიამ უმოკლეს ვადებში უზრუნველყო ფილიალების სრულად აღჭურვა ვირუსისგან დამცავი საშუალებებით და სხვა საჭირო ინვენტარით (პირბადეები, ხელთათმანები, სადეზინფექციო ხსნარები, ერთჯერადი კალმები, საინფორმაციო სტიკერები, ბარიერები და ა.შ.). თანამშრომლებთან ერთად, მომხმარებლების უსაფრთხოებაზე ზრუნვა დავიწყეთ მანამ, სანამ აღნიშნულ საკითხს კანონი დაარეგულირებდა.
- შეძლებისდაგვარად შეიცვალა პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდების გზები, მაქსიმალურად გადავედით ელექტრონულ და დისტანციურ არხებზე.
- გადაადგილების შეზღუდვის დროს, კომპანია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფდა თანამშრომელთა ტრანსპორტირებას;
- კომპანიის ყველა ოფისში სისტემატიურად მიმდინარეობს სადეზინფექციო სამუშაოები;
- თანამშრომლებისთვის რეგულარულად ვრცელდება ვირუსის პრევენციისთვის საჭირო ინფორმაცია და მასალები;
- შეხვედრები, ტრენინგები, საგანმანათლებლო ღონისძიებები და რეკრუტინგის პროცესი მთლიანად დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა.

პანდემიის პერიოდში კომპანიაში აქტიურად დაიგეგმა პროფესიული გადამზადების ტრენინგები, ასევე ჩატარდა ისეთი ვორქშოფები და შეხვედრები, რომლებიც თანამშრომელთა მოტივაციასა და გამხნევებას ემსახურებოდა.

თანამშრომელთა ჩართულობა გადაწყვეტილებებში, მათი აქტიურობა კომპანიის მენეჯმენტთან ერთად კომპანიის სიჯანსაღის და წარმატების მამოძრავებელი ძალა გახდა. თანამშომლებმა გამოხატეს სურვილი, არა მხოლოდ მიეღოთ დახმარება, არამედ თავადაც გაეწიათ. სწორედ ამ აქტიურობის შედეგად შეიქმნა პროექტი „სიკეთე

გადამდებია“, რომელიც მიზნად ისახავდა მოწყვლადი და პანდემიის შედეგად განსაკუთრებით დაზარალებული ჯგუფებისადმი დახმარებას.
პანდემიის პერიოდში, თანამშრომლებისა და მათი ოჯახების მხარდასაჭერად შეიქმნა „სოლიდარობის ფონდი“, რომელიც, ინფიცირების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მატერიალურ დახმარებას ტესტირების, მკურნალობის და ვირუსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში.
ასევე 2020 წელს დაიგეგმა და ონლაინ რეჟიმში განხორციელდა კამპანია „ჩვენ, ემბისელები“, რომელიც მიზნად ისახავდა თითოეულ თანამშრომელთან საკონსულტაციო შეხვედრების გამართვას, გამოწვევებთან საერთო ძალებით გამკლავების შესახებ მსჯელობას, გუნდურობის ამაღლებას, თანამშრომელთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას და გადაწყვეტილებებში მათი ჩართულობის უზრუნველყოფას.

პროექტებმა „სოლიდარობის ფონდი“ და „ჩვენ, ემბისელები“ კომპანიის უკლებრივ ყველა თანამშრომელი მოიცვა. ერთიანობის შეგრძნების და თანადგომის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება საქმიანობის ეფექტიანად გაგრძელება.
კომპანიისთვის, რა თქმა უნდა, მთავარი შედეგი არის ყველა შენარჩუნებული თანამშრომელი, მათი შენარჩუნებული სამუშაო ადგილები, ანაზღაურება და ყველა სხვა ბენეფიტი.

საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსში „Meliora“ 2020 ემბისიმ გაიმარჯვა ნომინაციაში „თანამშრომელთა მხარდაჭერა Covid პანდემიის პერიოდში“.



დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები, ახალი კადრების (ტალანტების) მოზიდვა

ემბისი ვაკანტურ პოზიციებზე შერჩევისა და დასაქმების მართვას თანასწორობის პრინციპების სრული დაცვით ახორციელებს.
კომპანიაში დანერგილია პერსონალის შერჩევის ჯანსაღი, კონკურენტული და გამჭვირვალე გარემო, რაც მოიცავს კანდიდატის ძიებას, შეფასებას, შერჩევას. ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმების პროცესში განიხილება როგორც გარე, ასევე შიდა კანდიდატები. საბოლოო შეფასება კი ხორციელდება ვაკანტური თანამდებობიდან გამომდინარე განათლების, სამუშაო გამოცდილების, პროფესიული ცოდნის, საქმიანი თვისებებისა და უნარების შესაბამისად.
კომპანიაში დანერგილია სტაჟირების პროგრამა, რომლის მიზანია დამწყები კადრების სწავლება და განვითარება, მათი კარიერული წინსვლის შესაძლებლობის განსაზღვრა და სრულყოფა. ემბისი სტაჟირებას სთავაზობს დამამთავრებელი კურსის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ხოლო სტაჟირების პროგრამის წარმატებით დასრულების შემდგომ ასაქმებს მათ.
კომპანია მუდმივად თანამშრომლობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან და აქტიურად მონაწილეობს დასაქმების ფორუმებში.

თანამშრომელთა სწავლება, განვითარება, ადაპტაცია

კომპანიაში მოქმედებს თანამშრომლების ადაპტაციისა და სოციალიზაციის პროგრამა, რომლის მიზანს წარმოადგენს ახალი თანამშრომლებისადმი დახმარება სამუშაო გარემოსთან და კოლეგებთან მაქსიმალურად სწრაფი ადაპტაციის, კორპორაციული კულტურისა და კომპანიაში არსებული წესების გაცნობის პროცესებში. კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა განვითარებასა და კარიერულ ზრდაზე. სისტემატურად იგეგმება და ხორციელდება საკვალიფიკაციო ტრენინგები და სასწავლო პროგრამები. პანდემიის მიუხედავად 2020 წელი ეფექტიანი აღმოჩნდა აღნიშნული მიმართულებით. ჩატარდა როგორც შიდა და ასევე გარე ტრენინგები პროფესიული და სოციალური უნარების განვითარების მიმართულებით.
აღსანიშნავია, რომ თანამშრომელთა სწავლებისა და განვითარების პროცესში აქტიურად არიან ჩართული კომპანიის გამოცდილი თანამშრომლები. სწორედ გამოცდილი პროფესიონალების დახმარებით ახორციელებს კომპანია ახალგაზრდა კადრების სწავლებასა და მომზადებას.
კომპანია ფინანსურად მხარს უჭერს თანამშრომელთა სწავლებას სხვადასხვა გარე სასწავლო პროგრამებში.
2020 წელს ტრენინგები და გადამზადება (სერვის პლუსი, გაყიდვები, პროცესები, პროდუქტები, პიროვნული განვითარება, მენეჯმენტი და ა.შ.) 180-მდე თანამშრომელმა გაიარა.

თანამშრომელთა მოტივაცია და ჩართულობა

თანამშრომელთა მოტივაცია და წახალისება კომპანიის მთავარი პრიორიტეტია. აღნიშნული მოიცავს როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ სისტემებს. მატერიალურ სისტემებში გაერთიანებულია: ბონუსები, წლიური პრემია, ჯანმრთელობის დაზღვევა (სრულად ანაზღაურებს კომპანია), ხელფასის მატების სისტემა, სხვადასხვა კონკურსები, ტრენინგები, დამატებითი ჯილდოები, კორპორაციული ღონისძიებები, სპორტული, გასვლითი ღონისძიებები და სხვა სოციალური აქტივობები. არამატერიალურ სამოტივაციო სისტემებს წარმოადგენს ძირითადად თანამშრომელთა აღიარება, როგორიცაა: მადლობის წერილები და სიგელები,



საუკეთესო თანამშრომლების გამოვლენა, საჯარო და პერსონალური აღიარების პროგრამები, თანამშრომელთა ჩართულობის პროგრამები და სხვა.

დაარსების დღიდან მოყოლებული კომპანია წელიწადში მინიმუმ ერთხელ ახორციელებს ხელფასის მატებას თანამშრომლებისთვის. 2019 წლის პირველი იანვრიდან, დაგროვებითი საპენსიო რეფორმის ამოქმედებასთან ერთად, კომპანიამ გადაწყვიტა თანამშრომლის მიერ გადასახდელი საპენსიო შენატანის თანხებიც თავად გადაიხადოს. კომპანიისა და სახელმწიფოს შენატანების შედეგად იზრდება ემბისის თანამშრომლების კეთილდღეობა, რაც ემბისის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს.

შესრულებული სამუშაოს შეფასება

ემბისიში მოქმედებს თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს წლიური შეფასება, რომელიც სამართლიანობის, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობის, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის, ნდობის, მისისა და თანამშრომლის ინტერესთა თანაზომიერების პრინციპების დაცვით წარმოებს.

2020 წელს დაიხვეწა თანამშრომელთა სამუშაოს შეფასების სისტემა. განახლებული სისტემის საფუძველზე ფასდება არა მხოლოდ დასახული მიზნების შესაბამისად თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაო, არამედ ფასდებიან თანამშრომლები ამ მისიებისა და ფუნქციების შესასრულებლად საჭირო კომპეტენციის მიხედვით. შეფასების სისტემაში ჩაიდო ახალი კომპონენტი, რაც განსაზღვრავს თანამშრომელთა განვითარების საჭიროებებს, გეგმების შედგენასა და ამ გეგმების საფუძველზე თანამშრომელთა განვითარებას.

შრომის ანაზღაურება და ბენეფიტები

ემბისი სერვის ცენტრების ყველა თანამშრომელს და სათაო ოფისის ზოგიერთ პოზიციაზე მომუშავე თანამშრომლებს, ძირითად სარგოსთან ერთად, სთავაზობს სამოტივაციო სქემებს, რაც სახელფასო დანამატების გამომუშავების შესაძლებლობას იძლევა. სახელფასო დანამატი დასახული გეგმების შესრულებაზეა დამოკიდებული და მზარდი ანაზღაურების გამომუშავების შესაძლებლობას წარმოადგენს.

კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს სასიამოვნო სამუშაო გარემოს, სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას, კარიერული ზრდის პერსპექტივას, პროფესიული და პიროვნული განვითარების საშუალებას, ანაზღაურებად დეკრეტულ შვებულებებს.

ემბისის ერთ-ერთი მთავარი მიზანია უზრუნველყოს თანამშრომლების ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობა. აღნიშნულის მისაღწევად კომპანია მის ხელთ არსებულ ყველა რესურს იყენებს.

ონლაინ პლატფორმა - იდეა ჰაბი

კომპანიაში დანერგილია ონლაინ პლატფორმა „იდეა ჰაბი“, რომლის საშუალებითაც თანამშრომლებს სრული ანონიმურობის დაცვით შეუძლიათ ნებისმიერი შენიშვნის, უკმაყოფილებისა და გადაცდომის შესახებ მისწერონ ადამიანური რესურსების ჯგუფს ან დირექტორებს. ამავე პლატფორმის მეშვეობით თანამშრომლებს აქვთ საშუალება, დააფიქსირონ ახალი იდეები და რეკომენდაციები. აღნიშნული პლატფორმა ზრდის თანამშრომელთა ჩართულობას და ქმნის მნიშვნელოვან მოტივაციას ერთობლივი ძალებით უფრო წარმატებული გავხადოთ კომპანია, შევქმნათ კომფორტული და მეგობრული სამუშაო გარემო, სადაც თითოეული ჩვენგანი კმაყოფილი და ბედნიერი იქნება.



ინოვაციების მართვა

ემბისისთვის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა, საჭირო ეკოსისტემის ფორმირებაში მონაწილეობა და ინოვაციების გამოყენების სტიმულირება მნიშვნელოვანი მიმართულებაა. საქართველოში საფინანსო სექტორი ყოველთვის მოწინავე იყო აღნიშნული მიმართულებით, ემბისი კი მოწინავე კომპანიაა მიკროსაფინანსო სექტორში.

კომპანია მუდმივად ზრუნავს საიმისოდ, რომ შექმნას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მხარდამჭერი ინსტრუმენტები, კონკურენტუნარიანობის განვითარების მიზნით ხშირად გამართოს ხარისხიანი და შრომითი ბაზრისთვის დეფიციტური ტრენინგები, მათ შორის თანამშრომლებისთვის და პროექტ "ფინანსური მრჩევლის" ბენეფიციარებისთვის, ხელმისაწვდომი გახადოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების მასტიმულირებელი ინიციატივები და ფინანსირების მექანიზმები.

ემბისისთვის მნიშვნელოვანია ინოვაციური პროდუქტების შექმნა და დანერგვა, აგრეთვე ისეთი პროდუქტების ინიცირება, რომლებიც ხელს უწყობს ინოვაციების განვითარებას. ასეთი პროდუქტებია - სტარტაპ სესხი, საკრედიტო ბარათი, დისტანციური პროდუქტები და ა.შ.

საკრედიტო ბარათი

ქართულ მიკროსაფინანსო ბაზარზე ემბისი პირველი კომპანიაა, რომელმაც მომხმარებლებს საკრედიტო ბარათი შესთავაზა. პროდუქტი მცირე მეწარმეების და ფერმერების დაკრედიტებისთვის არის განკუთვნილი. Bcard (Business Card)-ი მომხმარებლების მოკლევადიანი ფულადი საჭიროებების დაფინანსების საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს მიკრო ბიზნესის უწყვეტ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

საკრედიტო ბარათი ლოკალურია და ტრადიციული საბანკო ბარათის ყველა ფუნქციით არის აღჭურვილი. ბარათით სარგებლობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზეა შესაძლებელი, როგორც პარტნიორი ბანკების ბანკომატების, ასევე POS ტერმინალების მეშვეობით.



ონლაინ პლატფორმა

ემბისის მომხმარებლებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ინტერნეტ ბანკინგის მსგავსი ონლაინ მომსახურებით, რაც მიკროსაფინანსო ბაზრისთვის ინოვაციას წარმოადგენს. ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას კლიენტს შეუძლია დისტანციურად (ონლაინ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სესხ(ებ)თან დაკავშირებით.



SMS სერვისი

2020 წელს დაინერგა კიდევ ერთი დისტანციური პროდუქტი - SMS სერვისი („SMS ბანკის" საბანკო პროდუქტის ანალოგიური მომსახურება), რომელიც მისოს მომხმარებელს საშუალებას აძლევს სწრაფად და მარტივად, მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით, სასურველ დროს, სერვისცენტრში მიუსვლელად მიიღოს საჭირო ინფორმაცია კომპანიის მომსახურებასთან, მის მიერ განხორციელებულ ტრანზაქციებთან და მისოს სიახლეებთან დაკავშირებით .



დისტანციური პროდუქტები

2020 წელს კომპანიამ დაიწყო „დისტანციური ავტო სესხის" პროდუქტის შემუშავება და მომხმარებელს ქართულ მიკროსაფინანსო ბაზარზე ერთ-ერთმა პირველმა შესთავაზა ახალი პროდუქტი. დაინტერესებულ პირებს პროდუქტის ფარგლებში შესაძლებლობა ეძლევათ დისტანციურად გაიარონ იდენტიფიკაციის პროცედურა და მაქსიმუმ 30 წუთში, სახლიდან გაუსვლელად, დაიმტკიცონ 2000-დან 7500 ლარამდე ავტო სესხი.




„დისტანციურ ავტო სესხთან ერთად“ შეიქმნა კიდევ ერთი ინოვაციური პროდუქტი - „ვალუტის ონლაინ კონვერტაცია“, რომელიც ვირტუალურ პერსონალურ სივრცეს მოიცავს და მომხმარებელს საშუალებას აძლევს დისტანციურად დააფიქსიროს დავალება უნაღდო კონვერტაციაზე და ოპერაცია სახლიდან გაუსვლელად განახორციელოს. „ვალუტის ონლაინ კონვერტაცია“ არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს ხელსაყრელ გაცვლით კურსს სთავაზობს. მომსახურების მიღება შეუძლიათ როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს.

ინოვაციების მართვის თვალსაზრისით გამოვყოფთ მარკეტინგულ საქმიანობასაც, რომელიც სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, რაც ერთი მხრივ, გულისხმობს კომპანიის მხრიდან მუდმივ და, რაც მთავარია, ორმხრივ კომუნიკაციას მომხმარებელთან, და მეორე მხრივ, ისეთი პროდუქტებისა თუ ტექნოლოგიების დანერგვას, რაც მნიშვნელოვნად უმარტივებს საზოგადოებას ფინანსურ რესურსებზე წვდომის მოთხოვნას.
ემბისის მარკეტინგის ჯგუფი მომხმარებელთან კომუნიკაციისთვის ფაქტობრივად ყველა სახის ციფრულ არხს იყენებს. 2020 წელს კომპანიამ, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ყველა პროდუქტისთვის ინდივიდუალური Landing Page-ები დანერგა, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს ერთ პლატფორმაზე მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მისთვის საინტერესო მომსახურების შესახებ და იქვე, მარტივი სააპლიკაციო ფორმის შევსებით, მოითხოვოს დაფინანსება. აღნიშნულმა ცვლილებამ, დაახლოებით 3-4-ჯერ გაზარდა საიტის ვიზიტორებს შორის განაცხადის შევსების პროცენტული მაჩვენებელი.
ასევე, ცალკე მიმართულებად უნდა გამოვყოთ ემბისის მიერ დაფინანსებული მცირე მეწარმეების მხარდასაჭერი მარკეტინგული კამპანიები, რაც კომპანიის ერთიანი მარკეტინგული სტრატეგიის ნაწილია და მოიაზრებს მათი საქმიანობის განხილვას, საკომუნიკაციო გეგმის შედგენასა და განხორციელებას. ემბისი აქტიურად იყენებს სხვადასხვა მარკეტინგულ არხებს მცირე მეწარმეებისა და ფერმერების პროდუქტების/სერვისების საზოგადოებისთვის წარდგენისა და პრომოუშენისთვის.

ფინანსური განათლება

2020 წელს, პანდემიის მიუხედავად, გავაგრძელეთ მუშაობა პროექტზე - “ფინანსური მრჩეველი,” რომლის მეშვეობითაც ჩვენი მომხმარებლები და სხვა დაინტერესებული პირები, სრულიად უსასყიდლოდ მონაწილეობდნენ ფინანსურ განათლებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებსა და ტრენინგებში. მეტი ფინანსური განათლება მეტ სწორ გადაწყვეტილებას ნიშნავს. პროექტი განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა ქალი მეწარმეებისთვის, რადგან მათ ყველაზე მეტად სჭირდებოდათ რჩევები, რომლებიც დაეხმარებოდათ ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნებაში და კრიზისთან ადაპტაციის პროცესში.
ინოვაციების მართვა თანამედროვე მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა და ემბისი ამ გამოწვევას წარმატებით ართმევს თავს, რაც კომპანიის 2020 წელს მიღწეულ შედეგებშიც გამოიხატა.
კომპანიამ თავისი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად სწორედ ინოვაციების განვითარება და მართვა განსაზღვა.



ინფორმაციული ტექნოლოგიები

2020 წლის განმავლობაში კომპანიის ბიზნეს სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას ეკავა. კომპანიამ პანდემიის ფონზე გააძლიერა IT გუნდი. ჩვენს გუნდს დაემატა ტექნიკური დახმარების თანამშრომელი, სისტემური ადმინისტრატორი და ბიზნეს ანალიტიკოსი. კომპანია მიმდინარე წელსაც განაგრძობს გუნდის გაძლიერებას. გარდა ამისა, ემბისი თანამშრომლობს სხვა აუთსორს კომპანიებთან, რომლებიც პროგრამული უზრუნველყოფის გამართვა-დანერგვაში არიან ჩართული. ერთ-ერთი ასეთი პროექტია კადრების ადმინისტრირების მოდული (HRMS), რაზეც მუშაობა 2020 წელს დავიწყეთ. პროექტმა გაიარა ანალიზის, დეველოპმენტის ფაზები და ახლა სატესტო რეჟიმის ფაზაშია. აღნიშნული სისტემა მეტად ამარტივებს კადრების მართვის ოპერაციებს, რითაც მნიშვნელოვნად იზრდება ადმინისტრირების ეფექტიანობა და იზოგება როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური რესურსი.

ამავე დროს, კომპანიამ უზრუნველყო სერვერული ინფრასტრუქტურის ცვლილება/გაუმჯობესება. მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ქსელურ ინფრასტრუქტურაში, რაც უზრუნველყოფს მდგრად და უსაფრთხო სამუშაო გარემოს ორგანიზაციაში. დაინერგა კორპორატიული მეილის დაცვა და ანტივირუსის სოფტი.

2020 წელს ქვეყანაში შემოღებული კოვიდ რეგულაციების ფონზე კომპანიამ უმოკლეს დროში შეძლო თანამშრომლების ონლაინ რეჟიმზე გადაყვანა. საამისოდ მზად აღმოჩნდა ქსელური ინფრასტრუქტურა, რომელიც მაქსიმალურად იყო დაცული, რათა უწყვეტ რეჟიმში მომხდარიყო მომხმარებლისთვის კომპანიის მომსახურების მიწოდება.

ემბისიმ პარტნიორ გუნდებთან ერთად დანერგა დისტანციური ონლაინ იდენტიფიკაციის მოდული. პროდუქტის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ დისტანციურად გაიარონ იდენტიფიკაციის პროცედურა და უმოკლეს დროში, სახლიდან გაუსვლელად, დაიმტკიცონ ავტო სესხი. აღნიშნულმა პროდუქტმა შეამცირა სერვის-ცენტრში მომართვის სიხშირე და მომხმარებლისთვის გაამარტივა პროდუქტის ხელმისაწვდომობა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გუნდი ეფექტიანად და დროულად ახერხებდა საკანდონმდებლო თუ პანდემიით გამოწვეული საჭირო ტექნიკური ცვლილების განხორციელებას ძირითად პროგრამებში.

2020 წელს კომპანიამ დაიწყო სარეზერვო სასერვერო ინფრასტრუქტურის (DR) მოწყობა. პროექტი მიმდინარე წელს დასრულდება.

ემბისიის სამომავლო გეგმები ითვალისწინებს ახალი ინტერნეტ ბანკის დანერგვას, რაც კიდევ უფრო გაუმარტივებს მომხმარებელს ჩვენთან კომუნიკაციას.

ასევე, კომპანიას დაგეგმილი აქვს ISO ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტის დანერგვა, რომელიც ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემაში საუკეთესო პრაქტიკას შეესაბამება.



ემბისის, როგორც სააქციო საზოგადოების კორპორაციული მართვა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, პრინციპებსა და საუკეთესო პრაქტიკას.
მისოს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის განსაზღვრას, ანგარიშვალდებულებისა და უფლემაბამოსილების სწორ დელეგირებას, ჯანსაღ ადმინისტირებას, რისკების ეფექტიან იდენტიფიცირებას, მართვასა და ანგარიშგებას, ადეკვატურ შიდა კონტროლს, ფინანსურ დაგეგმვასა და ანგარიშგებას, შესაბამის პოლიტიკა-პროცედურებს.

მისოს მართვის სტაბილური ფუნქციონირებისათვის მკაცრად არის გამიჯნული უფლებამოსილება საზედამხედველო, აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ორგანოებს შორის, რომელთა ფუნქციები სრულად უზრუნველყოფს მისოს მართვას და არ არის დუბლირებული.
მისოს მართვის ორგანოებია: აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი.
აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს მისოს უმაღლეს მმართველობით ორგანოს. აქციონერთა უფლებები განსაზღვრულია მისოს წესდებით და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
მისოს საქმიანობას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც არჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ. საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს მისოს განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე, ხელმძღვანელობს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას და ანგარიშვალდებულია აქციონერთა საერთო კრების წინაშე.
მისოს სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 წევრისგან, მათგან ერთი დამოუკიდებელი წევრია და აუდიტის კომიტეტს ხელმძღვანელობს. სამეთვალყურეო საბჭოს ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს აქციონერთა უფლებებისა და მათი კაპიტალის დაცვა, მისოს საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრა, ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება, აღმასრულებელ ორგანოებზე ზედამხედველობა და ჯანსაღი კორპორაციული გარემოს დამყარებასა და შენარჩუნებაში მათი როლის მუდმივი შეფასება, ეფექტიანი შიდა კონტროლისა და რისკების მართვისთვის სათანადო პირობების არსებობის უზრუნველყოფა, მისოს ანაზღაურების სისტემის მონიტორინგი, მისოს განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის, რისკ-აპეტიტის, ბიუჯეტის დამტკიცება და შესრულების კონტროლი.
სამეთვალყურეო საბჭოში ფუნქციონირებს აუდიტის კომიტეტი, რომლის მთავარი ფუნქცია შიდა აუდიტისა და მისოს გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობაა. აუდიტის კომიტეტის მიზანია შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პროცესის წარმართვა, შიდა კონტროლის სისტემის მონიტორინგი, კანონმდებლობასა და რეგულაციებთან ორგანიზაციის მუშაობის შესაბამისობის უზრუნველყოფა, რაც საშუალებას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს მიიღოს სანდო ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც შეძლებს ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას.
მისოს აუდიტის კომიტეტის უფლებამოსილებას, ფუნქციებსა და ვალდებულებებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა და მისოს დებულება აუდიტის კომიტეტის შესახებ, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს.
მისოს ყოველდღიურ მართვას ახორციელებს დირექტორატი, რომელიც უზრუნველყოფს მისოს სტრატეგიული მიზნების მიღწევას, კოლექტიურად აგებს პასუხს თავის საქმიანობაზე და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. დირექტორატის წევრებს სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს.
მისოს დირექტორატი სხვა ფუნქციებთან ერთად აღასრულებს მისოს ბიზნეს სტრატეგიებს, ქმნის ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის ეფექტიან სისტემებს, ხელს უწყობს რისკის კულტურის შემუშავებას და დამკვიდრებას, პროცესებსა და კონტროლს, აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას. დირექტორატი პასუხისმგებელია მისოს თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების განაწილებასა და ეფექტიანი მმართველობის სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს მისოს შიგნით ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.
მისოს დირექტორატი შედგება 5 წევრისგან - გენერალური დირექტორი, დაკრედიტების დირექტორი, ოპერაციების დირექტორი, ფინანსური დირექტორი და რისკების დირექტორი.
დირექტორატის წევრების დანიშვნის წესს, ვადებსა და საქმიანობის რეგლამენტს საქართველოს კანონმდებლობა, მისოს წესდება და დირექტორატის დებულება ადგენს.
კომპანიაში ფუნქციონირებს შიდა აუდიტი, რომელიც ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. შიდა აუდიტის უფროსსა და წევრებს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს.
შიდა აუდიტის ძირითადი ამოცანაა, დახმარება გაუწიოს სამეთვალყურეო საბჭოს კომპანიის რისკების მართვის ეფექტიანობის, ხარისხის კონტროლისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ზედამხედველობის მიმართულებით.
შიდა აუდიტის უფროსი უზრუნველყოფს წლიური გეგმისა და აუდიტის პროგრამების შედგენა/შესრულების კონტროლს, აუდიტორული საქმიანობის ორგანიზებას და მართვას, სამეთვალყურეო საბჭოსათვის პერიოდული ანგარიშგების მომზადებას.
შიდა აუდიტი ადგილზე შემოწმების გზით აკონტროლებს კომპანიის მართვის მექანიზმების, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების, საოპერაციო სისტემების, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის მექანიზმების გამართულობასა და სანდოობას, მათ შესაბამისობას კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან.
შიდა აუდიტის წევრების დანიშვნის წესს, ვადებსა და საქმიანობის რეგლამენტს ადგენს საქართველოს კანონმდებლობა, მისოს წესდება და დებულება შიდა აუდიტის შესახებ.
წლის ბოლოს, მისოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისა და წლიური ანგარიშგების საიმედოობის შესაფასებლად, სამეთვალყურეო საბჭო დამოუკიდებელ გარე აუდიტორს იწვევს.

მისო აღიარებს მმართველობითი ორგანოების სხვადასხვა სქესის, ეროვნებისა და სამუშაო გამოცდილების მქონე ადამიანებით დაკომპლექტების მნიშვნელობას, დასაქმებას და შესაბამის პოზიციებზე დანიშვნას სამუშაო გამოცდილების, განათლების, პროფესიული ცოდნისა და მოთხოვნილი უნარების შესაბამისად ახორციელებს.

სამეთვალყურეო საბჭოში ხუთი წევრიდან ერთი ქალია, ხოლო დირექტორატის შემადგენლობაში ხუთი წევრიდან სამი ქალია წარმოდგენილი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები



ტარას ნიჟარაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე

ტარას ნიჟარაძე, 2012 წლიდან გახლავთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალის" პარტნიორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.
1990 წლიდან იგი აქტიურად მოღვაწეობს ბიზნესის სფეროში - არის საბანკო, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებისა და ენერგეტიკის სფეროებში მოღვაწე კერძო კომპანიების დამფუძნებელი და მენეჯერი.
1998 - 2012 წლებში ტარას ნიჟარაძე იყო სს "ბაზისბანკის" ერთ-ერთი აქციონერი, ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და შემდგომ თავმჯდომარე.
2006 წლიდან იგი არის შ.პ.ს. "ენერგო-არაგვის" თანადამფუძნებელი და დირექტორი, სათავეში უდგას ჰიდროენერგეტიკის სფეროში განხორციელებულ ერთ-ერთ წარმატებულ პროექტს საქართველოში.
1986 წელს ტარას ნიჟარაძემ დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და მიიღო ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი ნახევარგამტარების ფიზიკის სპეციალობით. მან სამეცნიერო კარიერა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე არსებულ სტრუქტურული კვლევების რესპუბლიკურ ცენტრში - მეცნიერ-მკვლევარის თანამდებობაზე დაიწყო.



გია პეტრიაშვილი
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი,
გენერალური დირექტორი

გია პეტრიაშვილმა, საბანკო სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების შემდეგ, 2012 წელს დააფუძნა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალი" (ემბისი) და დაარსების დღიდან, იკავებს გენერალური დირექტორის პოზიციას, 2017 წლიდან კი არის ამავე ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.
1993 წლიდან გია პეტრიაშვილი გახლდათ სს „ბაზისბანკის“ დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს პირველი თავმჯდომარე, ხოლო 1998-2012 წლებში იყო ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

1999 წლიდან იგი საქმიანობდა OPIC-ის მიერ დაფინანსებულ საინვესტიციო ფონდში - "კავკასიის ფონდი", 1999-2002 წლებში კი, გახლდათ LLC Caucasus Advisors-ის თბილისის ოფისის დირექტორი.
2002-2005 წლებში გია პეტრიაშვილი იყო შპს "გასართობი ცენტრი მეიდანის" დამფუძნებელი და მმართველი დირექტორი. 2006-2009 წლებში კი დააფუძნა და ხელმძღვანელობდა უძრავი ქონების საინვესტიციო კომპანიას - შპს "სოლო-ლაკი ინვესტორს".
გია პეტრიაშვილს აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრისა და დოქტორის აკადემიურ ხარისხი თეორიული და მათემატიკური ფიზიკის განხრით. სამეცნიერო კარიერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტ ეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში მეცნიერ-მკვლევარის პოზიციაზე დაიწყო. ასევე იყო მოსკოვის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის მოწვეული მეცნიერ-თანამშრომელი.



მურმან ამბროლაძე
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

მურმან ამბროლაძე 2014 წლიდან გახლავთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალის" პარტნიორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.
1993 წელს, გია პეტრიაშვილთან ერთად, დააფუძნა კომერციული ბანკი - სს "ბაზისბანკი" და წლების მანძილზე იყო მისი დირექტორი, ხოლო 2008-2012 წლებში გახლდათ სს "ბაზისბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.
2012 წლიდან დღემდე იგი შპს "ამბრო-სოფთის" დამფუძნებელი და დირექტორია.
მურმან ამბროლაძეს აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის და დოქტორის ხარისხი მათემატიკის განხრით და არის რიგი სამეცნიერო ნაშრომების ავტორი. მან სამეცნიერო და პედაგოგიური კარიერა თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე დაიწყო.



ნატალია რუხაძე
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

2017 წლიდან ნატალია რუხაძე გახლავთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ნატალია რუხაძემ დაამთავრა სანქტ-პეტერბურგის ქიმიურ-ფარმაცევტული აკადემია და მიიღო მაგისტრის ხარისხი ბიოტექნოლოგიის სპეციალობით. ნატალიამ კარიერა დაიწყო რუსეთში, ინდუსტრიული ბიოტექნოლოგიის განხრით და სამეცნიერო მოღვაწეობა განაგრძო ბოსტონში (აშშ), შპს "ბიოგენთან" ერთად.
2000 წელს მან მიიღო მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მენეჯმენტის სკოლის მაგისტრის ხარისხი. მას შემდეგ იგი მუშაობდა სლოუნის ბიოტექნოლოგიის მიმართულებით - Accenture და Millennium Pharmaceuticals კომპანიებთან - პროექტების მართვის, ახალი პროდუქტის განვითარებისა და მარკეტინგის მიმართულებით.
2006 წელს ნატალია რუხაძე ოჯახთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა და დაიწყო სამეწარმეო საქმიანობა. 2008 წელს მან დააფუძნა საოჯახო ქონების მართვის კომპანია ლონდონში და 6 წლის განმავლობაში მართავდა წარმატებული საწარმოების მრავალმილიონიან აქტივებს.
2014 წლიდან ნატალია რუხაძე მართავს კერძო ოჯახურ ბიზნესს საერთაშორისო მასშტაბით.



ვალერი ჩეჩელაშვილი
სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ვალერი ჩეჩელაშვილს დამთავრებული აქვს კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებით და აქვს საერთაშორისო ეკონომიკის დოქტორის ხარისხი.
1989 წლიდან იგი დიპლომატიური ურთიერთობების სფეროში მოღვაწეობდა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ეკავა სხვადასხვა თანამდებობები - მეორე მდივნიდან მინისტრის მოადგილის პოზიციამდე. 2005 წელს ვალერი ჩეჩელაშვილი იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ხოლო 2005-2007 წლებში მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა.
1994-1998 წლებში იგი იყო საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში, ხოლო 2004-2005 წლებში რუსეთის ფედერაციაში. 2000-2004 წლებში ჩეჩელაშვილს ეკავა გენერალური მდივნის პოზიცია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში, ხოლო 2007-2016 წლებში - გენერალური მდივნის პოზიცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციაში.
2000-2004 წლებში, როგორც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის გენერალური მდივანი, იგი მონაწილეობდა შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წესდების შესაბამისად მისი აფილირებული ორგანო) მმართველთა საბჭოს მუშაობაში. 2002-2012 წლებში იყო "ბაზისბანკის" აქციონერი.
2016 წლიდან ვალერი ჩეჩელაშვილი არის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.
იგი დაჯილდოებულია სხვადასხვა მედლითა და ორდენით და ასევე, გახლავთ რამდენიმე ათეული პუბლიკაციის ავტორი რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.

დირექტორატის წევრები



გია პეტრიაშვილი
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი,
გენერალური დირექტორი

გია პეტრიაშვილმა, საბანკო სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების შემდეგ, 2012 წელს დააფუძნა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალი" (ემბისი) და დაარსების დღიდან, იკავებს გენერალური დირექტორის პოზიციას, 2017 წლიდან კი არის ამავე ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.
1993 წლიდან გია პეტრიაშვილი გახლდათ სს „ბაზისბანკის“ დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს პირველი თავმჯდომარე, ხოლო 1998-2012 წლებში იყო ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

1999 წლიდან იგი საქმიანობდა OPIC-ის მიერ დაფინანსებულ საინვესტიციო ფონდში - "კავკასიის ფონდი", 1999-2002 წლებში კი, გახლდათ LLC Caucasus Advisors-ის თბილისის ოფისის დირექტორი.
2002-2005 წლებში გია პეტრიაშვილი იყო შპს "გასართობი ცენტრი მეიდანის" დამფუძნებელი და მმართველი დირექტორი. 2006-2009 წლებში კი დააფუძნა და ხელმძღვანელობდა უძრავი ქონების საინვესტიციო კომპანიას - შპს "სოლო-ლაკი ინვესტორს".
გია პეტრიაშვილს აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრისა და დოქტორის აკადემიური ხარისხი თეორიული და მათემატიკური ფიზიკის განხრით. სამეცნიერო კარიერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტ ეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში მეცნიერ-მკვლევარის პოზიციაზე დაიწყო. ასევე იყო მოსკოვის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის მოწვეული მეცნიერ-თანამშრომელი.



გიორგი ღვალაძე
დაკრედიტების დირექტორი

გიორგი ღვალაძე სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ საკრედიტო დეპარტამენტს 2013 წლიდან ხელმძღვანელობს.
მას საბანკო-საფინანსო სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. 2005 წელს კარიერა დაიწყო "ბანკ კონსტანტაში" - დაკრედიტების ექსპერტის პოზიციაზე, მოგვიანებით კი ფილიალის მმართველის, მინი და მინი-აგრო მიმართულებების ხელმძღვანელის პოზიციები ეკავა.
გიორგი ღვალაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და აქვს ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკის განხრით. 2006 წელს მას კავკასიის აკადემიურ ცენტრში (CAC) ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი (MBA) მიენიჭა, 2014 წლიდან კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.



ეთერ ჩაჩიბაია
ოპერაციების დირექტორი

2013 წლიდან ეთერ ჩაჩიბაია სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ გუნდის წევრია. მისი როგორც ოპერაციების დირექტორის საკურატორო სფეროში შედის შემდეგი მიმართულებები: საოპერაციო პროდუქტები და მომსახურება, ქოლ ცენტრი, მარკეტინგი, პიარი და კორპორაციული პასუხისმგებლობა, ლოჯისტიკა და შესყიდვები.
მრავალი წლის განმავლობაში ეთერ ჩაჩიბაია დასაქმებული იყო სს "ბაზისბანკსა" და "HSBC-ბანკ საქართველოში" - საოპერაციო, საცალო და კორპორატიული მომსახურებების მიმართულებით.
გარდა ამისა, სხვადასხვა დროს იგი საქმიანობდა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და არასამთავრობო სექტორში.
ეთერ ჩაჩიბაია აქვს საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი.



თათია ჯაჯანაშვილი
ფინანსური დირექტორი

თათია ჯაჯანაშვილი ემბისის გუნდს 2014 წლიდან შემოუერთდა და ხაზინის, ბუღალტერიის, ფინანსური ანგარიშგებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილებებს ხელმძღვანელობს.
2011-2014 წლებში იგი "ბანკი კონსტანტას" მმართველობითი აღრიცხვისა და ანალიზის უფროსი ოფიცრის პოზიციაზე მუშაობდა.
თათია ჯაჯანაშვილი კავკასიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და მინიჭებული აქვს ბაკალავრის ხარისხი ფინანსების განხრით. 2020 წელს მას მიენიჭა გრენობლის ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხი, მენეჯმენტ კონსალტინგის მიმართულებით.
თათია ჯაჯანაშვილი 2019 წელს დასახელდა Forbes 30 Under 30-ის რჩეულად ფინანსების კატეგორიაში.



ნინო დევდარიანი
რისკების დირექტორი

ნინო დევდარიანი ემბისიში რისკების დირექტორის პოზიციას 2016 წლიდან იკავებს და ხელმძღვანელობს როგორც საკრედიტო და საოპერაციო რისკების, ასევე AML და იურიდიულ განყოფილებებს.
2008-2013 წლებში იგი საქართველოს ეროვნულ ბანკში მუშაობდა საერთაშორისო რეზერვების რისკების მართვისა და კონტროლის განხრით, 2014-2016 წლებში კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროში საქმიანობდა სახელმწიფო ვალის რისკების მართვის მიმართულებით.
ნინო დევდარიანს აქვს Williams College-ის (აშშ) მაგისტრის ხარისხი (2014), არის მსოფლიო ბანკის სტიპენდიანტი.

გია პეტრიაშვილი
გენერალური დირექტორი



02 აგვისტო 2021

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი,
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

„სს მიკრო ბიზნეს კაპიტალის" დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 21 ივნისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს" სახელით

2 აგვისტო, 2021

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ **205145403**) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ფინანსური ანგარიშგება
2020

დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად
საანგარიშო წლისათვის,
რომელიც დასრულდა
2020 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “მიკრო ბიზნეს კაპიტალის” აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “მიკრო ბიზნეს კაპიტალის” (შემდგომში - ორგანიზაცია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.
ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.
გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.
ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.
მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ორგანიზაციის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ორგანიზაცია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-720718)
შპს „ბიდიოს“ სახელით
თბილისი, საქართველო
21 ივნისი, 2021

	შენიშვნა	31დეკემბერი 2020	31დეკემბერი 2019
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	2,673	3,046
კლიენტებზე გაცემული სესხები	7	66,858	58,219
სხვა აქტივები	8	237	262
გადავადებული საგადასახადო აქტივი	9	2,404	2,262
აქტივების გამოყენების უფლება	10	1,624	1,391
არამატერიალური აქტივები		4,050	4,483
ძირითადი საშუალებები	11	356	194
სულ აქტივები		**78,202**	**69,857**
ვალდებულებები			
სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები	12	54,928	48,084
საიჯარო ვალდებულებები	10	4,947	4,700
სხვა ვალდებულებები	13	765	374
სულ ვალდებულებები		**60,640**	**53,158**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	2,225	2,200
საემისიო კაპიტალი	14	996	900
პრივილეგირებული აქციები	14	7,347	7,347
გაუნაწილებელი მოგება		6,994	6,252
სულ საკუთარი კაპიტალი		**17,562**	**16,699**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**78,202**	**69,857**

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 21 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი: **გია პეტრიაშვილი**

ფინანსური დირექტორი: **თათია ჯაჯანაშვილი**

	შენიშვნა	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	15	15,858	14,080
საპროცენტო ხარჯი	15	(6,290)	(4,971)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**9,568**	**9,109**
საკომისიო შემოსავალი		1,647	1,658
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		(3,776)	(853)
წმინდა მოგება ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან		1,955	480
საოპერაციო შემოსავალი		**9,394**	**10,394**
გაუფასურების ხარჯი სასესხო ფინანსურ აქტივებზე	7	(748)	(554)
პერსონალის ხარჯები		(4,238)	(4,187)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,275)	(900)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(1,498)	(1,705)
მოგება დაბეგვრამდე		**1,635**	**3,048**
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(152)	(528)
მთლიანი სრული შემოსავალი		**1,483**	**2,520**

	საკუთარი კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	პრივილეგირებული აქციები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	**2,185**	**852**	**7,347**	**4,285**	**14,669**
კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები დამფუძნებლებთან					
გამოშვებული ჩვეულებრივი აქციები	15	48	-	-	**63**
	15	**48**	**-**	**-**	**63**
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში					
დივიდენდი				(553)	**(553)**
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	2,520	**2,520**
	-	**-**	**-**	**1,967**	**1,967**
2019 წლის 31 დეკემბერი	**2,200**	**900**	**7,347**	**6,252**	**16,699**
კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები დამფუძნებლებთან					
გამოშვებული ჩვეულებრივი აქციები	25	96	-	-	**121**
	25	**96**	**-**	**-**	**121**
კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები დამფუძნებლებთან					
დივიდენდი	-	-	-	(741)	**(741)**
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	1,483	**1,483**
	-	-	-	**742**	**742**
2020 წლის 31 დეკემბერი	**2,225**	**996**	**7,347**	**6,994**	**17,562**

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
მოგება დაბეგვრამდე	**1,635**	**3,048**
კორექტირებები:		
გაუფასურების ხარჯი სასესხო ფინანსურ აქტივებზე	748	554
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება	(23)	(555)
საიჯარო ფასდათმობები	(100)	-
სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაციის ეფექტი	790	-
ცვეთა და ამორტიზაცია	1,275	900
ბონუსის, აუდიტისა და სხვა ხარჯის ანარიცხი	74	294
დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული მოგება	(8)	(69)
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	3,776	853
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	5	13
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	**8,172**	**5,038**
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
კლიენტებზე გაცემული სესხები	(9,302)	(9,151)
სხვა აქტივები	(188)	(432)
სხვა ვალდებულებები	311	(358)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები მოგების გადასახადის გადახდამდე	**(1,007)**	**(4,903)**
გადახდილი მოგების გადასახადი	(370)	(543)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	**(1,377)**	**(5,446)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(498)	(591)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(69)	(99)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	**(567)**	**(690)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
შემოსულობა სხვა ნასესხები თანხებიდან	94,288	63,464
შემოსულობა სუბორდინირებული სესხებიდან	-	844
ამონაგები ჩვეულებრივი აქციების გამოშვებიდან	(91,803)	(56,016)
ამონაგები პრივილეგირებული აქციების გამოშვებიდან	121	63
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(656)	(543)
გადახდილი დივიდენდები	(741)	(553)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან	**1,209**	**7,259**
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	**(735)**	**1,123**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**3,046**	**1,771**
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	362	152
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**2,673**	**3,046**

1.ზოგადი ინფორმაცია

ორგანიზაცია

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალი" დაარსდა 2012 წლის 6 დეკემბერს, როგორც სააქციო საზოგადოება (შემდგომში "ორგანიზაცია"), საიდენტიფიკაციო ნომრით - 404967078.
ორგანიზაცია საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი ("სებ").
ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საკრედიტო ოპერაციებს, ფულად ოპერაციებს და ვალუტის გადაცვლის ტრანზაქციებს. ორგანიზაცია მიზნად ისახავს კლიენტებზე მორგებული და ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების გაწევას მიკრო და მცირე ბიზნესებსა და ფერმერებზე, თანხებსა და სასესხო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, კლიენტებთან გრძელვადიანი და გამჭვირვალე ურთიერთობების შენარჩუნებას. ორგანიზაცია, როგორც ფინანსური ინსტიტუტი სოციალური პასუხისმგებლობით, მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს საქართველოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში.
ორგანიზაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. ორგანიზაციის საქმიანობას ზედამხედველობას უწევს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებიც შერჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ. ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს მიერ, რომელსაც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო.
ორგანიზაციას სრულად ფლობენ „აქციონერთა ჯგუფის" წევრები. არ არსებობს ორგანიზაციის ერთპიროვნული მაკონტროლებელი მხარე. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დეტალურად განხილულია 14 შენიშვნაში.
ორგანიზაციას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს 14 ფილიალი.
ორგანიზაციის მთავარი ოფისი არის ქეთევან დედოფლის 68 ნომერში, თბილისი, საქართველო.

2.მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.
ორგანიზაციის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტას. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.
ორგანიზაციის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.
თანხობრივი მაჩვენებლები ფინანსურ ანგარიშგებაში დამრგვალებულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ორგანიზაციის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული საღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტის შესახებ, მოცემულია მე-3 შენიშვნაში. ბუღალტრული პოლიტიკის საფუძვლები მოცემულია მე-20 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, აღრიცხული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისა.

საქმიანობის უწყვეტობა

მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა COVID-19 პანდემიის გავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და მის საქმიანობაზე მომავალში.
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს 17,562 ათასი ლარით აღემატებოდა. 2020 წელს ორგანიზაციის წმინდა მოგებამ შეადგინა 1,483 ათასი ლარი, ხოლო 2019 წელს ორგანიზაციამ მიიღო 2,520 ათასი ლარის წმინდა მოგება.

2.მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კოვიდ-19-ის გავრცელების გამო, კლიენტებისთვის შეთავაზებულ იქნა 3 თვემდე საშეღავათო პერიოდი, რასაც ასევე ჰქონდა გავლენა ორგანიზაციის ოპერაციებზე. დამატებით, 2020 წლის ბოლოს ქვეყანაში კოვიდ-19-ით გამოწვეული სიტუაციის გამწვავების გამო, ხელისუფლებამ სხვადასხვა შეზღუდვა გაატარა, მათ შორის ჩაკეტვა-იზოლაციის სახით. ამას თავის მხრივ გავლენა აქვს ტურიზმის, ტრანსპორტირებისა და ჰორეკა (HoReCa) სექტორზე, რაც არ შეადგენს ორგანიზაციის პორტფელის მნიშვნელოვან წილს.
მიუხედავად კოვიდ-19-ის გავლენისა, 2020 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ სასესხო პორტფელი 8,639 ათასი ლარით გაზარდა. ასევე, ორგანიზაციამ შეძლო ინვესტორებისგან დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვა და შეამცირა ლიკვიდურობის რისკი კოვიდ-19-ის გავრცელების პერიოდში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაცია ყველა კოვენანტს აკმაყოფილებდა.
პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს, რეგულაციებს და რეაგირებებს განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებზე და ფულად ნაკადებზე პანდემიით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას არ აქვს გავლენა ორგანიზაციის საქმიანობის უწყვეტობაზე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ ორგანიზაცია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ორგანიზაციის ფუნქციონირებას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია ორგანიზაციისთვის.

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2020 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის პირველი იანვრიდან ძალაში რამდენიმე ახალი ინტერპრეტაცია და შესწორებები, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე:
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება); და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ორგანიზაციამ გადაწყვიტა ნაადრევად არ მიეღო ის ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომელიც გამოიცა IASB-ის მიერ, თუმცა ჯერ არ არის შესული ძალაში. ესენია:
- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში);
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ორგანიზაციას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.
ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ლ იანვრამდე.
ამჟამად, ორგანიზაცია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ორგანიზაციის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

2.მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

სხვა

ორგანიზაცია არ ვარაუდობს, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ ძალაში არ არის შესული, ექნება არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3.მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული საღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ანარიცხის შეფასება

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ საღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას ორგანიზაცია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

Covid-19-ის გავლენა მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე

COVID-19-ის გავლენამ გამოიწვია დამატებითი მსჯელობის საჭიროება, უკვე არსებულ მსჯელობებში, დაშვებებსა და შეფასებებში. COVID-19 პანდემია უპრეცედენტო ხასიათისაა და მის შესაძლო ეკონომიკურ და ფინანსურ ეფექტზე მოსალოდნელი საკრეედიტო დანაკარგის (ECL)-ს შეფასებაზე, არსებობს მწირი გამოცდილება. აღნიშნული გაურკვევლობის გათვალისწინებით, ორგანიზაციამ გადახედა არსებულ საღრიცხვო დაშვებებს და შეფასებებს და ხელახლა შეაფასა ისინი.

ეკონომიკური გარემო ჯერჯერობით განუსაზღვრელი რჩება და მომავალმა არასტაბილურმა მდგომარეობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს გაუფასურების ანარიცხზე, რაც დამოკიდებულია COVID-19 პანდემიის ხანგრძლივობასა და მის შემაკავებელ და სხვა ზომებზე.

COVID-19 ეპიდემიის საპასუხოდ, ორგანიზაციამ გამოიჩინა ინიციატივა და 2020 წელს თავის მსესხებლებს შესთავაზა 1-დან 3-თვემდე საშეღავათო პერიოდი, რათა მნიშვნელოვნად შეემცირებინა მომხმარებელთა მიერ ორგანიზაციის ფილიალების მონახულების რაოდენობა. ასეთი მოვლენა ავტომატურად არ იქნა განხილული, როგორც საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR) (ანუ მოვლენა, რომლიც გამოიწვევდა 1-ელი საფეხურიდან მე-2 საფეხურზე გადასვლას), მე-2 საფეხურზე მსესხებლის გადაკლასიფიცირება მოხდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე იყო დაკვირვებადი მტკიცებულება მსესხებლის ფინანსური სირთულეების მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ, სესხის აღების შემდეგ.

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები

ორგანიზაცია იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ორგანიზაცია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.
ორგანიზაცია იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.
საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ორგანიზაცია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდების შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

უზრუნველყოფის საგნის ღირებულების შეფასება

ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

გადასახადები

სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზისა და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ორგანიზაცია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე. იმდენად, რამდენადაც ამ საკითხების საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება არსებული საბუღალტრო ჩანაწერების თანხებისაგან, ასეთი სხვაობები გავლენას იქონიებს საგადასახადო ხარჯზე იმ პერიოდში, როცა ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ორგანიზაცია დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახდო დეკლარაციების დასაბუთება და ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს გადასახადებთან დაკავშირებული რისკები.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ორგანიზაცია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ორგანიზაციის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.
ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.
ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.
საქმიანობის პროცესში ორგანიზაცია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:

-სავალუტო რისკი
-საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ორგანიზაციის ფინანსურ ზარალს. ორგანიზაციას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები (როგორც აღიარებული ფინანსური აქტივებისათვის ასევე აღიარება შეწყვეტილი სახელშეკრულებო ვალდებულებებისათვის), რომელშიც გათვალისწინებულია პორტფელის კონცენტრაციის ლიმიტების სახელმძღვანელო. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება მმართველთა საბჭოს მიერ.
საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:
- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებლების საკრედიტო შეფასების მეთოდოლოგიას;
- კონტრაგენტების საკრედიტო შეფასების მეთოდოლოგიას;
- უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომიტეტისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეფუძნება ლიმიტებს და სტანდარტებს, რომლებიც განისაზღვრება ორგანიზაციის საკრედიტო პოლიტიკით, შესაბამისი პროდუქტის ინსტრუქციებით, მარეგულირებელი მოთხოვნებიის შესაბამისად. გადახდისუნარიანობის შეფასება დაფუძნებულია სტრუქტურულ ანალიზზე, რომელიც კონცენტრირდება მომხმარებლის ბიზნესსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.
საკრედიტო კომიტეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე პასუხს აგებს საკრედიტო ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის გადახდისუნარიანობა; საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) აფასებენ სესხის განაცხადს.
ორგანიზაცია ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს და რეგულარულად აფასებს მისი კლიენტების გადახდისუნარიანობას. მიმოხილვა ეფუძნება კლიენტების ყველაზე ახალ ფინანსურ მდგომარეობას და სხვა მსგავსი ჯგუფის მსესხებლის მიერ წარმოდგენილ ან ორგანიზაციის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას. რეგულარული მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის აღმოჩენას, მართვას და მის დროულ განეიტრალებას. საკრედიტო რისკების განეიტრალებაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სესხის უზრუნველყოფა.
რისკების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს კლიენტების ინდივიდუალური რისკის შეფასებას და ასევე მთლიანი საკრედიტო პორტფელის, კრედიტების კონცენტრაციის და საბაზრო რისკების შეფასებას (კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხი იხილეთ მე-7 შენიშვნაში).
მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებასა და არაღიარებულ სახელშეკრულებო ვალდებულებების ოდენობებში. აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგაქვითვის გავლენა პოტენციური საკრედიტო დაქვემდებარების შემცირებაზე არ არის არსებითი.
ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმუმს. საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროს გარდა)	1,275	1,079
კლიენტებზე გაცემული სესხები	66,858	58,219
სხვა აქტივები	96	337
	68,229	**59,635**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ორგანიზაცია სიძნელეებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავებულია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. ფინანსურ ინსტიტუტში სრული შესაბამისობის მიღწევა იშვიათია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად გაურკვეველ დროს ვითარდება და თანაც ის სხვადასხვა ტიპის არის. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, თუმცა, შესაძლოა ზრდიდეს ზარალის საფრთხესაც.
ორგანიზაციის ლიკვიდურობის მართვის ამოცანაა, რომ ფულადი თანხები იყოს ხელმისაწვდომი, დამდგარი ფინანსური ვალდებულების დასაკმაყოფილებლად.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- ფულადი ნაკადების დაგეგმვას ძირითადი ვალუტების ჭრილში და მათთან დაკავშირებით საჭირო ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებას;
- დაფინანსების წყაროების მრავალფეროვანი დიაპაზონის უზრუნველყოფას;
- სესხების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- სესხის დაფინანსების გეგმის უზრუნველყოფას;
- ლიკვიდურობისა და გაუთვალისწინებელი დაფინანსების გეგმების უზრუნველყოფას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადები სესხის გაცემასთან დაკავშირებული პირობებისა და მათი ყველაზე ადრინდელი სახელშეკრულებო ვადიანობის გათვალისწინებით. ცხრილებში განხილული მთლიანი შემოდინება და გადინება მოიცავს სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,673	-	-	-	**2,673**
კლიენტებზე გაცემული სესხები	9,138	28,937	58,300	478	**96,853**
სხვა ფინანსური აქტივები	30	66	-	-	**96**
	11,841	**29,003**	**58,300**	**478**	**99,622**
ფინანსური ვალდებულებები					
სხვა ნასესხები თანხები	6,758	21,383	25,534	-	**53,675**
სუბორდინირებული სესხები	272	411	7,360	-	**8,043**
საიჯარო ვალდებულება	291	911	3,632	1,395	**6,229**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	204	80	-	-	**284**
	7,525	**22,785**	**36,526**	**1,395**	**68,231**
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	**4,316**	**6,218**	**21,774**	**(917)**	**31,391**

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,046	-	-	-	**3,046**
კლიენტებზე გაცემული სესხები	7,745	21,936	54,214	301	**84,196**
სხვა ფინანსური აქტივები	65	272	-	-	**337**
	10,856	**22,208**	**54,214**	**301**	**87,579**
ფინანსური ვალდებულებები					
სხვა ნასესხები თანხები	4,508	17,207	26,689	417	**48,821**
სუბორდინირებული სესხები	252	390	6,222	860	**7,724**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	260	766	3,390	1,673	**6,089**
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	116	203	-	-	**319**
	5,136	**18,566**	**36,301**	**2,950**	**62,953**
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	**5,720**	**3,642**	**17,913**	**(2,649)**	**24,626**

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შეიცვლება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

სავალუტო რისკების მართვა

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ორგანიზაცია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.
სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	**ლარი**	**აშშ დოლარი**	**სხვა ვალუტები**
ფული და ფულის ეკვივალენტები	866	1,029	778
გაცემული სესხები	62,334	4,524	-
სხვა აქტივები	30	66	-
	63,230	**5,619**	**778**
ფინანსური ვალდებულებები			
სხვა ნასესხები თანხები	25,720	23,321	86
სუბორდინირებული სესხები	-	5,801	-
საიჯარო ვალდებულება	305	4,642	-
სხვა ვალდებულებები	228	56	-
	26,253	**33,820**	**86**
ღია საბალანსო პოზიცია	**36,977**	**(28,201)**	**692**
რისკების მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტი	**(33,224)**	**33,127**	**-**
წმინდა ღია საბალანსო პოზიცია	**3,753**	**4,926**	**692**

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	**ლარი**	**აშშ დოლარი**	**სხვა ვალუტები**
ფული და ფულის ეკვივალენტები	845	1,710	491
გაცემული სესხები	52,749	5,470	-
სხვა აქტივები	52	285	-
	53,646	**7,465**	**491**
ფინანსური ვალდებულებები			
სხვა ნასესხები თანხები	21,706	21,203	95
სუბორდინირებული სესხები	-	5,080	-
საიჯარო ვალდებულებები	267	4,433	-
სხვა ვალდებულებები	319	-	-
	22,292	**30,716**	**95**
ღია საბალანსო პოზიცია	**31,354**	**(23,251)**	**396**
რისკების მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტი	**(28,347)**	**28,323**	**-**
წმინდა ღია საბალანსო პოზიცია	**3,007**	**5,072**	**396**

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტის დენომინირებულ ფულად სახსრებს და აკორექტირებს წლის ბოლოსთვის უცხოურ ვალუტას 20% საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიხედვით. გავლენა მოგება/ზარალსა და კაპიტალზე 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	(ლარი / აშშ დოლარი)	(ლარი / სხვა ვალუტები)	(ლარი / აშშ დოლარი)	(ლარი / სხვა ვალუტები)
20% ზრდა	985	138	1,014	79
20% შემცირება	(985)	(138)	(1,014)	(79)

ანალიზისას გამოყენებულია დაშვება, რომ ყველა ცვლადი, უცვლელი დარჩება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები	68,133	59,298
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	(59,875)	(52,784)
	8,258	**6,514**

კაპიტალის მართვა

ორგანიზაციის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:
- მოახდინოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ორგანიზაციამ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

ორგანიზაცია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ორგანიზაცია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.
იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ორგანიზაციამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.
ასევე, ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს სესხის ხელშეკრულებაში მითითებული კოვენანტები. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-17 შენიშვნაში.

5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

წარდგენის მიზნებისთვის, წინა პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ორგანიზაციამ განახორციელა შემდეგი რეკლასიფიკაციები:

	რეკლასიფიკაციამდე	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიკაციის შემდეგ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
საგადასახადო ვალდებულება	**19**	(19)	-
სხვა ვალდებულება	**355**	19	**374**
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**(2,605)**	2,605	-
ცვეთა და ამორტიზაცია	-	(900)	**(900)**
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(1,705)	**(1,705)**

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული სალაროში	1,398	1,967
ფული ბანკებში	1,275	1,079
	2,673	**3,046**

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით გაშიფრულია მე-4 შენიშვნაში.

7. კლიენტებზე გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მომსახურება	27,855	20,237
მოხმარება	16,148	14,034
ვაჭრობა	13,692	14,871
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	5,762	4,520
წარმოება/მშენებლობა	3,006	2,383
საცხოვრებელი*	2,121	2,958
	68,584	**59,003**
გაუფასურების ანარიცხი	(1,726)	(784)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**66,858**	**58,219**

*საცხოვრებელი სესხები უძრავი ქონების შეძენის, რემონტისა და მოწყობის მიზნობრიობით გაცემული სესხებია.

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კლიენტებზე გაცემული სესხები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
მომსახურება				
ვადაგადაცილების გარეშე	25,733	561	-	**26,294**
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	318	-	-	**318**
31-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	600	-	**600**
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	399	**399**
სულ მომსახურება	-	-	244	**244**
გაუფასურების ანარიცხი	**26,051**	**1,161**	**643**	**27,855**
საბალანსო ღირებულება	(262)	(123)	(279)	**(664)**
მომსახურება	**25,789**	**1,038**	**364**	**27,191**
გაცვლა				
ვადაგადაცილების გარეშე	14,711	595	-	**15,306**
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	204	2	-	**206**
31-91 დღემდე ვადაგადაცილებით	-	307	-	**307**
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	158	**158**
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	-	171	**171**
სულ გაცვლა	**14,915**	**904**	**329**	**16,148**
გაუფასურების ანარიცხი	(141)	(65)	(135)	**(341)**
საბალანსო ღირებულება	**14,774**	**839**	**194**	**15,807**
მოხმარება				
ვადაგადაცილების გარეშე	12,383	589	-	**12,972**
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	243	-	-	**243**
31-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	148	-	**148**
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	185	**185**
სულ მოხმარება	-	-	144	**144**
გაუფასურების ანარიცხი	**12,626**	**737**	**329**	**13,692**
საბალანსო ღირებულება	(194)	(55)	(175)	**(424)**
მოხმარება	**12,432**	**682**	**154**	**13,268**
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა				
ვადაგადაცილების გარეშე	5,348	55	-	**5,403**
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	40	-	-	**40**
31-91 დღემდე ვადაგადაცილებით	-	158	-	**158**
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	38	**38**
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	-	123	**123**
სულ სესხები სასოფლო სამეურნეო საქმიანობაზე	**5,388**	**213**	**161**	**5,762**
გაუფასურების ანარიცხი	(61)	(32)	(73)	**(166)**
საბალანსო ღირებულება	**5,327**	**181**	**88**	**5,596**
წარმოება/მშენებლობა				
ვადაგადაცილების გარეშე	2,769	36	-	**2,805**
31-91 დღემდე ვადაგადაცილებით	-	44	-	**44**
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	85	**85**
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	-	72	**72**
სულ წარმოება/მშენებლობა	**2,769**	**80**	**157**	**3,006**
გაუფასურების ანარიცხი	(23)	(9)	(60)	**(92)**
საბალანსო ღირებულება	**2,746**	**71**	**97**	**2,914**
საცხოვრებელი				
ვადაგადაცილების გარეშე	1,781	260	-	**2,041**
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	23	-	-	**23**
31-91 დღემდე ვადაგადაცილებით	-	8	-	**8**
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	48	**48**
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	-	1	**1**
სულ საცხოვრებელი	**1,804**	**268**	**49**	**2,121**
გაუფასურების ანარიცხი	(16)	(5)	(18)	**(39)**
საბალანსო ღირებულება	**1,788**	**263**	**31**	**2,082**

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კლიენტებზე გაცემული სესხები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა				
ვადაგადაცილების გარეშე	4,133	59	-	**4,192**
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	102	-	-	**102**
31-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	143	-	**143**
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	83	**83**
სულ სესხები სასოფლო სამეურნეო საქმიანობაზე	**4,235**	**202**	**83**	**4,520**
გაუფასურების ანარიცხი	(39)	(25)	(34)	(98)
საბალანსო ღირებულება	**4,196**	**177**	**49**	**4,422**
წარმოება/მშენებლობა				
ვადაგადაცილების გარეშე	2,216	15	-	**2,231**
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	105	-	-	**105**
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	47	**47**
სულ წარმოება/მშენებლობა	**2,321**	**15**	**47**	**2,383**
გაუფასურების ანარიცხი	(16)	-	(20)	**(36)**
საბალანსო ღირებულება	**2,305**	**15**	**27**	**2,347**
მომსახურება				
ვადაგადაცილების გარეშე	19,419	244	-	**19,663**
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	234	2	-	**236**
31-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	261	-	**261**
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	77	**77**
სულ მომსახურება	**19,653**	**507**	**77**	**20,237**
გაუფასურების ანარიცხი	(146)	(37)	(37)	**(220)**
საბალანსო ღირებულება	**19,507**	**470**	**40**	**20,017**
ვაჭრობა				
ვადაგადაცილების გარეშე	13,425	154	-	**13,579**
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	238	1	-	**239**
31-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	141	-	**141**
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	75	**75**
სულ ვაჭრობა	**13,663**	**296**	**75**	**14,034**
გაუფასურების ანარიცხი	(106)	(30)	(37)	**(173)**
საბალანსო ღირებულება	**13,557**	**266**	**38**	**13,861**
მოხმარება				
ვადაგადაცილების გარეშე	13,787	566	-	**14,353**
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	326	15	-	**341**
31-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	113	-	**113**
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	64	**64**
სულ მოხმარება	**14,113**	**694**	**64**	**14,871**
გაუფასურების ანარიცხი	(159)	(42)	(41)	**(242)**
საბალანსო ღირებულება	**13,954**	**652**	**23**	**14,629**
საცხოვრებელი				
ვადაგადაცილების გარეშე	2,715	203	-	**2,918**
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	38	-	-	**38**
31-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	2	-	**2**
სულ საცხოვრებელი	**2,753**	**205**	**-**	**2,958**
გაუფასურების ანარიცხი	(13)	(2)	-	**(15)**
საბალანსო ღირებულება	**2,740**	**203**	**-**	**2,943**

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

კლიენტების ზოგადი კრედიტუნარიანობა წარმოადგენს მასზე გაცემული სესხის საკრედიტო ხარისხის ყველაზე შესაფერის ინდიკატორს. თუმცა, გირაო უზრუნველყოფს დამატებით დაცვას და როგორც წესი ორგანიზაცია მოითხოვს მსესხებლისგან მის უზრუნველყოფას.

ორგანიზაციის სასესხო პორტფელის ძირითადი ნაწილი უზრუნველყოფილია უძრავი ქონებითა და სატრანსპორტო საშუალებებით (მცირე ნაწილი უზრუნველყოფილია ძვირფასი ლითონებით).

ორგანიზაციის პოლიტიკას წარმოადგენს უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემა სესხი-ღირებულების პროდუქტის ინსტრუქციით გათვალისწინებული მაქსიმუმ 60%-იანი კოეფიციენტის გამოყენებით დაცვით სესხის გაცემის თარიღისთვის.

ავტო სესხები უზრუნველყოფილია შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებებით. ორგანიზაციის პოლიტიკა მოიცავს სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემას სესხი- ღირებულების პროდუქტის ინსტრუქციით გათვალისწინებული მაქსიმუმ 80%-იანი კოეფიციენტით სესხის გაცემის თარიღისთვის.

ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხების უზრუნველყოფას შესაბამისი ძვირფასი ლითონები წარმოადგენს. ორგანიზაციის პოლიტიკა მოიცავს ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემას სესხი-ღირებულების მაქსიმუმ 90%-იანი პროდუქტში ინსტრუქციით გათვალისწინებული კოეფიციენტით სესხის გაცემის თარიღისთვის. ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილ სესხებს ორგანიზაცია აღარ გასცემს 2016 წლიდან.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია გირაოს, სესხის პორტფელის უზრუნველყოფის შესახებ:

31 დეკემბერი 2020	უძრავი ქონება	სატრანსპორტო საშუალებები	ძვირფასი ლითონი	უზრუნველყოფის გარეშე	სულ
მომსახურება	18,002	9,150	36	2	**27,190**
ვაჭრობა	13,036	2,771	-	-	**15,807**
მოხმარება	6,963	6,207	95	4	**13,269**
სასოფლო-სამეურნეო	3,716	1,880	-	-	**5,596**
წარმოება/მშენებლობა	2,453	460	-	-	**2,913**
საცხოვრებელი	1,993	90	-	-	**2,083**
	46,163	**20,558**	**131**	**6**	**66,858**

31 დეკემბერი 2019	უძრავი ქონება	სატრანსპორტო საშუალებები	ძვირფასი ლითონი	უზრუნველყოფის გარეშე	სულ
მომსახურება	14,241	5,729	47	-	**20,017**
ვაჭრობა	10,763	3,089	-	11	**13,863**
მოხმარება	9,167	5,275	156	30	**14,628**
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	3,450	972	-	-	**4,422**
საცხოვრებელი	2,784	159	-	-	**2,943**
წარმოება/მშენებლობა	1,954	392	-	-	**2,346**
	42,359	**15,616**	**203**	**41**	**58,219**

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

შემდეგი ცხრილი მოიცავს ინფორმაციას ფინანსურ აქტივების შესახებ, რომელთა ფულადი ნაკადებიც მოდიფიცირებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და ჰქონდათ გავლენა ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე 2020 წლის 31 დეკემბრისთვის:

	ამორტიზებული ღირებულება მოდიფიკაციამდე	წმინდა ზარალი მოდიფიკაციიდან
მომსახურება	13,713	(299)
ვაჭრობა	8,688	(195)
მოხმარება	7,548	(185)
საცხოვრებელი	1,664	(43)
სასოფლო-სამეურნეო	1,501	(35)
წარმოება/მშენებლობა	1,497	(33)
	34,611	**(790)**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების ტიპის მიხედვით ზარალის რეზერვის შეჯერება საწყისი ნაშთიდან საბოლოო ნაშთამდე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კლიენტებზე გაცემული სესხები	**ეტაპი 1**	**ეტაპი 2**	**ეტაპი 3**	**სულ**
ამორტიზებული ღირებულებით	**479**	**136**	**169**	**784**
გადასვლა ეტაპი 1-ზე	10	(10)	-	-
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(21)	21	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(16)	(49)	65	-
ზარალის რეზერვის წმინდა გადაანგარიშება	61	171	449	**681**
შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები	573	-	-	**573**
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(82)	82	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(88)	-	88	-
უკან დაბრუნებული სესხები ჩამოწერა	-	-	-	-
ნაშთი წლის ბოლოს	**697**	**289**	**740**	**1,726**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების ტიპის მიხედვით ზარალის რეზერვის შეჯერება საწყისი ნაშთიდან საბოლოო ნაშთამდე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კლიენტებზე გაცემული სესხები	**ეტაპი 1**	**ეტაპი 2**	**ეტაპი 3**	**სულ**
ამორტიზებული ღირებულებით ნაშთი 1 იანვარს	**401**	**179**	**245**	**825**
გადასვლა ეტაპი 1-ზე	7	(7)	-	-
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(9)	9	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(2)	-	2	-
ზარალის რეზერვის წმინდა გადაანგარიშება	997	371	150	**1,518**
შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები	569	-	-	**569**
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(83)	83	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(134)	-	134	-
უკან დაბრუნებადი სესხები	(220)	(33)	(47)	**(300)**
ჩამოწერა	(1,047)	(466)	(315)	**(1,828)**
ნაშთი წლის ბოლოს	**479**	**136**	**169**	**784**

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების ტიპის მიხედვით ზარალის რეზერვის შეჯერება საწყისი ნაშთიდან საბოლოო ნაშთამდე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
კლიენტებზე გაცემული სესხები				
ამორტიზებული ღირებულებით ნაშთი 1 იანვარს	**56,738**	**1,919**	**346**	**59,003**
გადასვლა ეტაპი 1-ზე	46	(46)	-	**-**
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(1,870)	1,870	-	**-**
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(1,132)	(268)	1,400	**-**
შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები	60,220	-	-	**60,220**
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(591)	591	-	**-**
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(194)	-	194	
წმინდა ცვლილებები საპროცენტო ხარჯში	17	70	95	**182**
სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია	(711)	(61)	(18)	**(790)**
უკან დაბრუნებადი სესხები	(49,577)	(798)	(255)	**(50,630)**
ჩამოწერა	-	-	(94)	**(94)**
უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ტრანზაქციები და სხვა ცვლილებები	607	86	-	**693**
ნაშთი წლის ბოლოს	**63,553**	**3,363**	**1,668**	**68,584**

მეორე ეტაპის სესხებში შედის ორგანიზაციის სტანდარტული პროცედურის მიხედვით რესტრუქტურიზებული სესხები 2,116 ათასი ლარის ოდენობით და 34 ათასი ლარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით.
მესამე ეტაპის სესხები მოიცავს ორგანიზაციის სტანდარტული პროცედურის მიხედვით რესტრუქტურიზებულ სესხებს 38 ათასი ლარის ოდენობით და 2 ათასი ლარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით.
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კლიენტებისთვის გაცემული სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულებების შესაბამისი მოძრაობები შემდეგია:

კლიენტებზე გაცემული სესხები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
ამორტიზებული ღირებულებით	**47,316**	**1,298**	**558**	**49,172**
გადასვლა ეტაპი 1-ზე	41	(41)	-	**-**
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(1,138)	1,138	-	**-**
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(70)	(4)	74	**-**
შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები	66,374	-	-	**66,374**
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(590)	590	-	**-**
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(280)	-	280	**-**
წმინდა ცვლილებები საპროცენტო ხარჯში	58	20	(34)	**44**
უკან დაბრუნებადი სესხები	(54,301)	(1,014)	(79)	**(55,394)**
ჩამოწერა	(1,046)	(466)	(315)	**(1,827)**
უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული პროცედურები და სხვა ცვლილებები	374	398	(138)	**634**
ნაშთი წლის ბოლოს	**56,738**	**1,919**	**346**	**59,003**

მეორე ეტაპის სესხებში შედის ორგანიზაციის სტანდარტული პროცედურის მიხედვით რესტრუქტურიზებული სესხები 1,283 ათასი ლარის ოდენობით და 20 ათასი ლარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით.
მესამე ეტაპის სესხებში შედის ორგანიზაციების სტანდარტული პროცედურის მიხედვით რესტრუქტურიზებული სესხები 5 ათასი ლარის ოდენობით და 3 ათასი ლარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით.

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
გაუფასურების ანარიცხის წმინდა გაანგარიშება	369	1,218
შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები	573	569
სულ წლის განმავლობაში დარიცხული გაუფასურება	**942**	**1,787**
ჩამოწერა	94	-
ადრე ჩამოწერილი თანხების აღდგენა	(288)	(1,233)
სულ გაუფასურების ხარჯი სასესხო ფინანსურ აქტივებზე	**748**	**554**

8. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დასაკუთრებული აქტივები*	1,173	737
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით	170	-
ავანსები	95	223
საგადასახადო აქტივები	90	-
საკრედიტო ხაზის გარანტია	66	272
სხვა	30	159
	1,624	**1,391**

მოძრაობა დასაკუთრებულ აქტივებში 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	**737**	**318**
შესყიდვები	520	791
რეალიზაცია	(84)	(372)
ნაშთი წლის ბოლოს	**1,173**	**737**

*დასაკუთრებული აქტივები წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ორგანიზაციამ ვადაგადაცილებული სესხების ამოღებისას დაისაკუთრა. ეს აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ფასდება კლასიფიკაციის შესაბამისი აღრიცხვის პოლიტიკით. აქტივების აღიარებისას კლასიფიკაციის განსაზღვრა დამოკიდებულია ორგანიზაციის აქტივების რეალიზაციის მიზნობრიობასა და მის ბუნებაზე. დასაკუთრებული ქონების მარაგები აღრიცხულია ისტორიულ და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ორგანიზაციის მოლოდინით მომავალში მოხდება აღნიშნული აქტივების რეალიზაცია. დასაკუთრებული ქონების რეალიზაცია ხდება შესაძლებლობისთანავე, ხოლო მიღებული თანხები გამოიყენება დავალიანების შესამცირებლად.

9. გადავადებული საგადასახადო აქტივი

	31 დეკემბერი 2018	სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული	31 დეკემბერი 2019	სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული	31 დეკემბერი 2020
კლიენტებზე გაცემული სესხები	**357**	(90)	**267**	10	**277**
აქტივების გამოყენების უფლება	**-**	(672)	**(672)**	64	**(608)**
ძირითადი საშუალებები	**(110)**	(92)	**(202)**	16	**(186)**
არამატერიალური აქტივები	**19**	(10)	**9**	16	**25**
სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები	**30**	14	**44**	38	**82**
საიჯარო ვალდებულება	**-**	705	**705**	37	**742**
სხვა ვალდებულებები	**50**	(7)	**43**	(19)	**24**
	346	**(152)**	**194**	**162**	**356**

მოგების გადასახადის ხარჯი 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
მიმდინარე მოგების გადასახადი	(314)	(376)
დროებითი სხვაობების ეფექტი	162	(152)
	(152)	**(528)**

მოგების გადასახადის ხარჯის რეკონსილაცია დადგენილი განაკვეთის მიხედვით შემდეგნაირია:

	2020	2019
მოგება დაბეგვრამდე	**1,635**	**3,048**
საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის სარგებელი	**(245)**	**(457)**
მუდმივი სხვაობების ეფექტი	93	(71)
მოგების გადასახადის ხარჯი	**(152)**	**(528)**

10. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ორგანიზაციას იჯარით აღებული აქვს ფართები ფილიალებისთვის და სათაო ოფისისთვის. ყველა აქტივის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია როგორც ლარში, ასევე აშშ დოლარში. იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები 2020 წლის 1 იანვრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

იჯარის ხელშეკრულება	არაგაუქმებადი პერიოდი	გაგრძელების არჩევანის უფლების გამოყენება	იჯარის ვადა	დისკონტის განაკვეთი
სათაო ოფისი და ფილიალები	-	24-98 თვე	48-118 თვე	7.5%-12.5%

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
წლის დასაწყისში	**4,483**	**1,755**
წლის განმავლობაში გაფორმებული საიჯარო კონტრაქტები	396	3,306
ამორტიზაცია	(829)	(578)
წლის ბოლოს	**4,050**	**4,483**

საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
წლის დასაწყისში	**4,700**	**1,755**
წლის განმავლობაში გაფორმებული საიჯარო კონტრაქტები	396	3,173
საპროცენტო ხარჯი	401	302
ქირის შეღავათები*	(100)	-
საიჯარო გადასახადი	(1,057)	(845)
უცხოური ვალუტის გადაფასება	607	315
წლის ბოლოს	**4,947**	**4,700**

*ორგანიზაციამ აირჩია პრაქტიკული მიდგომის გამოყენება ფასს 16-ში შეტანილი ცვლილებები შესაბამისად ყველა იმ საიჯარო შეღავათზე, რომელიც აკმაყოფილებდა შესაბამის კრიტერიუმებს. წლის განმავლობაში არსებული ყველა საიჯარო შეღავათი არსებითად აკმაყოფილებს პრაქტიკული მიდგომის კრიტერიუმებს. პრაქტიკული მიდგომის გამოყენებამ გამოიწვია საიჯარო ვალდებულებების 100 ათასი ლარით შემცირება. ამ შემცირების ეფექტი აღიარდა იმ პერიოდის მოგებ-ზარალში, როდესაც მოხდა შესაბამისი გადახდები.
ორგანიზაციას არ გააჩნია მსგავსი მახასიათებლების მქონე მიღებული სესხები მიმდინარე ან შესადარის პერიოდში. შესაბამისად, სესხის პროცენტის განსაზღვრისთვის გამოყენებულია დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები მსგავსი სექტორისთვის.

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობა-ნაგებობები	ავეჯი და მოწყობილობები	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	სულ
2018 წლის 31 დეკემბერს	**1,184**	**911**	**325**	**2,420**
შესყიდვა	-	424	167	**591**
ჩამოწერა	-	-	(19)	**(19)**
2019 წლის 31 დეკემბერს	**1,184**	**1,335**	**473**	**2,992**
შესყიდვა	-	282	216	**498**
ჩამოწერა	-	(9)	(38)	**(47)**
2020 წლის 31 დეკემბერს	**1,184**	**1,608**	**651**	**3,443**
დაგროვილი ცვეთა				
2018 წლის 31 დეკემბერს	**(16)**	**(353)**	**(118)**	**(487)**
ცვეთა წლის განმავლობაში	(21)	(173)	(55)	**(249)**
ჩამოწერილი აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	6	**6**
2019 წლის 31 დეკემბერს	**(37)**	**(526)**	**(167)**	**(730)**
ცვეთა წლის განმავლობაში	(21)	(240)	(90)	**(351)**
ჩამოწერილი აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	9	33	**42**
2020 წლის 31 დეკემბერს	**(58)**	**(757)**	**(224)**	**(1,039)**
ნეტო საბალანსო ღირებულება				
2019 წლის 31 დეკემბერს	**1,147**	**809**	**306**	**2,262**
2020 წლის 31 დეკემბერს	**1,126**	**851**	**427**	**2,404**

12. სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სესხის ძირი	54,261	47,677
გადასახდელი პროცენტი	667	407
	54,928	**48,084**

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2020
უზრუნველყოფილი სესხები				
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან	ლარი	9%-15%	2021-2023	25,494
არაუზრუნველყოფილი სესხები				
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან	აშშ დოლარი	8%-9%	2021-2022	15,854
სუბორდინირებული სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	აშშ დოლარი	10%-11%	2024-2025	5,801
დაკავშირებული მხარეებისგან	აშშ დოლარი	8%-11%	2021-2024	1,094
დაკავშირებული მხარეებისგან	ლარი	14%	2021	20
დაკავშირებული მხარეებისგან	ევრო	6%	2021	65
ფიზიკური პირებისგან	აშშ დოლარი	2%-8%	2021-2022	5,765
ფიზიკური პირებისგან	ლარი	14%	2021	206
ფიზიკური პირებისგან	ევრო	6%	2021	21
სხვა იურიდიული პირებისგან	აშშ დოლარი	7%-8%	2021-2022	608
				54,928

12. სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები (გაგრძელება)

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2019
უზრუნველყოფილი სესხები				
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან	ლარი	10%-17%	2020-2021	20,989
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან	აშშ დოლარი	7%-8%	2021-2028	5,231
არაუზრუნველყოფილი სესხები				
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან	აშშ დოლარი	8%-9%	2021	8,000
სუბორდინირებული სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	აშშ დოლარი	10%-11%	2024-2025	5,080
დაკავშირებული მხარეებისგან	აშშ დოლარი	4%-11%	2020-2024	2,874
დაკავშირებული მხარეებისგან	ლარი	14%	2020-2021	156
დაკავშირებული მხარეებისგან	ევრო	6%	2020-2021	78
ფიზიკური პირებისგან	აშშ დოლარი	5%-11%	2020-2021	4,222
ფიზიკური პირებისგან	ლარი	14%	2020	45
ფიზიკური პირებისგან	ევრო	6%	2020	17
სხვა იურიდიული პირებისგან	აშშ დოლარი	8.75%	2020	876
სხვა იურიდიული პირებისგან	ლარი	15.25%	2020	516
				48,084

ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან 2020 და 2019 წლებისთვის მიღებული სესხები უზრუნველყოფილია ორგანიზაციის უძრავი ქონებით, რომლის საბალანსო ღირებულებაა 740 ათასი და 631 ათასი ლარი, საკრედიტო პორტფელი 37 000 ათასი და 37 000 ათასი ლარი, ფულადი გირაო, 66 ათასი ლარი და 272 ათასი ლარი.
ფინანსური აქტივობებიდან წარმოქმნილი ცვლილებები მიღებულ და სუბორდინირებულ სესხებში, რომელიც მოიცავს, როგორც ფულად ასევე არაფულად ნაკადებს, შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2020		2019	
	სუბორდინირებული სესხები	სხვა ნასესხები თანხები	სუბორდინირებული სესხები	სხვა ნასესხები თანხები
ნაშთი წლის დასაწყისში	**5,080**	**43,004**	**3,913**	**34,516**
ძირის დაფარვა	-	(91,803)	-	(56,016)
სესხის აღება	-	94,288	844	63,464
გადახდილი პროცენტი	(600)	(5,131)	(521)	(4,065)
წმინდა ფულადი ნაკადები:				
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	551	5,338	545	4,124
საკურსო სხვაობის ეფექტი	770	3,431	299	981
სესხის თანხების კონვერტაცია	**5,801**	**49,127**	**5,080**	**43,004**

13. სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით	448	-
ვალდებულებები მიღებული მომსახურებიდან	140	90
გადასახდელი ხელფასები	86	216
სხვა	91	68
	765	**374**

14. საწესდებო კაპიტალი და რეზერვები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციის მფლობელები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	31 დეკემბერი 2020			31 დეკემბერი 2019		
მეწილეები	მთლიანი ჩვეულებრივი აქტივების პროცენტული ღირებულება	ჩვეულებრივი აქციების ღირებულება	პრივილეგირებული აქციების რაოდენობა	მთლიანი ჩვეულებრივი აქტივების პროცენტული ღირებულება	ჩვეულებრივი აქციების ღირებულება	პრივილეგირებული აქციების რაოდენობა
გია პეტრიაშვილი	32.18%	716,000	200	32.55%	716,000	200
ოთარ რუხაძე	14.61%	325,000	800	14.77%	325,000	800
თენგიზ მაზიაშვილი	9.42%	209,500	250	9.52%	209,500	250
ტარას ნიჟარაძე	8.36%	186,000	740	8.45%	186,000	740
მურმან ამბროლაძე	8.09%	180,000	100	8.18%	180,000	100
გოდერძი მელაძე	6.74%	150,000	300	6.82%	150,000	300
გიორგი გოტოშია	6.74%	150,000	100	6.82%	150,000	100
გიორგი ვაჩნაძე	5.55%	123,500	110	5.61%	123,500	110
JB LLC	2.70%	60,000	200	2.73%	60,000	200
ეთერ ჩაჩიბაია	1.80%	40,000	-	1.59%	35,000	-
გიორგი ღვალაძე	1.71%	38,000	-	1.41%	31,000	-
თათია ჯაჯანაშვილი	1.21%	27,000	-	0.91%	20,000	-
ნინო დევდარიანი	0.90%	20,000	-	0.64%	14,000	-
	100.00%	**2,225,000**	**2,800**	**100.00%**	**2,200,000**	**2,800**

გამოშვებული კაპიტალი

უფლებამოსილი, გამოშვებული და ნარჩენი სააქციო კაპიტალი მოიცავს 2,225,000 ჩვეულებრივ აქციას (2019 წელს: 2,00,000). ყველა აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი. 2020 წლის განმავლობაში, გამოშვებულ იქნა 25,000 ჩვეულებრივი აქცია (2019 წელს: 15,400 აქცია).
სხვაობა ნომინალურ ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის აღიარდება საემისიო კაპიტალში. საემისიო კაპიტალი შეადგენს 996 ათასი ლარს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (31 დეკემბერი 2019: 900 ათასი ლარი).
ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ორგანიზაციის ყოველწლიურ და საერთო კრებაზე ერთ აქციაზე აქვთ ერთი ხმის უფლება.

პრივილეგირებული აქციები

2018 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ გამოუშვა 2,800 არადაბრუნებადი პრივილეგირებული აქცია ნომინალური ღირებულებით 1,000 აშშ დოლარი (2020 და 2019 წლის განმავლობაში ცვლილება არ მომხდარა). დივიდენდის განაკვეთი პრივილეგირებულ აქციებზე არის 12.5% წელიწადში. დივიდენდი გადასახდელია ნახევარ წელიწადში ერთხელ და ყოველ მოცემულ წელიწადში ექვემდებარება ყოველწლიური აქციონერთა საერთო კრების (AGM) დადასტურებას. დივიდენდების გადახდის შესაძლებლობა დამოკიდებულია ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას და ოპერაციების შედეგებს და სხვა, ყოველწლიური აქციონერთა საერთო კრების მიერ განხილულ ფაქტორებზე.
ორგანიზაციის წესდების მიხედვით, თუ ყოველწლიური აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტს, რომ დივიდენდები პრივილეგირებულ აქციებზე არ იქნება გადახდილი ორჯერ მიყოლებით ან დივიდენდის განაკვეთი შემცირდება, პრივილეგირებული აქციების მფლობელს უფლება აქვს გადაიყვანოს კუთვნილი პრივილეგირებული აქციები ჩვეულებრივ აქციებში.

დივიდენდები

დივიდენდების ვალდებულება შეზღუდულია ორგანიზაციის მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2020 და 2019 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 741 ათასი ლარის ოდენობით პრივილეგირებული დივიდენდები და 553 ათასი შესაბამისად.

15. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

წმინდა საპროცენტო შემოსავალი:	2020	2019
კლიენტზე გაცემული სესხები	16,608	14,079
ბანკში განთავსებული სახსრები	40	1
ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვლილება	(790)	-
	15,858	**14,080**

საპროცენტო ხარჯი	2020	2019
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	(3,728)	(3,140)
სესხები ფიზიკური პირებისგან	(1,011)	(1,089)
სესხები საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან	(960)	(197)
იჯარა	(401)	(302)
სხვა სესხები	(190)	(243)
	(6,290)	**(4,971)**

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები	(362)	(662)
საკონსულტაციო მომსახურება*	(192)	(143)
საოფისე საქონელი	(158)	(154)
აპლიკაციის შემოწმება	(104)	(98)
კომუნალური მომსახურება	(94)	(78)
კომუნიკაცია	(92)	(92)
დაცვა	(57)	(50)
ქირა	(50)	(80)
საგადასახადო ხარჯი და მოგების გადასახადი	(43)	(24)
საბანკო მოსაკრებელი	(33)	(63)
ტრანსპორტირება	(31)	(47)
ბიზნეს მოგზაურობა	(30)	(49)
სხვა	(252)	(165)
	(1,498)	**(1,705)**

*2020 და 2019 წლებისთვის, აუდიტორული კომპანიისათვის აუდიტისა და სხვა პროფესიული სერვისების ასანაზღაურებლად გადახდილმა პროფესიულმა საფასურმა შესაბამისად შეადგინა 51 ათასი ლარი და 90 ათასი ლარი.

17. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - ნორმალური საქმიანობის პირობებში, ორგანიზაციები ჩვეულებრივ ექვემდებარებიან სამართლებრივ ქმედებებსა და საჩივრებს.
კლიენტების მიერ სესხის დაფარვის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ორგანიზაციას უწევს სამართლებრივ დავებში ჩართვა. ასეთი სამართლებრივი დავების მაქსიმალური გასავალი მომხმარებლისგან მისაღები სესხის თანხაა (მათ შორის დარიცხული პროცენტი და სხვა გადასახადები).
ხელმძღვანელობას არ აქვს ინფორმაცია მის წინააღმდეგ რაიმე სახის მნიშვნელოვანი ფაქტიური, მიმდინარე ან მოსალოდნელი სარჩელის შესახებ.

კოვენანტები - ორგანიზაცია ექვემდებარება ფინანსურ შეზღუდვებს, რომლებიც ჩადებულია მიღებული ნასესხები სახსრების ხელშეკრულებებში. აღნიშნული კოვენანტების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, რაც დაკავშირებულია მსესხებლის მიერ სესხის გრაფიკით განსაზღვრულ ვადაზე ადრე მოთხოვნასთან.
ორგანიზაციას დაკმაყოფილებული აქვს მისი ყველა ფინანსური კოვენანტი, რომელიც განსაზღვრულია საკრედიტო ხელშეკრულებებში 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები - საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განმარტებები და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოები არ დააკისრებენ რაიმე სახის დამატებით გადასახადს, მოსაკრებელს ან ჯარიმას, თუ იმ წლის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც დარღვევას ჰქონდა ადგილი გასული იქნება სამი წელი.
ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ორგანიზაციის ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე..

ფინანსური გარანტიები - 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციას აქვს გაცემული გარანტია 2,200 ათასი და 850 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ქართული კომერციული ბანკისათვის, დაკავშირებული მხარის სესხის უზრუნველსაყოფად, 2%-იანი პრემიუმ განაკვეთით. გარანტიის ვადა არის 10 წელი. სესხი არის უზრუნველყოფილი იმ ქონებით, რომლის შესაძენადაც დაკავშირებულმა მხარემ მიიღო სესხი. ქონება (საცხოვრებელ-კომერციული ფართი თბილისში) არის დაგირავებული როგორც პირველადი უზრუნველყოფა. დამატებით, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქართული კომერციული ბანკისათვის, დაკავშირებული მხარის სესხის უზრუნველსაყოფად, მეორე რიგით დაგირავებულია 500 ათასი აშშ დოლარის კლიენტებზე გაცემული სესხების პორტფელი. ხელმძღვანელობის შეფასებით, დეფოლტის ალბათობა თითქმის არ არის. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასადგენად ორგანიზაციამ ფინანსური გარანტიები მიაკუთვნა ეტაპ 1-ს. ხელმძღვანელობის შეფასებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არამატერიალურია საანგარიშგებო პერიოდისათვის.

მმართველობის ანგარიშგება - ორგანიზაციას აქვს ვალდებულება მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის შესაბამისად და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად წარადგინოს მარეგულირებელ ორგანოსთან არაუგვიანეს მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის 1 ოქტომბრამდე. ორგანიზაციას არ მოუმზადებია მმართველობის ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღში.

17. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციები

ორგანიზაცია შეესაბამება მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებს - კაპიტალში განხორციელებული მინიმალური ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 1,000 ათას ლარზე ნაკლები (2018 წ.: 500 ათასი ლარი).

2018 წლის 1 სექტემბერიდან ორგანიზაციას ასევე ვალდებულება აქვს დააკმაყოფილოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული ფინანსური მოთხოვნები, როგორიც არის: კაპიტალის ადეკვატურობა, ლიკვიდურობა, ქონებრივი ინვესტიცია, ინვესტიცია, დაკავშირებული მხარის ზემოქმედება და დაგირავებული აქტივების კოეფიციენტები. შესაბამისობა ამ კოეფიციენტებთან ყოველთვიურად კონტროლირდება სებ-ის მიერ.

სებ-ის რეგულაციების შესაბამისად, ორგანიზაცია ვალდებულია იქონიოს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის მინიმალური დონე ქვემოთ მოცემული გრაფიკის შესაბამისად:

- სექტემბერ 1, 2018 – დეკემბერი 31 2018: სულ მცირე 16%
- იანვარი 1, 2019 – ივნისი 30 2019: 16-18%
- ივლისი 1, 2019დან – სულ მცირე 18%

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განხილულია სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტთან შესაბამისობა 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სააქციო კაპიტალი	2,225	2,200
საემისიო კაპიტალი	996	900
პრიორიტეტული აქციები	7,347	7,347
გაუნაწილებელი მოგება	6,994	6,252
დაშვებული დაქვემდებარებული ვალი	5,801	5,080
მარეგულირებელი კაპიტალი შემცირებამდე	**23,363**	**21,779**
არამატერიალური აქტივები	(237)	(262)
მარეგულირებელი კაპიტალი	**23,126**	**21,517**

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მთლიანი აქტივები შემცირებამდე	78,202	69,857
არამატერიალური აქტივები	(237)	(262)
მთლიანი აქტივები შემცირების შემდეგ	**77,965**	**69,595**

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	**30%**	**31%**

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:
(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ორგანიზაციასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს ორგანიზაციაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს ორგანიზაციაზე;
(ბ) ორგანიზაციის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
(დ)მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.
დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ორგანიზაციასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების არე	აქციონერები	სხვა დაკავშირებული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება
სუბორდინირებული სესხები	5,801	-	-
სხვა ნასესხები თანხები	-	1,179	-
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	-	-	(739)
საპროცენტო ხარჯი	(551)	(142)	-

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ორგანიზაციასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების არე	აქციონერები	სხვა დაკავშირებული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება
სუბორდინირებული სესხები	5,080	-	-
სხვა ნასესხები თანხები	1,953	1,156	-
გაცემული ავანსები	3	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-	203
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	-	-	(763)
საპროცენტო ხარჯი	(683)	(114)	-

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

სესხების მიღება

2021 წლის 4 მარტს ორგანიზაციამ მიიღო სესხები საერთაშორისო ინსტიტუტებისგან 3,326 ათასი ლარის და 500 ათასი დოლარის ოდენობით. ნომინალური საპროცენტო განაკვეთი არის 14.2% და 6.4%. დაფარვის ვადაა 2022-2023. ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები შეადგენს 3,000 ათას ლარს. საპროცენტო განაკვეთი არის 14%. დაფარვის ვადა - 2022 წელი.

20. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.
თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.
თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარებისას, ორგანიზაცია სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას.
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის სხვაობის გადავადებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ორგანიზაცია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც მოგებას ან ზარალს, როდესაც იგი იქნება გონივრულად გაზომვადი, ან როდესაც ინსტრუმენტის აღიარება არის შეწყვეტილი.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ამორტიზებული ღირებულებით

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები არის ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ორი გარემოება:

- ორგანიზაცია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- ორგანიზაცია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

20. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.
ორგანიზაციის ყველა ფინანსურ აქტივი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:
• აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
• აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ორგანიზაციამ შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
• სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხვდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.
ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.
ბიზნეს მოდელის შეფასებისას ორგანიზაციის მიერ გათვალისწინებული ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:
• პორტფელთან მიმართებაში არსებული ამოცანები და პოლიტიკა და ამგვარი პოლიტიკის მოქმედებას პრაქტიკაში, მათ შორის არის თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია მიმართული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ვადის ვალდებულებების ვადასთან თანხვედრაზე, რაც მოიცავს ამგვარი აქტივების დაფინანსებას ან ფულადი ნაკადების რეალიზაციას აქტივების გაყიდვის გზით;
როგორ ხდება პორტფელის შედეგების შეფასება და ამ შეფასებების კომუნიკაცია ორგანიზაციის ხელმძღვანელობისთვის;
რისკები, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს მოდელის (და ამგვარ ბიზნეს მოდელში არსებული ფინანსური აქტივების) მაჩვენებლებზე და რამდენად იმართება ამგვარი რისკები;
როგორ ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა ანაზღაურება მართვის ქვეშ არსებული აქტივების სამართლიან ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
• განვლილ პერიოდებში გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მომავალი სავაჭრო საქმიანობის მოლოდინები. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია სავაჭრო საქმიანობის შესახებ ცალკე არ განიხილება, ის წარმოადგენს ორგანიზაციის შეფასების ნაწილს, თუ რამდენად არის მიღწეული ფინანსური აქტივების მართვასთან დაკავშირებით ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული მიზნები და რამდენად არის რეალიზებული ფულადი ნაკადები.
გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულია რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი არის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. SPPI -ის ტესტი ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.
სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.
იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ორგანიზაცია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.
SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:
- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

რეკლასიფიკაცია

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ ორგანიზაცია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ცვლილება გაუფასურების შეფასებაში

ფასს 9-ის მიღებამ ფუნდამენტურად შეცვალა ორგანიზაციის აღრიცხვა გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხთან დაკავშირებთ, კერძოდ ბასს 39-ის მიდგომა - „გაწეული ზარალი“ (CL) ჩაანაცვლა მომავალზე ორიენტირებულმა - „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელმა. ფასს 9 მოითხოვს ECL-ის დაანგარიშებას ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხვით.
გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შეძენილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ორგანიზაციამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები აღიარა ყველა სადებეტო ინსტრუმენტისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.
გაუფასურების ზარალისა და ანარიცხის განსაზღვრებამ გადაინაცვლა „გაწეული ზარალის“ (CL) მოდელიდან, რომელიც ბასს 39-ის მიხედვით ზარალს აღრიცხავდა მას შემდეგ, რაც ზარალის გამომწვევი მოვლენა უკვე მომხდარი იყო, „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელზე, რომელიც ფასს 9-ის მიხედვით ზარალს აღრიცხავს ფინანსური აქტივის წარმოქმნისთანავე. ფასს 9-ის მიხედვით ორგანიზაცია ჯერ ცალკეულად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრავს თუ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ აქტივებს, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.
ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. გაცემული სესხები) დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მახასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შეძენის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1-ლი ეტაპი: ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე.
ანარიცხი საკრედიტო ზარალებზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულა.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. ორგანიზაცია აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების PD-ის 100 %-ით.
ვადაგადაცილების დღეების გათვალისწინებით, სესხების 3 ეტაპზე გადანაწილება შემდეგნაირად შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

უზრუნველყოფის სახე	1 ეტაპი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი
უძრავი ქონება	0-30	31-90	>90
მოძრავი ქონება	0-30	31-90	>90
მესამე მხარის გარანტიები	0-30	31-90	>90
არაუზრუნველყოფილი	0-30	31-90	>90

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ორგანიზაცია ავტომატურად ანიჭებს სესხს 1 ეტაპს, სესხის გაცემის მომენტში. სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპზე, თუ ქვემოთ მოცემული რომელიმე მაპროვოცირებელ მოვლენას ექნება ადგილი:
ა) სესხის 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
ბ) სესხის რესტრუქტურიზაცია;
გ) მსესხებლის მიერ შემოსავლის დაკარგვა;
დ) მსესხებლის შრომისუუნარობა;
ე) თაღლითობა მსესხებლის ბიზნესში (ბიზნეს მსესხებლებისთვის);
ვ) ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილის/ქონების გაყიდვა რაც აუცილებელია მისი შემოსავლების გენერაციისთვის (ბიზნეს მსესხებელისთვის);
ზ) მაკროეკონომიკური ფაქტორების ან მათი საპროგნოზო მნიშვნელობების გაუარესება, რასაც გავლენა აქვს მსესხებელზე ან/და მსესხებელთა ჯგუფზე;
თ) მარეგულირებელი, პოლიტიკური და ტექნოლოგიური მოლოდინების გაუარესება, რასაც გავლენა აქვს მსესხებელზე ან/და მსესხებელთა ჯგუფზე;
ი) არასასურველი ცვლილებები სექტორში ან საწარმოო პირობებში, რომელშიც მსესხებელი ოპერირებს.
სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპიდან 1-ელ ეტაპზე, თუ:
ა) მე-2 სტადიის მაპროვოცირებელი ფაქტორის მოხდენიდან 6 თვის მანძილზე მსესხებელი გრაფიკის მიხედვით ემსახურება სესხს;
ბ) იმ გარემოებების გამოსწორება, რომლის გამოც სესხმა გადაინაცვლა მე-2 ეტაპზე. გ) რესტრუქტურიზირებული სესხები 1-ლ სტადიაში არ ბრუნდება.
გადეფოლტებული სესხები დეფოლტის მომენტში გადაინაცვლებს მე-3 ეტაპზე, მე-3 სტადიაში მოხვედრილი სესხი სხვა სტადიაში აღარ ბრუნდება.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:
ა) სესხები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით;
ბ) მსესხებლის გარდაცვალება;
გ) გაკოტრების პროცედურების წამოწყება (იურიდიული პირების შემთხვევაში);ან
დ) თაღლითობა ან სხვა ფორსმაჟორული სიტუაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე.
დეფოლტის განმარტება თანხვედრაშია ფასს 9-ის მოთხოვნებთან, 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილების შესახებ.
ორგანიზაცია დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ორგანიზაცია ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე, ასევე მომავალის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.
რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

ორგანიზაციის აზრით, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუადრეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ორგანიზაცია რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს შეუძლიათ გამოააშკარაონ საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა მანამ სანამ ის დაექვემდებარება დეფოლტს;
- კრიტერიუმები არ შეესაბამება დროის იმ მომენტს როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული;
- საშუალო დრო აუცილებელი საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დადგენიდან დეფოლტამდე არის გონივრული;
- რისკზე დაქვემდებარება არ გადადის პირდაპირ 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან კრედიტით გაუფასურებულში; და
- არ არსებობს არანაირი უსაფუძვლო არასტაბილურობა ზარალის რეზერვში, 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან (ეტაპი 1) არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (ეტაპი 2) გადატანებიდან.

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.
ორგანიზაცია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.
ორგანიზაციამ მოახდინა საკრედიტო რისკის და საკრედიტო ზარალის საკვანძო მამოძრავებლის იდენტიფიცირება და დოკუმენტირება თითოეული ფინანსური ინსტრუმენტის პორტფელისთვის და ისტორიული მონაცემების ანალიზის გამოყენებით, ივარაუდა დამოკიდებულებები მაკროეკონომიკურ ცვლადებსა და დეფოლტის ალბათობებს შორის. საკვანძო მამოძრავებელს მშპ-ს პროგნოზები წარმოადგენს. ნავარაუდები დამოკიდებულებები საკვანძო ინდიკატორებსა და დეფოლტსა და სესხის პორტფელების ზარალის განაკვეთებს შორის, ჩამოყალიბებულ იქნა ბოლო 5 წლის ისტორიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

მოდიფიცირებული ფინანსური აქტივები

სესხის სახელშეკრულებო პირობები შესაძლებელია შეიცვალოს რიგი მიზეზების გამო, როგორიცაა საბაზრო პირობების ცვლილება, კლიენტების შენარჩუნება და სხვა ფაქტორები რომლებიც არ არიან დაკავშირებული კლიენტის მიმდინარე ან პოტენციურ საკრედიტო გაუარესებასთან. არსებული სესხის აღიარება, რომლის პირობებიც შეიცვალა შესაძლებელია შეწყდეს და ახალ სესხად აღიარებულ იქნას მოდიფიცირებული სესხი, სამართლიანი ღირებულებით, მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.
ორგანიზაცია ახდენს კლიენტებზე გაცემული სესხების პირობების ცვლილებას ფინანსური სირთულეების მქონე კლიენტებისთვის (ეგრეთ წოდებული “მოთმინების ქმედებები“), რათა გაზარდოს სესხის ამოღების შესაძლებლობები და მოახდინოს დეფოლტის რისკის მინიმიზება. ორგანიზაციის მოთმინების პოლიტიკის მიხედვით, სესხის პირობების ცვლილება ხდება, თუ მსესხებელი დეფოლტშია, ან არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, არსებობს მონაცემები, რომ მსესხებელმა გააკეთა ყველა გონივრული ქმედება არსებული საკონტრაქტო ვალდებულების მიხედვით ვალის გასტუმრებისთვის და იგი შეძლებს განახლებული სასესხო პირობების დაკმაყოფილებას.

რესტრუქტურიზებული სესხები გადატანილია მეორე ეტაპზე და გამოიყენება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

შეცვლილი პირობები როგორც წესი გულისხმობს დაფარვის ვადის გახანგრძლივებას, და საპროცენტო გადახდების განრიგის ცვლილებას.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რესტრუქტურიზებული ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება მოლაპარაკებების საფუძველზე ან მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო არსებული ფინანსური აქტივი ახლით იცვლება, მაშინ კეთდება შეფასება იმისა უნდა მოხდეს თუ არა ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ანგარიშდება შემდეგნაირად:

- თუ მოსალოდნელი რესტრუქტურიზაცია არ გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ შეცვლილი ფინანსური აქტივიდან მისაღები მოსალოდნელი ფულადი სახსრები ჩათვლილია მიმდინარე აქტივისგან მიღებული ფულადი დანაკლისის გაანგარიშებაში.
- თუ მოსალოდნელი რესტრუქტურიზაცია გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ ახალი აქტივის მოსალოდნელი სამართლიანი ღირებულება განიხილება როგორც საბოლოო ფულადი ნაკადი არსებული ფინანსური აქტივიდან მისი აღიარების შეწყვეტის მომენტში. ეს ოდენობა ჩათვლილია მიმდინარე ფინანსური აქტივისგან მიღებულ ფულად დანაკლისში, რომელიც დისკონტირებულია მოსალოდნელი აღიარების შეწყვეტის თარიღიდან ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე არსებული ფინანსური აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ECL -ის გაზომვა

ECL -ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი. ეს ცვლადები (EAD-ის გარდა) დაანგარიშებულია ყოველწლიურად. EAD განახლდება ყოველთვის, როდესაც ხდება სესხის გაუფასურების ანარიცხის კალკულაცია.

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის ორგანიზაცია იყენებს ბოლო 3 წლის სტატისტიკას. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის, სესხები სეგმენტებად დაჯგუფებულია სესხის უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით. PD გამოითვლება სასესხო პორტფელის მიმართ მიგრაციის მატრიცის მისადაგებით, რომელიც გვიჩვენებს სასესხო პორტფელის გადანაცვლების ალბათობას გაუფასურების ეტაპებს შორის.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოიყენება ბოლო 3 წლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განმავლობაში გადეფოლტებული სესხები და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო პერიოდამდე განხორციელებული თანხის შემოდინებები წლის ჭრილში.

ფულადი ნაკადები დისკონტირდება სეგმენტის საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას, პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.
დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია დაანგარიშდება ყველა სეგმენტისთვის ცალ-ცალკე და გამოიყენება პორტფელის იმ მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შესაძლოა დაექვემდებაროს საკრედიტო რისკს დეფოლტის მომენტში. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება მიმდინარე სესხის თანხიდან მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით იმ დაშვებაზე დაყრდნობით, რომ დეფოლტი ხდება წლის შუა პერიოდში. მოსალოდნელ ცვლილებებში იგულისხმება გრაფიკით გათვალისწინებული ძირის დაფარვები ვადაგადაცილების მომენტამდე, პროცენტის დარიცხვები ვადაგადაცილების მომენტიდან დეფოლტამდე.
გამოთვლაში ასევე მონაწილეობს ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით დათვლილი სესხის წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტი, რომელიც ამცირებს არსებული სესხის ბალანსს დეფოლტის დადგომამდე (იგი გამოთვლაში მონაწილეობს იმ შემთხვევაში თუ სესხის საშუალო ვადიანობა აღემატება 12 თვეს).

ფინანსური ვალდებულებები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიცირდეს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. ორგანიზაციამ ყველა ფინანსური ვალდებულება დააკლასიფიცირა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.
ორგანიზაციის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.
სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა

ორგანიზაცია ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვას აკეთებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ორგანიზაცია გეგმავს ანგარიშსწორებას გადახურული ნაშთის საფუძველზე, ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური ვალდებულებები არ რეკლასიფიცირდება პირველადი აღიარების შემდგომ.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულების შეფასება მიზნად ისახავს იმ ფასის მიახლოებას რომელიც მიღებულ იქნებოდა აქტივის გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციებში შეფასების დღისთვის. ამასთან, გაურკვევლობების და სუბიექტური მსჯელობების გამოყენების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო ხარჯები და შემოსავლები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო შემოსავალი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში ჩაირთვება ისეთი შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და მიღებასთან. მაგალითად, საკომისიო შემოსავალი, რომელიც მოიცავს მსესხებლის საკრედიტო მდგომარეობის შეფასებას, უზრუნველყოფის საგნის შეფასებასთან.

სხვა შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია გაცემული ან მიღებული სერვისის მოცულობასთან.

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, ორგანიზაცია საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

წარდგენა

მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე პროცენტს. მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი საპროცენტო ხარჯი მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებზე პროცენტს.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკომისიოები

საკომისიო ხარჯი და შემოსავალი ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და შედის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში.
მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც იწვევს ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური ინსტრუმენტის აღიარებას, შეიძლება ნაწილობრივ ესადაგებოდეს ფასს 9 და ნაწილობრივ ფასს 15-ი. ამ შემთხვევაში ორგანიზაცია ჯერ იყენებს ფასს 9-ს, რომ დაყოს და აღრიცხოს ხელშეკრულების ის ნაწილი რომელიც ფასს 9-ს მიეკუთვნება და შემდეგ დარჩენილ ნაწილზე იყენებს ფასს 15-ს. სხვა საკომისიო ხარჯები ძირითადად უკავშირდება გარიგებების და მომსახურების საკომისიოს, და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე.

პერსონალის ხარჯი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ორგანიზაციამ დასაქმებულისგან.

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების აღიარება

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ვერ მოხდება მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა აქტივად აღიარების მოთხოვნის დაკმაყოფილება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარა

ორგანიზაცია როგორც მეიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ორგანიზაციამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.
იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ორგანიზაციამ უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:
-ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
-იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაცია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:
-იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
-იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:
-აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
-ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაცია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.
იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაციის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:
-თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
-შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
-იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;
იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ორგანიზაცია აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:
-საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
-საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
-მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
-იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება 7 წლიან პერიოდზე.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ორგანიზაცია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.
როცა ორგანიზაცია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:
-იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
-იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
-იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.
ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ორგანზიაციამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

დაბეგვრა

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადასახადი ასევე აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში შესაბამისად.
ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.
გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით გაანგარიშების მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადის თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების სარეალიზაციოდ. ბუღალტრული ბალანსის შედგენის თითოეული თარიღისათვის ორგანიზაცია გადააფასებს აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს.
გადავადებული მოგების გადასახადი აღიარდება იმიტომ, რომ ეს არის მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იყოს დროებითი სხვაობა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არის გადახურული, როდესაც არის კანონიერი უფლება, რომ გადაიხუროს მიმდინარე საგადასახდო აქტივი საგადასახადო ვალდებულების მიმართ.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა (ამორტიზაციის) და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე (და არამატერიალურ აქტივებზე) ცვეთის (და ამორტიზაციის) დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით. ცვეთა (და ამორტიზაცია) ერიცხება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)
შენობა-ნაგებობები	10 – 30
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	3 – 5

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით.

სააქციო კაპიტალი და დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ახალი აქციებისა თუ ოფციონების გამოშვებასთან ნაჩვენებია კაპიტალში საგადასახადო გამოქვითვებით შემცირებული შემოსულობების სახით.
დივიდენდები ჩაიწერება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც ის არის გამოცხადებული. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც გამოცხადდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე გაიშიფრება ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში. ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება გაუნაწილებელი მოგების განაწილების სახით, მათი გამოცხადების პერიოდში. პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება გაუნაწილებელი მოგების განაწილების სახით, როდესაც მათი დამტკიცება ხდება წლიური საერთო კრების მიერ ყოველ მოცემულ წელიწადს.
პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი რომელიც არის არადაბრუნებადი, დისკრეციული დივიდენდებით, კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ორგანიზაცია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი / ლარი
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3.2766
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8677

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.



ემბისი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
მიკრო ბიზნეს კაპიტალი

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2020 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6

სრული შემოსავლის ანგარიშგება 7

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. მომზადების საფუძვლები 10
3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 14
5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები 19
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 19
7. კლიენტებზე გაცემული სესხები 19
8. სხვა აქტივები 25
9. გადავადებული საგადასახადო აქტივი 26
10. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები 27
11. ძირითადი საშუალებები 28
12. სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები 28
13. სხვა ვალდებულებები 29
14. საწესდებო კაპიტალი და რეზერვები 30
15. წმინდა საპროცენტო შემოსავალი 31
16. სხვა საოპერაციო ხარჯები 31
17. პირობითი ვალდებულებები 32
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 34
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 34
20. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალის" აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ **სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალის"** (შემდგომში - ორგანიზაცია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს") შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი საღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ორგანიზაციის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ორგანიზაცია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

21 ივნისი, 2021

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	2,673	3,046
კლიენტებზე გაცემული სესხები	7	66,858	58,219
სხვა აქტივები	8	237	262
გადავადებული საგადასახადო აქტივი	9	2,404	2,262
აქტივების გამოყენების უფლება	10	1,624	1,391
არამატერიალური აქტივები		4,050	4,483
ძირითადი საშუალებები	11	356	194
სულ აქტივები		78,202	69,857
ვალდებულებები			
სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები	12	54,928	48,084
საიჯარო ვალდებულებები	10	4,947	4,700
სხვა ვალდებულებები	13	765	374
სულ ვალდებულებები		60,640	53,158
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	2,225	2,200
საემისიო კაპიტალი	14	996	900
პრივილეგირებული აქციები	14	7,347	7,347
გაუნაწილებელი მოგება		6,994	6,252
სულ საკუთარი კაპიტალი		17,562	16,699
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		78,202	69,857

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 21 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ გია პეტრიაშვილი

ფინანსური დირექტორი _____ თათია ჯაჯანაშვილი

9-49 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	15	15,858	14,080
საპროცენტო ხარჯი	15	(6,290)	(4,971)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**9,568**	**9,109**
საკომისიო შემოსავალი		1,647	1,658
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		(3,776)	(853)
წმინდა მოგება ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან		1,955	480
საოპერაციო შემოსავალი		**9,394**	**10,394**
გაუფასურების ხარჯი სასესხო ფინანსურ აქტივებზე	7	(748)	(554)
პერსონალის ხარჯები		(4,238)	(4,187)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,275)	(900)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(1,498)	(1,705)
მოგება დაბეგვრამდე		**1,635**	**3,048**
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(152)	(528)
მთლიანი სრული შემოსავალი		**1,483**	**2,520**

9-49 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	პრივილეგირებული აქციები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	2,185	852	7,347	4,285	14,669
კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები დამფუძნებლებთან					
გამოშვებული ჩვეულებრივი აქციები	15	48	-	-	63
	15	48	-	-	63
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში					
დივიდენდი				(553)	(553)
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	2,520	2,520
	-	-	-	1,967	1,967
2019 წლის 31 დეკემბერი	2,200	900	7,347	6,252	16,699
კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები დამფუძნებლებთან					
გამოშვებული ჩვეულებრივი აქციები	25	96	-	-	121
	25	96	-	-	121
კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები დამფუძნებლებთან					
დივიდენდი	-	-	-	(741)	(741)
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	1,483	1,483
	-	-	-	742	742
2020 წლის 31 დეკემბერი	2,225	996	7,347	6,994	17,562

9-49 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
მოგება დაბეგვრამდე	**1,635**	**3,048**
კორექტირებები:		
გაუფასურების ხარჯი სასესხო ფინანსურ აქტივებზე	748	554
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება	(23)	(555)
საიჯარო ფასდათმობები	(100)	-
სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაციის ეფექტი	790	-
ცვეთა და ამორტიზაცია	1,275	900
ბონუსის, აუდიტისა და სხვა ხარჯის ანარიცხი	74	294
დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული მოგება	(8)	(69)
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	3,776	853
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	5	13
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	**8,172**	**5,038**
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
კლიენტებზე გაცემული სესხები	(9,302)	(9,151)
სხვა აქტივები	(188)	(432)
სხვა ვალდებულებები	311	(358)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები მოგების გადასახადის გადახდამდე	**(1,007)**	**(4,903)**
გადახდილი მოგების გადასახადი	(370)	(543)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	**(1,377)**	**(5,446)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(498)	(591)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(69)	(99)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	**(567)**	**(690)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
შემოსულობა სხვა ნასესხები თანხებიდან	94,288	63,464
შემოსულობა სუბორდინირებული სესხებიდან	-	844
ამონაგები ჩვეულებრივი აქციების გამოშვებიდან	(91,803)	(56,016)
ამონაგები პრივილეგირებული აქციების გამოშვებიდან	121	63
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(656)	(543)
გადახდილი დივიდენდები	(741)	(553)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან	**1,209**	**7,259**
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	**(735)**	**1,123**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**3,046**	**1,771**
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	362	152
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**2,673**	**3,046**

9-49 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

ორგანიზაცია

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალი" დაარსდა 2012 წლის 6 დეკემბერს, როგორც სააქციო საზოგადოება (შემდგომში "ორგანიზაცია"), საიდენტიფიკაციო ნომრით - 404967078.

ორგანიზაცია საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი ("სებ").

ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საკრედიტო ოპერაციებს, ფულად ოპერაციებს და ვალუტის გადაცვლის ტრანზაქციებს. ორგანიზაცია მიზნად ისახავს კლიენტებზე მორგებული და ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების გაწევას მიკრო და მცირე ბიზნესებსა და ფერმერებზე, თანხებსა და სასესხო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, კლიენტებთან გრძელვადიანი და გამჭვირვალე ურთიერთობების შენარჩუნებას. ორგანიზაცია, როგორც ფინანსური ინსტიტუტი სოციალური პასუხისმგებლობით, მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს საქართველოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში.

ორგანიზაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. ორგანიზაციის საქმიანობას ზედამხედველობას უწევს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებიც შერჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ. ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს მიერ, რომელსაც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო.

ორგანიზაციას სრულად ფლობენ „აქციონერთა ჯგუფის" წევრები. არ არსებობს ორგანიზაციის ერთპიროვნული მაკონტროლებელი მხარე. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დეტალურად განხილულია 14 შენიშვნაში.

ორგანიზაციას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს 14 ფილიალი.

ორგანიზაციის მთავარი ოფისი არის ქეთევან დედოფლის 68 ნომერში, თბილისი, საქართველო.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.

ორგანიზაციის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტას. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

ორგანიზაციის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

თანხობრივი მაჩვენებლები ფინანსურ ანგარიშგებაში დამრგვალებულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ორგანიზაციის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტის შესახებ, მოცემულია მე-3 შენიშვნაში. ბუღალტრული პოლიტიკის საფუძვლები მოცემულია მე-20 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, აღრიცხული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისა.

საქმიანობის უწყვეტობა

მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა COVID-19 პანდემიის გავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და მის საქმიანობაზე მომავალში.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს 17,562 ათასი ლარით აღემატებოდა. 2020 წელს ორგანიზაციის წმინდა მოგებამ შეადგინა 1,483 ათასი ლარი, ხოლო 2019 წელს ორგანიზაციამ მიიღო 2,520 ათასი ლარის წმინდა მოგება.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კოვიდ-19-ის გავრცელების გამო, კლიენტებისთვის შეთავაზებულ იქნა 3 თვემდე საშეღავათო პერიოდი, რასაც ასევე ჰქონდა გავლენა ორგანიზაციის ოპერაციებზე. დამატებით, 2020 წლის ბოლოს ქვეყანაში კოვიდ-19-ით გამოწვეული სიტუაციის გამწვავების გამო, ხელისუფლებამ სხვადასხვა შეზღუდვა გაატარა, მათ შორის ჩაკეტვა-იზოლაციის სახით. ამას თავის მხრივ გავლენა აქვს ტურიზმის, ტრანსპორტირებისა და ჰორეკა (HoReCa) სექტორზე, რაც არ შეადგენს ორგანიზაციის პორტფელის მნიშვნელოვან წილს.

მიუხედავად კოვიდ-19-ის გავლენისა, 2020 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ სასესხო პორტფელი 8,639 ათასი ლარით გაზარდა. ასევე, ორგანიზაციამ შეძლო ინვესტორებისგან დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვა და შეამცირა ლიკვიდურობის რისკი კოვიდ-19-ის გავრცელების პერიოდში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაცია ყველა კოვენანტს აკმაყოფილებდა.

პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს, რეგულაციებს და რეაგირებებს განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებზე და ფულად ნაკადებზე პანდემიით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას არ აქვს გავლენა ორგანიზაციის საქმიანობის უწყვეტობაზე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითაროს ორგანიზაცია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ორგანიზაციის ფუნქციონირებას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია ორგანიზაციისთვის.

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2020 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის პირველი იანვრიდან ძალაში რამდენიმე ახალი ინტერპრეტაცია და შესწორებები, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - საღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები საღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება); და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ორგანიზაციამ გადაწყვიტა ნაადრევად არ მიეღო ის ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომელიც გამოიცა IASB-ის მიერ, თუმცა ჯერ არ არის შესული ძალაში. ესენია:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ორგანიზაციას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ლ იანვრამდე.

ამჟამად, ორგანიზაცია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ორგანიზაციის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

სხვა

ორგანიზაცია არ ვარაუდობს, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ ძალაში არ არის შესული, ექნება არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ანარიცხის შეფასება

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას ორგანიზაცია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

Covid-19-ის გავლენა მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე

COVID-19-ის გავლენამ გამოიწვია დამატებითი მსჯელობის საჭიროება, უკვე არსებულ მსჯელობებში, დაშვებებსა და შეფასებებში. COVID-19 პანდემია უპრეცედენტო ხასიათისაა და მის შესაძლო ეკონომიკურ და ფინანსურ ეფექტზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის (ECL)-ს შეფასებაზე, არსებობს მწირი გამოცდილება. აღნიშნული გაურკვევლობის გათვალისწინებით, ორგანიზაციამ გადახედა არსებულ სააღრიცხვო დაშვებებს და შეფასებებს და ხელახლა შეაფასა ისინი.

ეკონომიკური გარემო ჯერჯერობით განუსაზღვრელი რჩება და მომავალმა არასტაბილურმა მდგომარეობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს გაუფასურების ანარიცხზე, რაც დამოკიდებულია COVID-19 პანდემიის ხანგრძლივობასა და მის შემაკავებელ და სხვა ზომებზე.

COVID-19 ეპიდემიის საპასუხოდ, ორგანიზაციამ გამოიჩინა ინიციატივა და 2020 წელს თავის მსესხებლებს შესთავაზა 1-დან 3-თვემდე საშეღავათო პერიოდი, რათა მნიშვნელოვნად შეემცირებინა მომხმარებელთა მიერ ორგანიზაციის ფილიალების მონახულების რაოდენობა. ასეთი მოვლენა ავტომატურად არ იქნა განხილული, როგორც საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR) (ანუ მოვლენა, რომლიც გამოიწვევდა 1-ელი საფეხურიდან მე-2 საფეხურზე გადასვლას), მე-2 საფეხურზე მსესხებლის გადაკლასიფიცირება მოხდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე იყო დაკვირვებადი მტკიცებულება მსესხებლის ფინანსური სირთულეების მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ, სესხის აღების შემდეგ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები

ორგანიზაცია იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ორგანიზაცია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ორგანიზაცია იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ორგანიზაცია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდების შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ აწგარიშგებაში.

უზრუნველყოფის საგნის ღირებულების შეფასება

ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

გადასახადები

სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზისა და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ორგანიზაცია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე. იმდენად, რამდენადაც ამ საკითხების საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება არსებული საბუღალტრო ჩანაწერების თანხებისაგან, ასეთი სხვაობები გავლენას იქონიებს საგადასახადო ხარჯზე იმ პერიოდში, როცა ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ორგანიზაცია დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახადო დეკლარაციების დასაბუთება და ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს გადასახადებთან დაკავშირებული რისკები.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ორგანიზაცია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ორგანიზაციის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ორგანიზაცია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ორგანიზაციის ფინანსურ ზარალს. ორგანიზაციას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები (როგორც აღიარებული ფინანსური აქტივებისათვის ასევე აღიარება შეწყვეტილი სახელშეკრულებო ვალდებულებებისათვის), რომელშიც გათვალისწინებულია პორტფელის კონცენტრაციის ლიმიტების სახელმძღვანელო. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება მმართველთა საბჭოს მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებლების საკრედიტო შეფასების მეთოდოლოგიას;
- კონტრაგენტების საკრედიტო შეფასების მეთოდოლოგიას;
- უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომიტეტისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეფუძნება ლიმიტებს და სტანდარტებს, რომლებიც განისაზღვრება ორგანიზაციის საკრედიტო პოლიტიკით, შესაბამისი პროდუქტის ინსტრუქციებით, მარეგულირებელი მოთხოვნებიის შესაბამისად. გადახდისუნარიანობის შეფასება დაფუძნებულია სტრუქტურულ ანალიზზე, რომელიც კონცენტრირდება მომხმარებლის ბიზნესსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

საკრედიტო კომიტეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე პასუხს აგებს საკრედიტო ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის გადახდისუნარიანობა; საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) აფასებენ სესხის განაცხადს.

ორგანიზაცია ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს და რეგულარულად აფასებს მისი კლიენტების გადახდისუნარიანობას. მიმოხილვა ეფუძნება კლიენტების ყველაზე ახალ ფინანსურ მდგომარეობას და სხვა მსგავსი ჯგუფის მსესხებლის მიერ წარმოდგენილ ან ორგანიზაციის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას. რეგულარული მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის აღმოჩენას, მართვას და მის დროულ განეიტრალებას. საკრედიტო რისკების განეიტრალებაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სესხის უზრუნველყოფა.

რისკების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს კლიენტების ინდივიდუალური რისკის შეფასებას და ასევე მთლიანი საკრედიტო პორტფელის, კრედიტების კონცენტრაციის და საბაზრო რისკების შეფასებას (კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხი იხილეთ მე-7 შენიშვნაში).

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებასა და არაღიარებულ სახელშეკრულებო ვალდებულებების ოდენობებში. აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგაქვითვის გავლენა პოტენციური საკრედიტო დაქვემდებარების შემცირებაზე არ არის არსებითი.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმუმს. საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროს გარდა)	1,275	1,079
კლიენტებზე გაცემული სესხები	66,858	58,219
სხვა აქტივები	96	337
	68,229	**59,635**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ორგანიზაცია სიძნელეებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავებულია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. ფინანსურ ინსტიტუტში სრული შესაბამისობის მიღწევა იშვიათია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად გაურკვეველ დროს ვითარდება და თანაც ის სხვადასხვა ტიპის არის. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, თუმცა, შესაძლოა ზრდიდეს ზარალის საფრთხესაც.

ორგანიზაციის ლიკვიდურობის მართვის ამოცანაა, რომ ფულადი თანხები იყოს ხელმისაწვდომი, დამდგარი ფინანსური ვალდებულების დასაკმაყოფილებლად.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- ფულადი წაკადების დაგეგმვას ძირითადი ვალუტების ჭრილში და მათთან დაკავშირებით საჭირო ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებას;
- დაფინანსების წყაროების მრავალფეროვანი დიაპაზონის უზრუნველყოფას;
- სესხების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- სესხის დაფინანსების გეგმის უზრუნველყოფას;
- ლიკვიდურობისა და გაუთვალისწინებელი დაფინანსების გეგმების უზრუნველყოფას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადები სესხის გაცემასთან დაკავშირებული პირობებისა და მათი ყველაზე ადრინდელი სახელშეკრულებო ვადიანობის გათვალისწინებით. ცხრილებში განხილული მთლიანი შემოდინება და გადინება მოიცავს სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,673	-	-	-	2,673
კლიენტებზე გაცემული სესხები	9,138	28,937	58,300	478	96,853
სხვა ფინანსური აქტივები	30	66	-	-	96
	11,841	29,003	58,300	478	99,622
ფინანსური ვალდებულებები					
სხვა ნასესხები თანხები	6,758	21,383	25,534	-	53,675
სუბორდინირებული სესხები	272	411	7,360	-	8,043
საიჯარო ვალდებულება	291	911	3,632	1,395	6,229
სხვა ფინანსური ვალდებულებები	204	80	-	-	284
	7,525	22,785	36,526	1,395	68,231
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	4,316	6,218	21,774	(917)	31,391

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,046	-	-	-	3,046
კლიენტებზე გაცემული სესხები	7,745	21,936	54,214	301	84,196
სხვა ფინანსური აქტივები	65	272	-	-	337
	10,856	22,208	54,214	301	87,579
ფინანსური ვალდებულებები					
სხვა ნასესხები თანხები	4,508	17,207	26,689	417	48,821
სუბორდინირებული სესხები	252	390	6,222	860	7,724
სხვა ფინანსური ვალდებულებები	260	766	3,390	1,673	6,089
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	116	203	-	-	319
	5,136	18,566	36,301	2,950	62,953
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	5,720	3,642	17,913	(2,649)	24,626

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შეიცვლება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

- სავალუტო რისკების მართვა

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ორგანიზაცია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	სხვა ვალუტები
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	866	1,029	778
გაცემული სესხები	62,334	4,524	-
სხვა აქტივები	30	66	-
	63,230	5,619	778
ფინანსური ვალდებულებები			
სხვა ნასესხები თანხები	25,720	23,321	86
სუბორდინირებული სესხები	-	5,801	-
საიჯარო ვალდებულება	305	4,642	-
სხვა ვალდებულებები	228	56	-
	26,253	33,820	86
ღია საბალანსო პოზიცია	36,977	(28,201)	692
რისკების მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტი	(33,224)	33,127	-
წმინდა ღია საბალანსო პოზიცია	3,753	4,926	692

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	სხვა ვალუტები
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	845	1,710	491
გაცემული სესხები	52,749	5,470	-
სხვა აქტივები	52	285	-
	53,646	7,465	491
ფინანსური ვალდებულებები			
სხვა ნასესხები თანხები	21,706	21,203	95
სუბორდინირებული სესხები	-	5,080	-
საიჯარო ვალდებულებები	267	4,433	-
სხვა ვალდებულებები	319	-	-
	22,292	30,716	95
ღია საბალანსო პოზიცია	31,354	(23,251)	396
რისკების მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტი	(28,347)	28,323	-
წმინდა ღია საბალანსო პოზიცია	3,007	5,072	396

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტის დენომინირებულ ფულად სახსრებს და აკორექტირებს წლის ბოლოსთვის უცხოურ ვალუტას 20% საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიხედვით. გავლენა მოგება/ზარალსა და კაპიტალზე 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	(ლარი / აშშ დოლარი)	(ლარი / სხვა ვალუტები)	(ლარი / აშშ დოლარი)	(ლარი / სხვა ვალუტები)
20% ზრდა	985	138	1,014	79
20% შემცირება	(985)	(138)	(1,014)	(79)

ანალიზისას გამოყენებულია დაშვება, რომ ყველა ცვლადი, უცვლელი დარჩება.

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები	68,133	59,298
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	(59,875)	(52,784)
	8,258	6,514

კაპიტალის მართვა

ორგანიზაციის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ორგანიზაციამ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა; და
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

ორგანიზაცია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ორგანიზაცია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ორგანიზაციამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

ასევე, ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს სესხის ხელშეკრულებაში მითითებული კოვენანტები. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-17 შენიშვნაში.

5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

წარდგენის მიზნებისთვის, წინა პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ორგანიზაციამ განახორციელა შემდეგი რეკლასიფიკაციები:

	რეკლასიფიკაციამდე	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიკაციის შემდეგ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
საგადასახადო ვალდებულება	19	(19)	-
სხვა ვალდებულება	355	19	374
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,605)	2,605	-
ცვეთა და ამორტიზაცია	-	(900)	(900)
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(1,705)	(1,705)

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული სალაროში	1,398	1,967
ფული ბანკებში	1,275	1,079
	2,673	3,046

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით გაშიფრულია მე-4 შენიშვნაში.

7. კლიენტებზე გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მომსახურება	27,855	20,237
მოხმარება	16,148	14,034
ვაჭრობა	13,692	14,871
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	5,762	4,520
წარმოება/მშენებლობა	3,006	2,383
საცხოვრებელი*	2,121	2,958
	68,584	59,003
გაუფასურების ანარიცხი	(1,726)	(784)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	66,858	58,219

*საცხოვრებელი სესხები უძრავი ქონების შეძენის, რემონტისა და მოწყობის მიზნობრიობით გაცემული სესხებია.

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კლიენტებზე გაცემული სესხები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
მომსახურება				
ვადაგადაცილების გარეშე	25,733	561	-	26,294
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	318	-	-	318
31-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	600	-	600
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	399	399
სულ მომსახურება	-	-	244	244
გაუფასურების ანარიცხი	26,051	1,161	643	27,855
საბალანსო ღირებულება	(262)	(123)	(279)	(664)
მომსახურება	25,789	1,038	364	27,191
გაცვლა				
ვადაგადაცილების გარეშე	14,711	595	-	15,306
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	204	2	-	206
31-91 დღემდე ვადაგადაცილებით	-	307	-	307
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	158	158
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	-	171	171
სულ გაცვლა	14,915	904	329	16,148
გაუფასურების ანარიცხი	(141)	(65)	(135)	(341)
საბალანსო ღირებულება	14,774	839	194	15,807
მოხმარება				
ვადაგადაცილების გარეშე	12,383	589	-	12,972
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	243	-	-	243
31-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	148	-	148
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	185	185
სულ მოხმარება	-	-	144	144
გაუფასურების ანარიცხი	12,626	737	329	13,692
საბალანსო ღირებულება	(194)	(55)	(175)	(424)
მოხმარება	12,432	682	154	13,268
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა				
ვადაგადაცილების გარეშე	5,348	55	-	5,403
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	40	-	-	40
31-91 დღემდე ვადაგადაცილებით	-	158	-	158
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	38	38
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	-	123	123
სულ სესხები სასოფლო სამეურნეო საქმიანობაზე	5,388	213	161	5,762
გაუფასურების ანარიცხი	(61)	(32)	(73)	(166)
საბალანსო ღირებულება	5,327	181	88	5,596
წარმოება/მშენებლობა				
ვადაგადაცილების გარეშე	2,769	36	-	2,805
31-91 დღემდე ვადაგადაცილებით	-	44	-	44
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	85	85
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	-	72	72
სულ წარმოება/მშენებლობა	2,769	80	157	3,006
გაუფასურების ანარიცხი	(23)	(9)	(60)	(92)
საბალანსო ღირებულება	2,746	71	97	2,914
საცხოვრებელი				
ვადაგადაცილების გარეშე	1,781	260	-	2,041
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	23	-	-	23
31-91 დღემდე ვადაგადაცილებით	-	8	-	8
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	48	48
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	-	1	1
სულ საცხოვრებელი	1,804	268	49	2,121
გაუფასურების ანარიცხი	(16)	(5)	(18)	(39)
საბალანსო ღირებულება	1,788	263	31	2,082

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კლიენტებზე გაცემული სესხები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა				
ვადაგადაცილების გარეშე	4,133	59	-	4,192
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	102	-	-	102
31-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	143	-	143
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	83	83
სულ სესხები სასოფლო სამეურნეო საქმიანობაზე	4,235	202	83	4,520
გაუფასურების ანარიცხი	(39)	(25)	(34)	(98)
საბალანსო ღირებულება	4,196	177	49	4,422
წარმოება/მშენებლობა				
ვადაგადაცილების გარეშე	2,216	15	-	2,231
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	105	-	-	105
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	47	47
სულ წარმოება/მშენებლობა	2,321	15	47	2,383
გაუფასურების ანარიცხი	(16)	-	(20)	(36)
საბალანსო ღირებულება	2,305	15	27	2,347
მომსახურება				
ვადაგადაცილების გარეშე	19,419	244	-	19,663
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	234	2	-	236
31-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	261	-	261
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	77	77
სულ მომსახურება	19,653	507	77	20,237
გაუფასურების ანარიცხი	(146)	(37)	(37)	(220)
საბალანსო ღირებულება	19,507	470	40	20,017
ვაჭრობა				
ვადაგადაცილების გარეშე	13,425	154	-	13,579
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	238	1	-	239
31-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	141	-	141
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	75	75
სულ ვაჭრობა	13,663	296	75	14,034
გაუფასურების ანარიცხი	(106)	(30)	(37)	(173)
საბალანსო ღირებულება	13,557	266	38	13,861
მოხმარება				
ვადაგადაცილების გარეშე	13,787	566	-	14,353
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	326	15	-	341
31-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	113	-	113
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	64	64
სულ მოხმარება	14,113	694	64	14,871
გაუფასურების ანარიცხი	(159)	(42)	(41)	(242)
საბალანსო ღირებულება	13,954	652	23	14,629
საცხოვრებელი				
ვადაგადაცილების გარეშე	2,715	203	-	2,918
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	38	-	-	38
31-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	2	-	2
სულ საცხოვრებელი	2,753	205	-	2,958
გაუფასურების ანარიცხი	(13)	(2)	-	(15)
საბალანსო ღირებულება	2,740	203	-	2,943

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

კლიენტების ზოგადი კრედიტუნარიანობა წარმოადგენს მასზე გაცემული სესხის საკრედიტო ხარისხის ყველაზე შესაფერის ინდიკატორს. თუმცა, გირაო უზრუნველყოფს დამატებით დაცვას და როგორც წესი ორგანიზაცია მოითხოვს მსესხებლისგან მის უზრუნველყოფას.

ორგანიზაციის სასესხო პორტფელის ძირითადი ნაწილი უზრუნველყოფილია უძრავი ქონებითა და სატრანსპორტო საშუალებებით (მცირე ნაწილი უზრუნველყოფილია ძვირფასი ლითონებით).

ორგანიზაციის პოლიტიკას წარმოადგენს უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემა სესხი-ღირებულების პროდუქტის ინსტრუქციით გათვალისწინებული მაქსიმუმ 60%-იანი კოეფიციენტის გამოყენებით დაცვით სესხის გაცემის თარიღისთვის.

ავტო სესხები უზრუნველყოფილია შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებებით. ორგანიზაციის პოლიტიკა მოიცავს სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემას სესხი- ღირებულების პროდუქტის ინსტრუქციით გათვალისწინებული მაქსიმუმ 80%-იანი კოეფიციენტით სესხის გაცემის თარიღისთვის.

ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხების უზრუნველყოფას შესაბამისი ძვირფასი ლითონები წარმოადგენს. ორგანიზაციის პოლიტიკა მოიცავს ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემას სესხი-ღირებულების მაქსიმუმ 90%-იანი პროდუქტში ინსტრუქციით გათვალისწინებული კოეფიციენტით სესხის გაცემის თარიღისთვის. ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილ სესხებს ორგანიზაცია აღარ გასცემს 2016 წლიდან.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია გირაოს, სესხის პორტფელის უზრუნველყოფის შესახებ:

31 დეკემბერი 2020	უძრავი ქონება	სატრანსპორტო საშუალებები	ძვირფასი ლითონი	უზრუნველყოფის გარეშე	სულ
მომსახურება	18,002	9,150	36	2	27,190
ვაჭრობა	13,036	2,771	-	-	15,807
მოხმარება	6,963	6,207	95	4	13,269
სასოფლო-სამეურნეო	3,716	1,880	-	-	5,596
წარმოება/მშენებლობა	2,453	460	-	-	2,913
საცხოვრებელი	1,993	90	-	-	2,083
	46,163	20,558	131	6	66,858

31 დეკემბერი 2019	უძრავი ქონება	სატრანსპორტო საშუალებები	ძვირფასი ლითონი	უზრუნველყოფის გარეშე	სულ
მომსახურება	14,241	5,729	47	-	20,017
ვაჭრობა	10,763	3,089	-	11	13,863
მოხმარება	9,167	5,275	156	30	14,628
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	3,450	972	-	-	4,422
საცხოვრებელი	2,784	159	-	-	2,943
წარმოება/მშენებლობა	1,954	392	-	-	2,346
	42,359	15,616	203	41	58,219

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

შემდეგი ცხრილი მოიცავს ინფორმაციას ფინანსურ აქტივების შესახებ, რომელთა ფულადი ნაკადებიც მოდიფიცირებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და ჰქონდათ გავლენა ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე 2020 წლის 31 დეკემბრისთვის:

	ამორტიზებული ღირებულება მოდიფიკაციამდე	წმინდა ზარალი მოდიფიკაციიდან
მომსახურება	13,713	(299)
ვაჭრობა	8,688	(195)
მოხმარება	7,548	(185)
საცხოვრებელი	1,664	(43)
სასოფლო-სამეურნეო	1,501	(35)
წარმოება/მშენებლობა	1,497	(33)
	34,611	(790)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების ტიპის მიხედვით ზარალის რეზერვის შეჯერება საწყისი ნაშთიდან საბოლოო ნაშთამდე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კლიენტებზე გაცემული სესხები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
ამორტიზებული ღირებულებით	479	136	169	784
გადასვლა ეტაპი 1-ზე	10	(10)	-	-
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(21)	21	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(16)	(49)	65	-
ზარალის რეზერვის წმინდა გადაანგარიშება	61	171	449	681
შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები	573	-	-	573
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(82)	82	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(88)	-	88	-
უკან დაბრუნებული სესხები ჩამოწერა	-	-	-	-
ნაშთი წლის ბოლოს	697	289	740	1,726

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების ტიპის მიხედვით ზარალის რეზერვის შეჯერება საწყისი ნაშთიდან საბოლოო ნაშთამდე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კლიენტებზე გაცემული სესხები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
ამორტიზებული ღირებულებით ნაშთი 1 იანვარს	401	179	245	825
გადასვლა ეტაპი 1-ზე	7	(7)	-	-
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(9)	9	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(2)	-	2	-
ზარალის რეზერვის წმინდა გადაანგარიშება	997	371	150	1,518
შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები	569	-	-	569
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(83)	83	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(134)	-	134	-
უკან დაბრუნებადი სესხები	(220)	(33)	(47)	(300)
ჩამოწერა	(1,047)	(466)	(315)	(1,828)
ნაშთი წლის ბოლოს	479	136	169	784

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების ტიპის მიხედვით ზარალის რეზერვის შეჯერება საწყისი ნაშთიდან საბოლოო ნაშთამდე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კლიენტებზე გაცემული სესხები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
ამორტიზებული ღირებულებით ნაშთი 1 იანვარს	**56,738**	**1,919**	**346**	**59,003**
გადასვლა ეტაპი 1-ზე	46	(46)	-	-
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(1,870)	1,870	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(1,132)	(268)	1,400	-
შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები	60,220	-	-	60,220
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(591)	591	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(194)	-	194	
წმინდა ცვლილებები საპროცენტო ხარჯში	17	70	95	182
სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია	(711)	(61)	(18)	(790)
უკან დაბრუნებადი სესხები	(49,577)	(798)	(255)	(50,630)
ჩამოწერა	-	-	(94)	(94)
უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ტრანზაქციები და სხვა ცვლილებები	607	86	-	693
ნაშთი წლის ბოლოს	**63,553**	**3,363**	**1,668**	**68,584**

მეორე ეტაპის სესხებში შედის ორგანიზაციის სტანდარტული პროცედურის მიხედვით რესტრუქტურიზებული სესხები 2,116 ათასი ლარის ოდენობით და 34 ათასი ლარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით.

მესამე ეტაპის სესხები მოიცავს ორგანიზაციის სტანდარტული პროცედურის მიხედვით რესტრუქტურიზებულ სესხებს 38 ათასი ლარის ოდენობით და 2 ათასი ლარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კლიენტებისთვის გაცემული სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულებების შესაბამისი მოძრაობები შემდეგია:

კლიენტებზე გაცემული სესხები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
ამორტიზებული ღირებულებით	**47,316**	**1,298**	**558**	**49,172**
გადასვლა ეტაპი 1-ზე	41	(41)	-	-
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(1,138)	1,138	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(70)	(4)	74	-
შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები	66,374	-	-	66,374
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(590)	590	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(280)	-	280	-
წმინდა ცვლილებები საპროცენტო ხარჯში	58	20	(34)	44
უკან დაბრუნებადი სესხები	(54,301)	(1,014)	(79)	(55,394)
ჩამოწერა	(1,046)	(466)	(315)	(1,827)
უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული პროცედურები და სხვა ცვლილებები	374	398	(138)	634
ნაშთი წლის ბოლოს	**56,738**	**1,919**	**346**	**59,003**

მეორე ეტაპის სესხებში შედის ორგანიზაციის სტანდარტული პროცედურის მიხედვით რესტრუქტურიზებული სესხები 1,283 ათასი ლარის ოდენობით და 20 ათასი ლარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით.

მესამე ეტაპის სესხებში შედის ორგანიზაციების სტანდარტული პროცედურის მიხედვით რესტრუქტურიზებული სესხები 5 ათასი ლარის ოდენობით და 3 ათასი ლარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით.

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
გაუფასურების ანარიცხის წმინდა გაანგარიშება	369	1,218
შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები	573	569
სულ წლის განმავლობაში დარიცხული გაუფასურება	942	1,787
ჩამოწერა	94	-
ადრე ჩამოწერილი თანხების აღდგენა	(288)	(1,233)
სულ გაუფასურების ხარჯი სასესხო ფინანსურ აქტივებზე	748	554

8. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დასაკუთრებული აქტივები*	1,173	737
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით	170	-
ავანსები	95	223
საგადასახადო აქტივები	90	-
საკრედიტო ხაზის გარანტია	66	272
სხვა	30	159
	1,624	1,391

მოძრაობა დასაკუთრებულ აქტივებში 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	737	318
შესყიდვები	520	791
რეალიზაცია	(84)	(372)
ნაშთი წლის ბოლოს	1,173	737

*დასაკუთრებული აქტივები წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ორგანიზაციამ ვადაგადაცილებული სესხების ამოღებისას დაისაკუთრა. ეს აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ფასდება კლასიფიკაციის შესაბამისი აღრიცხვის პოლიტიკით. აქტივების აღიარებისას კლასიფიკაციის განსაზღვრა დამოკიდებულია ორგანიზაციის აქტივების რეალიზაციის მიზნობრიობასა და მის ბუნებაზე. დასაკუთრებული ქონების მარაგები აღრიცხულია ისტორიულ და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ორგანიზაციის მოლოდინით მომავალში მოხდება აღნიშნული აქტივების რეალიზაცია. დასაკუთრებული ქონების რეალიზაცია ხდება შესაძლებლობისთანავე, ხოლო მიღებული თანხები გამოიყენება დავალიანების შესამცირებლად.

9. გადავადებული საგადასახადო აქტივი

	31 დეკემბერი 2018	სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული	31 დეკემბერი 2019	სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული	31 დეკემბერი 2020
კლიენტებზე გაცემული სესხები	357	(90)	267	10	277
აქტივების გამოყენების უფლება	-	(672)	(672)	64	(608)
ძირითადი საშუალებები	(110)	(92)	(202)	16	(186)
არამატერიალური აქტივები	19	(10)	9	16	25
სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები	30	14	44	38	82
საიჯარო ვალდებულება	-	705	705	37	742
სხვა ვალდებულებები	50	(7)	43	(19)	24
	346	(152)	194	162	356

მოგების გადასახადის ხარჯი 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
მიმდინარე მოგების გადასახადი	(314)	(376)
დროებითი სხვაობების ეფექტი	162	(152)
	(152)	(528)

მოგების გადასახადის ხარჯის რეკონსილაცია დადგენილი განაკვეთის მიხედვით შემდეგნაირია:

	2020	2019
მოგება დაბეგვრამდე	1,635	3,048
საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის სარგებელი	(245)	(457)
მუდმივი სხვაობების ეფექტი	93	(71)
მოგების გადასახადის ხარჯი	(152)	(528)

10. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ორგანიზაციას იჯარით აღებული აქვს ფართები ფილიალებისთვის და სათაო ოფისისთვის. ყველა აქტივის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია როგორც ლარში, ასევე აშშ დოლარში.

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები 2020 წლის 1 იანვრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

იჯარის ხელშეკრულება	არაგაუქმებადი პერიოდი	გაგრძელების არჩევანის უფლების გამოყენება	იჯარის ვადა	დისკონტის განაკვეთი
სათაო ოფისი და ფილიალები	-	24-98 თვე	48-118 თვე	7.5%-12.5%

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
წლის დასაწყისში	**4,483**	**1,755**
წლის განმავლობაში გაფორმებული საიჯარო კონტრაქტები	396	3,306
ამორტიზაცია	(829)	(578)
წლის ბოლოს	**4,050**	**4,483**

საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
წლის დასაწყისში	**4,700**	**1,755**
წლის განმავლობაში გაფორმებული საიჯარო კონტრაქტები	396	3,173
საპროცენტო ხარჯი	401	302
ქირის შეღავათები*	(100)	-
საიჯარო გადასახადი	(1,057)	(845)
უცხოური ვალუტის გადაფასება	607	315
წლის ბოლოს	**4,947**	**4,700**

*ორგანიზაციამ აირჩია პრაქტიკული მიდგომის გამოყენება ფასს 16-ში შეტანილი ცვლილებები შესაბამისად ყველა იმ საიჯარო შეღავათზე, რომელიც აკმაყოფილებდა შესაბამის კრიტერიუმებს. წლის განმავლობაში არსებული ყველა საიჯარო შეღავათი არსებითად აკმაყოფილებს პრაქტიკული მიდგომის კრიტერიუმებს. პრაქტიკული მიდგომის გამოყენებამ გამოიწვია საიჯარო ვალდებულებების 100 ათასი ლარით შემცირება. ამ შემცირების ეფექტი აღიარდა იმ პერიოდის მოგებ-ზარალში, როდესაც მოხდა შესაბამისი გადახდები.

ორგანიზაციას არ გააჩნია მსგავსი მახასიათებლების მქონე მიღებული სესხები მიმდინარე ან შესადარის პერიოდში. შესაბამისად, სესხის პროცენტის განსაზღვრისთვის გამოყენებულია დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები მსგავსი სექტორისთვის.

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობა-ნაგებობები	ავეჯი და მოწყობილობები	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	სულ
2018 წლის 31 დეკემბერს	1,184	911	325	2,420
შესყიდვა	-	424	167	591
ჩამოწერა	-	-	(19)	(19)
2019 წლის 31 დეკემბერს	1,184	1,335	473	2,992
შესყიდვა	-	282	216	498
ჩამოწერა	-	(9)	(38)	(47)
2020 წლის 31 დეკემბერს	1,184	1,608	651	3,443
დაგროვილი ცვეთა				
2018 წლის 31 დეკემბერს	(16)	(353)	(118)	(487)
ცვეთა წლის განმავლობაში	(21)	(173)	(55)	(249)
ჩამოწერილი აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	6	6
2019 წლის 31 დეკემბერს	(37)	(526)	(167)	(730)
ცვეთა წლის განმავლობაში	(21)	(240)	(90)	(351)
ჩამოწერილი აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	9	33	42
2020 წლის 31 დეკემბერს	(58)	(757)	(224)	(1,039)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
2019 წლის 31 დეკემბერს	1,147	809	306	2,262
2020 წლის 31 დეკემბერს	1,126	851	427	2,404

12. სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სესხის ძირი	54,261	47,677
გადასახდელი პროცენტი	667	407
	54,928	48,084

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2020
უზრუნველყოფილი სესხები				
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან	ლარი	9%-15%	2021-2023	25,494
არაუზრუნველყოფილი სესხები				
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან	აშშ დოლარი	8%-9%	2021-2022	15,854
სუბორდინირებული სესხები				
დაკავშირებული მხარეებისგან	აშშ დოლარი	10%-11%	2024-2025	5,801
დაკავშირებული მხარეებისგან	აშშ დოლარი	8%-11%	2021-2024	1,094
დაკავშირებული მხარეებისგან	ლარი	14%	2021	20
დაკავშირებული მხარეებისგან	ევრო	6%	2021	65
ფიზიკური პირებისგან	აშშ დოლარი	2%-8%	2021-2022	5,765
ფიზიკური პირებისგან	ლარი	14%	2021	206
ფიზიკური პირებისგან	ევრო	6%	2021	21
სხვა იურიდიული პირებისგან	აშშ დოლარი	7%-8%	2021-2022	608
				54,928

12. სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები (გაგრძელება)

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2019
უზრუნველყოფილი სესხები				
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან	ლარი	10%-17%	2020-2021	20,989
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან	აშშ დოლარი	7%-8%	2021-2028	5,231
არაუზრუნველყოფილი სესხები				
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან	აშშ დოლარი	8%-9%	2021	8,000
სუბორდინირებული სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	აშშ დოლარი	10%-11%	2024-2025	5,080
დაკავშირებული მხარეებისგან	აშშ დოლარი	4%-11%	2020-2024	2,874
დაკავშირებული მხარეებისგან	ლარი	14%	2020-2021	156
დაკავშირებული მხარეებისგან	ევრო	6%	2020-2021	78
ფიზიკური პირებისგან	აშშ დოლარი	5%-11%	2020-2021	4,222
ფიზიკური პირებისგან	ლარი	14%	2020	45
ფიზიკური პირებისგან	ევრო	6%	2020	17
სხვა იურიდიული პირებისგან	აშშ დოლარი	8.75%	2020	876
სხვა იურიდიული პირებისგან	ლარი	15.25%	2020	516
				48,084

ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან 2020 და 2019 წლებისთვის მიღებული სესხები უზრუნველყოფილია ორგანიზაციის უძრავი ქონებით, რომლის საბალანსო ღირებულებაა 740 ათასი და 631 ათასი ლარი, საკრედიტო პორტფელი 37 000 ათასი და 37 000 ათასი ლარი, ფულადი გირაო, 66 ათასი ლარი და 272 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივობებიდან წარმოქმნილი ცვლილებები მიღებულ და სუბორდინირებულ სესხებში, რომელიც მოიცავს, როგორც ფულად ასევე არაფულად ნაკადებს, შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2020		2019	
	სუბორდინირებული სესხები	სხვა ნასესხები თანხები	სუბორდინირებული სესხები	სხვა ნასესხები თანხები
ნაშთი წლის დასაწყისში	**5,080**	**43,004**	**3,913**	**34,516**
ძირის დაფარვა	-	(91,803)	-	(56,016)
სესხის აღება	-	94,288	844	63,464
გადახდილი პროცენტი	(600)	(5,131)	(521)	(4,065)
წმინდა ფულადი ნაკადები:				
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	551	5,338	545	4,124
საკურსო სხვაობის ეფექტი	770	3,431	299	981
სესხის თანხების კონვერტაცია	**5,801**	**49,127**	**5,080**	**43,004**

13. სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით	448	-
ვალდებულებები მიღებული მომსახურებიდან	140	90
გადასახდელი ხელფასები	86	216
სხვა	91	68
	765	**374**

14. საწესდებო კაპიტალი და რეზერვები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციის მფლობელები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	31 დეკემბერი 2020			31 დეკემბერი 2019		
მეწილეები	მთლიანი ჩვეულებრივი აქტივების პროცენტული ღირებულება	ჩვეულებრივი აქციების ღირებულება	პრივილეგირებული აქციების რაოდენობა	მთლიანი ჩვეულებრივი აქტივების პროცენტული ღირებულება	ჩვეულებრივი აქციების ღირებულება	პრივილეგირებული აქციების რაოდენობა
გია პეტრიაშვილი	32.18%	716,000	200	32.55%	716,000	200
ოთარ რუხაძე	14.61%	325,000	800	14.77%	325,000	800
თენგიზ მაზიაშვილი	9.42%	209,500	250	9.52%	209,500	250
ტარას წიჟარაძე	8.36%	186,000	740	8.45%	186,000	740
მურმან ამბროლაძე	8.09%	180,000	100	8.18%	180,000	100
გოდერძი მელაძე	6.74%	150,000	300	6.82%	150,000	300
გიორგი გოტოშია	6.74%	150,000	100	6.82%	150,000	100
გიორგი ვაჩნაძე	5.55%	123,500	110	5.61%	123,500	110
JB LLC	2.70%	60,000	200	2.73%	60,000	200
ეთერ ჩაჩიბაია	1.80%	40,000	-	1.59%	35,000	-
გიორგი ღვალაძე	1.71%	38,000	-	1.41%	31,000	-
თათია ჯაჯანაშვილი	1.21%	27,000	-	0.91%	20,000	-
ნინო დევდარიანი	0.90%	20,000	-	0.64%	14,000	-
	100.00%	2,225,000	2,800	100.00%	2,200,000	2,800

გამოშვებული კაპიტალი

უფლებამოსილი, გამოშვებული და ნარჩენი სააქციო კაპიტალი მოიცავს 2,225,000 ჩვეულებრივ აქციას (2019 წელს: 2,00,000). ყველა აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი. 2020 წლის განმავლობაში, გამოშვებულ იქნა 25,000 ჩვეულებრივი აქცია (2019 წელს: 15,400 აქცია).

სხვაობა ნომინალურ ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის აღიარდება საემისიო კაპიტალში. საემისიო კაპიტალი შეადგენს 996 ათასი ლარს 2020წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (31 დეკემბერი 2019: 900 ათასი ლარი).

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ორგანიზაციის ყოველწლიურ და საერთო კრებაზე ერთ აქციაზე აქვთ ერთი ხმის უფლება.

პრივილეგირებული აქციები

2018 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ გამოუშვა 2,800 არადაბრუნებადი პრივილეგირებული აქცია ნომინალური ღირებულებით 1,000 აშშ დოლარი (2020 და 2019 წლის განმავლობაში ცვლილება არ მომხდარა). დივიდენდის განაკვეთი პრივილეგირებულ აქციებზე არის 12.5% წელიწადში. დივიდენდი გადასახდელია ნახევარ წელიწადში ერთხელ და ყოველ მოცემულ წელიწადში ექვემდებარება ყოველწლიური აქციონერთა საერთო კრების (AGM) დადასტურებას. დივიდენდების გადახდის შესაძლებლობა დამოკიდებულია ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას და ოპერაციების შედეგებს და სხვა, ყოველწლიური აქციონერთა საერთო კრების მიერ განხილულ ფაქტორებზე.

ორგანიზაციის წესდების მიხედვით, თუ ყოველწლიური აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტს, რომ დივიდენდები პრივილეგირებულ აქციებზე არ იქნება გადახდილი ორჯერ მიყოლებით ან დივიდენდის განაკვეთი შემცირდება, პრივილეგირებული აქციების მფლობელს უფლება აქვს გადაიყვანოს კუთვნილი პრივილეგირებული აქციები ჩვეულებრივ აქციებში.

დივიდენდები

დივიდენდების ვალდებულება შეზღუდულია ორგანიზაციის მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2020 და 2019 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 741 ათასი ლარის ოდენობით პრივილეგირებული დივიდენდები და 553 ათასი შესაბამისად.

15. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

წმინდა საპროცენტო შემოსავალი:

	2020	2019
კლიენტზე გაცემული სესხები	16,608	14,079
ბანკში განთავსებული სახსრები	40	1
ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვლილება	(790)	-
	15,858	**14,080**

საპროცენტო ხარჯი	2020	2019
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	(3,728)	(3,140)
სესხები ფიზიკური პირებისგან	(1,011)	(1,089)
სესხები საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან	(960)	(197)
იჯარა	(401)	(302)
სხვა სესხები	(190)	(243)
	(6,290)	**(4,971)**

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები	(362)	(662)
საკონსულტაციო მომსახურება*	(192)	(143)
საოფისე საქონელი	(158)	(154)
აპლიკაციის შემოწმება	(104)	(98)
კომუნალური მომსახურება	(94)	(78)
კომუნიკაცია	(92)	(92)
დაცვა	(57)	(50)
ქირა	(50)	(80)
საგადასახადო ხარჯი და მოგების გადასახადი	(43)	(24)
საბანკო მოსაკრებელი	(33)	(63)
ტრანსპორტირება	(31)	(47)
ბიზნეს მოგზაურობა	(30)	(49)
სხვა	(252)	(165)
	(1,498)	**(1,705)**

*2020 და 2019 წლებისთვის, აუდიტორული კომპანიისათვის აუდიტისა და სხვა პროფესიული სერვისების ასანაზღაურებლად გადახდილმა პროფესიულმა საფასურმა შესაბამისად შეადგინა 51 ათასი ლარი და 90 ათასი ლარი.

17. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - ნორმალური საქმიანობის პირობებში, ორგანიზაციები ჩვეულებრივ ექვემდებარებიან სამართლებრივ ქმედებებსა და საჩივრებს.

კლიენტების მიერ სესხის დაფარვის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ორგანიზაციას უწევს სამართლებრივ დავებში ჩართვა. ასეთი სამართლებრივი დავების მაქსიმალური გასავალი მომხმარებლისგან მისაღები სესხის თანხაა (მათ შორის დარიცხული პროცენტი და სხვა გადასახადები).

ხელმძღვანელობას არ აქვს ინფორმაცია მის წინააღმდეგ რაიმე სახის მნიშვნელოვანი ფაქტიური, მიმდინარე ან მოსალოდნელი სარჩელის შესახებ.

კოვენანტები - ორგანიზაცია ექვემდებარება ფინანსურ შეზღუდვებს, რომლებიც ჩადებულია მიღებული ნასესხები სახსრების ხელშეკრულებებში. აღნიშნული კოვენანტების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, რაც დაკავშირებულია მსესხებლის მიერ სესხის გრაფიკით განსაზღვრულ ვადაზე ადრე მოთხოვნასთან.

ორგანიზაციას დაკმაყოფილებული აქვს მისი ყველა ფინანსური კოვენანტი, რომელიც განსაზღვრულია საკრედიტო ხელშეკრულებებში 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები - საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განმარტებები და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოები არ დააკისრებენ რაიმე სახის დამატებით გადასახადს, მოსაკრებელს ან ჯარიმას, თუ იმ წლის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც დარღვევას ჰქონდა ადგილი გასული იქნება სამი წელი.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ორგანიზაციის ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე..

ფინანსური გარანტიები - 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციას აქვს გაცემული გარანტია 2,200 ათასი და 850 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ქართული კომერციული ბანკისათვის, დაკავშირებული მხარის სესხის უზრუნველსაყოფად, 2%-იანი პრემიუმ განაკვეთით. გარანტიის ვადა არის 10 წელი. სესხი არის უზრუნველყოფილი იმ ქონებით, რომლის შესაძენადაც დაკავშირებულმა მხარემ მიიღო სესხი. ქონება (საცხოვრებელ-კომერციული ფართი თბილისში) არის დაგირავებული როგორც პირველადი უზრუნველყოფა. დამატებით, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქართული კომერციული ბანკისათვის, დაკავშირებული მხარის სესხის უზრუნველსაყოფად, მეორე რიგით დაგირავებულია 500 ათასი აშშ დოლარის კლიენტებზე გაცემული სესხების პორტფელი. ხელმძღვანელობის შეფასებით, დეფოლტის ალბათობა თითქმის არ არის. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასადგენად ორგანიზაციამ ფინანსური გარანტიები მიაკუთვნა ეტაპ 1-ს. ხელმძღვანელობის შეფასებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არამატერიალურია საანგარიშგებო პერიოდისათვის.

მმართველობის ანგარიშგება - ორგანიზაციას აქვს ვალდებულება მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის შესაბამისად და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად წარადგინოს მარეგულირებელ ორგანოსთან არაუგვიანეს მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის 1 ოქტომბრამდე. ორგანიზაციას არ მოუმზადებია მმართველობის ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღში.

17. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციები

ორგანიზაცია შეესაბამება მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებს - კაპიტალში განხორციელებული მინიმალური ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 1,000 ათას ლარზე ნაკლები (2018 წ.: 500 ათასი ლარი).

2018 წლის 1 სექტემბერიდან ორგანიზაციას ასევე ვალდებულება აქვს დააკმაყოფილოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული ფინანსური მოთხოვნები, როგორიც არის: კაპიტალის ადეკვატურობა, ლიკვიდურობა, ქონებრივი ინვესტიცია, ინვესტიცია, დაკავშირებული მხარის ზემოქმედება და დაგირავებული აქტივების კოეფიციენტები. შესაბამისობა ამ კოეფიციენტებთან ყოველთვიურად კონტროლირდება სებ-ის მიერ.

სებ-ის რეგულაციების შესაბამისად, ორგანიზაცია ვალდებულია იქონიოს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის მინიმალური დონე ქვემოთ მოცემული გრაფიკის შესაბამისად:

- სექტემბერი 1, 2018 – დეკემბერი 31 2018: სულ მცირე 16%
- იანვარი 1, 2019 – ივნისი 30 2019: 16-18%
- ივლისი 1, 2019დან – სულ მცირე 18%

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განხილულია სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტთან შესაბამისობა 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სააქციო კაპიტალი	2,225	2,200
საემისიო კაპიტალი	996	900
პრიორიტეტული აქციები	7,347	7,347
გაუნაწილებელი მოგება	6,994	6,252
დაშვებული დაქვემდებარებული ვალი	5,801	5,080
მარეგულირებელი კაპიტალი შემცირებამდე	**23,363**	**21,779**
არამატერიალური აქტივები	(237)	(262)
მარეგულირებელი კაპიტალი	**23,126**	**21,517**

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მთლიანი აქტივები შემცირებამდე	78,202	69,857
არამატერიალური აქტივები	(237)	(262)
მთლიანი აქტივები შემცირების შემდეგ	**77,965**	**69,595**

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	**30%**	**31%**

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე" წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ორგანიზაციასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს ორგანიზაციაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს ორგანიზაციაზე;

(ბ) ორგანიზაციის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ)მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ორგანიზაციასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების არე	აქციონერები	სხვა დაკავშირებული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება
სუბორდინირებული სესხები	5,801	-	-
სხვა ნასესხები თანხები	-	1,179	-
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	-	-	(739)
საპროცენტო ხარჯი	(551)	(142)	-

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ორგანიზაციასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების არე	აქციონერები	სხვა დაკავშირებული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება
სუბორდინირებული სესხები	5,080	-	-
სხვა ნასესხები თანხები	1,953	1,156	-
გაცემული ავანსები	3	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-	203
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	-	-	(763)
საპროცენტო ხარჯი	(683)	(114)	-

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

სესხების მიღება

2021 წლის 4 მარტს ორგანიზაციამ მიიღო სესხები საერთაშორისო ინსტიტუტებისგან 3,326 ათასი ლარის და 500 ათასი დოლარის ოდენობით. ნომინალური საპროცენტო განაკვეთი არის 14.2% და 6.4%. დაფარვის ვადაა 2022-2023. ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები შეადგენს 3,000 ათას ლარს. საპროცენტო განაკვეთი არის 14%. დაფარვის ვადა - 2022 წელი.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარებისას, ორგანიზაცია სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას.
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის სხვაობის გადავადებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ორგანიზაცია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც მოგებას ან ზარალს, როდესაც იგი იქნება გონივრულად გაზომვადი, ან როდესაც ინსტრუმენტის აღიარება არის შეწყვეტილი.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ამორტიზებული ღირებულებით

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები არის ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ორი გარემოება:

- ორგანიზაცია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- ორგანიზაცია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ორგანიზაციის ყველა ფინანსურ აქტივი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ორგანიზაციამ შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხვდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას ორგანიზაციის მიერ გათვალისწინებული ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- პორტფელთან მიმართებაში არსებული ამოცანები და პოლიტიკა და ამგვარი პოლიტიკის მოქმედებას პრაქტიკაში, მათ შორის არის თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია მიმართული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ვადის ვალდებულებების ვადასთან თანხვედრაზე, რაც მოიცავს ამგვარი აქტივების დაფინანსებას ან ფულადი ნაკადების რეალიზაციას აქტივების გაყიდვის გზით;

  როგორ ხდება პორტფელის შედეგების შეფასება და ამ შეფასებების კომუნიკაცია ორგანიზაციის ხელმძღვანელობისთვის;

  რისკები, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს მოდელის (და ამგვარ ბიზნეს მოდელში არსებული ფინანსური აქტივების) მაჩვენებლებზე და რამდენად იმართება ამგვარი რისკები;

  როგორ ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა ანაზღაურება მართვის ქვეშ არსებული აქტივების სამართლიან ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და

- განვლილ პერიოდებში გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მომავალი სავაჭრო საქმიანობის მოლოდინები. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია სავაჭრო საქმიანობის შესახებ ცალკე არ განიხილება, ის წარმოადგენს ორგანიზაციის შეფასების ნაწილს, თუ რამდენად არის მიღწეული ფინანსური აქტივების მართვასთან დაკავშირებით ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული მიზნები და რამდენად არის რეალიზებული ფულადი ნაკადები.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულია რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

20. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი არის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. SPPI -ის ტესტი ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ორგანიზაცია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.

SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

რეკლასიფიკაცია

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ ორგანიზაცია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ცვლილება გაუფასურების შეფასებაში

ფასს 9-ის მიღებამ ფუნდამენტურად შეცვალა ორგანიზაციის აღრიცხვა გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხთან დაკავშირებთ, კერძოდ ბასს 39-ის მიდგომა - „გაწეული ზარალი“ (CL) ჩაანაცვლა მომავალზე ორიენტირებულმა - „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელმა. ფასს 9 მოითხოვს ECL-ის დაანგარიშებას ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხვით.

გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შეძენილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ორგანიზაციამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები აღიარა ყველა სადებეტო ინსტრუმენტისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

გაუფასურების ზარალისა და ანარიცხის განსაზღვრებამ გადაინაცვლა „გაწეული ზარალის" (CL) მოდელიდან, რომელიც ბასს 39-ის მიხედვით ზარალს აღრიცხავდა მას შემდეგ, რაც ზარალის გამომწვევი მოვლენა უკვე მომხდარი იყო, „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის" (ECL) მოდელზე, რომელიც ფასს 9-ის მიხედვით ზარალს აღრიცხავს ფინანსური აქტივის წარმოქმნისთანავე. ფასს 9-ის მიხედვით ორგანიზაცია ჯერ ცალკეულად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრავს თუ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ აქტივებს, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.

ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. გაცემული სესხები) დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მახასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შეძენის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1-ლი ეტაპი: ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე.

ანარიცხი საკრედიტო ზარალებზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულა.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. ორგანიზაცია აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების PD-ის 100 %-ით.

ვადაგადაცილების დღეების გათვალისწინებით, სესხების 3 ეტაპზე გადანაწილება შემდეგნაირად შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

უზრუნველყოფის სახე	1 ეტაპი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი
უძრავი ქონება	0-30	31-90	>90
მოძრავი ქონება	0-30	31-90	>90
მესამე მხარის გარანტიები	0-30	31-90	>90
არაუზრუნველყოფილი	0-30	31-90	>90

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ორგანიზაცია ავტომატურად ანიჭებს სესხს 1 ეტაპს, სესხის გაცემის მომენტში. სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპზე, თუ ქვემოთ მოცემული რომელიმე მაპროვოცირებელ მოვლენას ექნება ადგილი:

ა) სესხის 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;

ბ) სესხის რესტრუქტურიზაცია;

გ) მსესხებლის მიერ შემოსავლის დაკარგვა;

დ) მსესხებლის შრომისუუნარობა;

ე) თაღლითობა მსესხებლის ბიზნესში (ბიზნეს მსესხებლებისთვის);

ვ) ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილის/ქონების გაყიდვა რაც აუცილებელია მისი შემოსავლების გენერაციისთვის (ბიზნეს მსესხებელისთვის);

ზ) მაკროეკონომიკური ფაქტორების ან მათი საპროგნოზო მნიშვნელობების გაუარესება, რასაც გავლენა აქვს მსესხებელზე ან/და მსესხებელთა ჯგუფზე;

თ) მარეგულირებელი, პოლიტიკური და ტექნოლოგიური მოლოდინების გაუარესება, რასაც გავლენა აქვს მსესხებელზე ან/და მსესხებელთა ჯგუფზე;

ი) არასასურველი ცვლილებები სექტორში ან საწარმოო პირობებში, რომელშიც მსესხებელი ოპერირებს.

სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპიდან 1-ელ ეტაპზე, თუ:

ა) მე-2 სტადიის მაპროვოცირებელი ფაქტორის მოხდენიდან 6 თვის მანძილზე მსესხებელი გრაფიკის მიხედვით ემსახურება სესხს;

ბ) იმ გარემოებების გამოსწორება, რომლის გამოც სესხმა გადაინაცვლა მე-2 ეტაპზე. გ) რესტრუქტურიზირებული სესხები 1-ლ სტადიაში არ ბრუნდება.

გადეფოლტებული სესხები დეფოლტის მომენტში გადაინაცვლებს მე-3 ეტაპზე, მე-3 სტადიაში მოხვედრილი სესხი სხვა სტადიაში აღარ ბრუნდება.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

ა) სესხები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით;
ბ) მსესხებლის გარდაცვალება;
გ) გაკოტრების პროცედურების წამოწყება (იურიდიული პირების შემთხვევაში);ან
დ) თაღლითობა ან სხვა ფორსმაჟორული სიტუაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე.

დეფოლტის განმარტება თანხვედრაშია ფასს 9-ის მოთხოვნებთან, 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილების შესახებ. ორგანიზაცია დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ორგანიზაცია ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე, ასევე მომავალის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

ორგანიზაციის აზრით, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუადრეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ორგანიზაცია რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს შეუძლიათ გამოააშკარაონ საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა მანამ სანამ ის დაექვემდებარება დეფოლტს;
- კრიტერიუმები არ შეესაბამება დროის იმ მომენტს როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული;
- საშუალო დრო აუცილებელი საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დადგენიდან დეფოლტამდე არის გონივრული;
- რისკზე დაქვემდებარება არ გადადის პირდაპირ 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან კრედიტით გაუფასურებულში; და
- არ არსებობს არანაირი უსაფუძვლო არასტაბილურობა ზარალის რეზერვში, 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან (ეტაპი 1) არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (ეტაპი 2) გადატანებიდან.

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

ორგანიზაცია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

ორგანიზაციამ მოახდინა საკრედიტო რისკის და საკრედიტო ზარალის საკვანძო მამოძრავებლის იდენტიფიცირება და დოკუმენტირება თითოეული ფინანსური ინსტრუმენტის პორტფელისთვის და ისტორიული მონაცემების ანალიზის გამოყენებით, ივარაუდა დამოკიდებულებები მაკროეკონომიკურ ცვლადებსა და დეფოლტის ალბათობებს შორის. საკვანძო მამოძრავებელს მშპ-ს პროგნოზები წარმოადგენს. წავარაუდები დამოკიდებულებები საკვანძო ინდიკატორებსა და დეფოლტსა და სესხის პორტფელების ზარალის განაკვეთებს შორის, ჩამოყალიბებულ იქნა ბოლო 5 წლის ისტორიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

მოდიფიცირებული ფინანსური აქტივები

სესხის სახელშეკრულებო პირობები შესაძლებელია შეიცვალოს რიგი მიზეზების გამო, როგორიცაა საბაზრო პირობების ცვლილება, კლიენტების შენარჩუნება და სხვა ფაქტორები რომლებიც არ არიან დაკავშირებული კლიენტის მიმდინარე ან პოტენციურ საკრედიტო გაუარესებასთან. არსებული სესხის აღიარება, რომლის პირობებიც შეიცვალა შესაძლებელია შეწყდეს და ახალ სესხად აღიარებულ იქნას მოდიფიცირებული სესხი, სამართლიანი ღირებულებით, მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

ორგანიზაცია ახდენს კლიენტებზე გაცემული სესხების პირობების ცვლილებას ფინანსური სირთულეების მქონე კლიენტებისთვის (ეგრეთ წოდებული "მოთმინების ქმედებები"), რათა გაზარდოს სესხის ამოღების შესაძლებლობები და მოახდინოს დეფოლტის რისკის მინიმიზება. ორგანიზაციის მოთმინების პოლიტიკის მიხედვით, სესხის პირობების ცვლილება ხდება, თუ მსესხებელი დეფოლტშია, ან არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, არსებობს მონაცემები, რომ მსესხებელმა გააკეთა ყველა გონივრული ქმედება არსებული საკონტრაქტო ვალდებულების მიხედვით ვალის გასტუმრებისთვის და იგი შეძლებს განახლებული სასესხო პირობების დაკმაყოფილებას.

რესტრუქტურიზებული სესხები გადატანილია მეორე ეტაპზე და გამოიყენება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

შეცვლილი პირობები როგორც წესი გულისხმობს დაფარვის ვადის გახანგრძლივებას, და საპროცენტო გადახდების განრიგის ცვლილებას.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რესტრუქტურიზებული ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება მოლაპარაკებების საფუძველზე ან მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო არსებული ფინანსური აქტივი ახლით იცვლება, მაშინ კეთდება შეფასება იმისა უნდა მოხდეს თუ არა ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ანგარიშდება შემდეგნაირად:

- თუ მოსალოდნელი რესტრუქტურიზაცია არ გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ შეცვლილი ფინანსური აქტივიდან მისაღები მოსალოდნელი ფულადი სახსრები ჩათვლილია მიმდინარე აქტივისგან მიღებული ფულადი დანაკლისის გაანგარიშებაში.
- თუ მოსალოდნელი რესტრუქტურიზაცია გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ ახალი აქტივის მოსალოდნელი სამართლიანი ღირებულება განიხილება როგორც საბოლოო ფულადი ნაკადი არსებული ფინანსური აქტივიდან მისი აღიარების შეწყვეტის მომენტში. ეს ოდენობა ჩათვლილია მიმდინარე ფინანსური აქტივისგან მიღებულ ფულად დანაკლისში, რომელიც დისკონტირებულია მოსალოდნელი აღიარების შეწყვეტის თარიღიდან ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე არსებული ფინანსური აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ECL -ის გაზომვა

ECL -ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი. ეს ცვლადები (EAD-ის გარდა) დაანგარიშებულია ყოველწლიურად. EAD განახლდება ყოველთვის, როდესაც ხდება სესხის გაუფასურების ანარიცხის კალკულაცია.

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის ორგანიზაცია იყენებს ბოლო 3 წლის სტატისტიკას. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის, სესხები სეგმენტებად დაჯგუფებულია სესხის უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით. PD გამოითვლება სასესხო პორტფელის მიმართ მიგრაციის მატრიცის მისადაგებით, რომელიც გვიჩვენებს სასესხო პორტფელის გადანაცვლების ალბათობას გაუფასურების ეტაპებს შორის.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოიყენება ბოლო 3 წლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განმავლობაში გადეფოლტებული სესხები და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო პერიოდამდე განხორციელებული თანხის შემოდინებები წლის ჭრილში.

ფულადი ნაკადები დისკონტირდება სეგმენტის საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას, პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.

დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია დაანგარიშდება ყველა სეგმენტისთვის ცალ-ცალკე და გამოიყენება პორტფელის იმ მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შესაძლოა დაექვემდებაროს საკრედიტო რისკს დეფოლტის მომენტში. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება მიმდინარე სესხის თანხიდან მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით იმ დაშვებაზე დაყრდნობით, რომ დეფოლტი ხდება წლის შუა პერიოდში. მოსალოდნელ ცვლილებებში იგულისხმება გრაფიკით გათვალისწინებული ძირის დაფარვები ვადაგადაცილების მომენტამდე, პროცენტის დარიცხვები ვადაგადაცილების მომენტიდან დეფოლტამდე.

გამოთვლაში ასევე მონაწილეობს ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით დათვლილი სესხის წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტი, რომელიც ამცირებს არსებული სესხის ბალანსს დეფოლტის დადგომამდე (იგი გამოთვლაში მონაწილეობს იმ შემთხვევაში თუ სესხის საშუალო ვადიანობა აღემატება 12 თვეს).

ფინანსური ვალდებულებები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიცირდეს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. ორგანიზაციამ ყველა ფინანსური ვალდებულება დააკლასიფიცირა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

ორგანიზაციის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა

ორგანიზაცია ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვას აკეთებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ორგანიზაცია გეგმავს ანგარიშსწორებას გადახურული ნაშთის საფუძველზე, ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური ვალდებულებები არ რეკლასიფიცირდება პირველადი აღიარების შემდგომ.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულების შეფასება მიზნად ისახავს იმ ფასის მიახლოებას რომელიც მიღებულ იქნებოდა აქტივის გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციებში შეფასების დღისთვის. ამასთან, გაურკვევლობების და სუბიექტური მსჯელობების გამოყენების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო ხარჯები და შემოსავლები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო შემოსავალი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში ჩაირთვება ისეთი შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და მიღებასთან. მაგალითად, საკომისიო შემოსავალი, რომელიც მოიცავს მსესხებლის საკრედიტო მდგომარეობის შეფასებას, უზრუნველყოფის საგნის შეფასებასთან.

სხვა შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია გაცემული ან მიღებული სერვისის მოცულობასთან.

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, ორგანიზაცია საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

წარდგენა

მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე პროცენტს.

მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი საპროცენტო ხარჯი მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებზე პროცენტს.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკომისიოები

საკომისიო ხარჯი და შემოსავალი ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და შედის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში.

მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც იწვევს ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური ინსტრუმენტის აღიარებას, შეიძლება ნაწილობრივ ესადაგებოდეს ფასს 9 და ნაწილობრივ ფასს 15-ი. ამ შემთხვევაში ორგანიზაცია ჯერ იყენებს ფასს 9-ს, რომ დაყოს და აღრიცხოს ხელშეკრულების ის ნაწილი რომელიც ფასს 9-ს მიეკუთვნება და შემდეგ დარჩენილ ნაწილზე იყენებს ფასს 15-ს. სხვა საკომისიო ხარჯები ძირითადად უკავშირდება გარიგებების და მომსახურების საკომისიოს, და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე.

პერსონალის ხარჯი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ორგანიზაციამ დასაქმებულისგან.

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების აღიარება

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ვერ მოხდება მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა აქტივად აღიარების მოთხოვნის დაკმაყოფილება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარა

ორგანიზაცია როგორც მეიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ორგანიზაციამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ორგანიზაციამ უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაცია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაცია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაციის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ორგანიზაცია აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება 7 წლიან პერიოდზე.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ორგანიზაცია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია წარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა ორგანიზაცია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ორგანიზაციამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

დაბეგვრა

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადასახადი ასევე აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში შესაბამისად.

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ცვლას.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით გაანგარიშების მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადის თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების სარეალიზაციოდ. ბუღალტრული ბალანსის შედგენის თითოეული თარიღისათვის ორგანიზაცია გადააფასებს აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს.

გადავადებული მოგების გადასახადი აღიარდება იმიტომ, რომ ეს არის მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იყოს დროებითი სხვაობა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არის გადახურული, როდესაც არის კანონიერი უფლება, რომ გადაიხუროს მიმდინარე საგადასახდო აქტივი საგადასახადო ვალდებულების მიმართ.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა (ამორტიზაციის) და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე (და არამატერიალურ აქტივებზე) ცვეთის (და ამორტიზაციის) დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით. ცვეთა (და ამორტიზაცია) ერიცხება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)
შენობა-ნაგებობები	10 – 30
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	3 – 5

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით.

სააქციო კაპიტალი და დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ახალი აქციებისა თუ ოფციონების გამოშვებასთან ნაჩვენებია კაპიტალში საგადასახადო გამოქვითვებით შემცირებული შემოსულობების სახით.

დივიდენდები ჩაიწერება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც ის არის გამოცხადებული. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც გამოცხადდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე გაიშიფრება ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში. ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება გაუნაწილებელი მოგების განაწილების სახით, მათი გამოცხადების პერიოდში. პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება გაუნაწილებელი მოგების განაწილების სახით, როდესაც მათი დამტკიცება ხდება წლიური საერთო კრების მიერ ყოველ მოცემულ წელიწადს.

პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი რომელიც არის არადაბრუნებადი, დისკრეციული დივიდენდებით, კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ორგანიზაცია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი / ლარი
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3.2766
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8677

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210676445
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	01.07.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	დავით ჩალათაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, სანაპიროს 2ა, #1
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599336099
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	57191913732021

მე, ნოტარიუსი, დავით ჩალათაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, სანაპიროს 2ა, #1, ვადასტურებ წინამდებარე დოკუმენტზე დიპლომირებული მთარგმნელის, თორნიკე პარხომენკოს (დაბადებული 17.02.1992, მცხოვრები: ქ. თბილისი, აწყურის ქუჩა 39, ბარათის ნომერი 11IC00354, პირადი ნომერი: 01011081564 გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ, დიპლომი MH N001116 გაცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ) ხელმოწერის სინამდვილეს. მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას. გადახდილია საზღაური: 98.00 ლარი, დღგ 17.64 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, და რეგისტრაციის საზღაური 2.00 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების #507 (29.12.2011წელი) 31-ე მუხლის და 39 მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე.

I, Notary Davit Chalatashvili, whose notary bureau is located at: Sanapiro 2a, #1, Tbilisi, certify the authenticity of signature of qualified translator Tornike Parkhomenko (DOB 17.02.1992, place of residence: Tbilisi, 39 Atskuri Street, card number 11IC00354, Personal Number: 01011081564 issued by the Ministry of Justice, Diploma MH N001116 issued by Tbilisi State University). Translator is warned about his responsibility for the accuracy of translation and he gives the guarantee for the accuracy of translation.
The notary tax is paid: 98.00 GEL, VAT 17.64 GEL according to article 166 of Georgia tax code and 2.00 GEL for drawing up notary act according to the articles 31.3 and paragraph 1 of article 39 of resolution # 507 (29.12. 2011) of the government of Georgia about notary tax for drawing up notary act and ascertained fees for notary chamber, rules of payment and approval of terms of service

ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი
Notary : Davit Chalatashvili

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18